# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

28 ნოემბერი ხუთშაბათი 2013

№281 (14 197) ფასი 80 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა



12

## დინამოს საჩემპიონო ამბიცია




## მკვლელი მუნდიალი

2014 წლის მუნდიალი კიდევ ერთხელ დაინავსა - სან პაულოში ტრაგედია დატრიალდა: „არენა კორინთიანსის" მშენებლობისას ამწე ჩამოიშალა, სტადიონი ნაწილობრივ დაანგრია და რაც ყველაზე ცუდია, ადამიანები იმსხვერპლა. სააგენტოები ჯერ ორი დალუპული მუშის შესახებ იუწყებოდნენ, შემდეგ კი მსხვერპლთა რიცხვი სამამდე გაიზარდა. ინციდენტი სამშაბათს მოხდა (ჩვენი დროით, ოთხშაბათს დილით). არიან დაშავებულებიც, რომელთა რიცხვიც არ დაუზუსტებიათ. კიდევ კარგი მუშათა დიდი ნაწილი მოშორებით იმყოფებოდა, რადგან ლანჩ-შესვენება ჰქონდათ.

ეს უკვე მესამე ტრაგიკული ინციდენტია: 2012 წლის ივნისში გარინჩას სახელობის ეროვნული სტადიონის სიმაღლიდან მუშა გადმოვარდა, 2013 წლის მარტში ანალოგიური გამეორდა „არენა ამაზონიაზე".

ნიკოლოზ ნეფარიძე

# რატომ?

## თბილისის დინამოს მწვრთნელი ჩეხეთის ჩემპიონობაზე ფიქრობს

მოვლენები ისე ვითარდება, რომ დიდი შანსია, თბილისის „დინამოს" თავკაცმა **დუშან უჰრინმა** მალე დატოვოს საქართველო და კარიერა სამშობლოში გააგრძელოს. რამდენიმე დღის წინ ამის შესახებ ჩეხური პრესა ვარაუდებს თუ გამოთქვამდა, ახლა უკვე ლამის ამტკიცებს 46 წლის სპეციალისტის „პლზენში" გადასვლას.

„სპორტ ბლესკის" 27 ნოემბრის მთავარი თემა დუშან უჰრინი იყო. გაზეთთან საუბარში „დინამოს" თავკაცმა თქვა: „ *მსურს ჩეხეთის ჩემპიონატის მოგება, და რატომ არ უნდა გავაკეთო ეს „პლზენთან" ერთად?"*. მოკლედ, ჩემპიონთა ლიგაზე მოთამაშე გუნდში გადასვლის სურვილს „დინამოს" თავკაცი საჯაროდ ადასტურებს.

„პლზენის" თავკაცი **პაველ ვრბა** ჩეხეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი გახდა, ის ჯერ რჩება კლუბში, მაგრამ მუდმივად ასე ვერ გაგრძელდება და „ვიქტორიას" ხელმძღვანელობა ვრბას შემცვლელს ეძებს. „სპორტ ბლესკის" ინფორმაციით, დღეისათვის დუშან უჰრინი ნომერ პირველი კანდიდატია და არა **ზდენეკ ზემანი**, თუმცა თავად თბილისის „დინამოს" თავკაცი დიპლომატიურ ტონს ინარჩუნებს. ვრბას ყველაზე რეალური შემცვლელი კი სწორედ უჰრინ უმცროსია.






*დუშან უჰრინი: „არა, მერწმუნეთ „პლზენის" ხელმძღვანელობასთან კონტაქტი არ მქონია, მაგრამ, როცა შემოთავაზება მექნება, მე ამაზე აუცილებლად ვიფიქრებ. „ვიქტორია" ჩეხური მასშტაბით დიდი კლუბია"*, - განუცხადა გამოცემას უჰრინმა.

მწვრთნელს სურს გამბრინუსლიგის მოგება და ასეთ შანსს ხელიდან არ გაუშვებს: *„პლზენი" ძალიან ამბიციური კლუბია, ის ლიგის მოგების კანდიდატია, ჩემი ოცნებაც ჩეხეთის ჩემპიონატის მოგებაა. და რატომ არ უნდა გავაკეთო ეს „პლზენთან" ერთად"?*

შეგახსენებთ, რომ უჰრინ უმცროსმა თბილისის „დინამოს" 2012/13 წლების სეზონი მოაგებინა. მანამდე მას ჩეხურ, კვიპროსულ და რუმინულ კლუბებში აქვს ნამუშევარი. „დინამოსთან" კონტრაქტი კი ჩეხს სეზონის ბოლოს უსრულდება.

პლზენის „ვიქტორიას" ღირსებას 2008/09 წლების სეზონში **დიმიტრი ტატანაშვილი** იცავდა, რომელიც ახლა საჩხერის „ჩიხურაში" თამაშობს.

ნიკოლოზ ნეფარიძე




8-9

# მოსკოვს დაათოვა

მოკითხვა ბარსას

## ბაიერნის რეკორდი-10

* მიუნხენის „ბაიერნმა" ჩემპიონთა ლიგაზე ზედიზედ მე-10 გამარჯვება იზეიმა და „ბარსელონას" რეკორდი მოხსნა.
* მადრიდის „რეალმა" ჩემპიონთა ლიგაზე ზედიზედ 30-ე მატჩში შეძლო გატანა და „ბარსელონას" რეკორდი გააუმჯობესა


მალე ყოველ შაბათს
მაღალპოლიგრაფიული ფერადი ჟურნალი
ლელო

● კონტრაქტის თემაზე...

# გამოაქვეყნეთ კონტრაქტის ორიგინალი!



2011 წლის 13 სექტემბერი

**თემურ ქეცბაიასა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შორის გაფორმებულ კონტრაქტზე „ლელომ" რამდენიმე წერილი გამოაქვეყნა. თითქოსდა უწყინარ თემას სრულიად აბსურდული გაგრძელება, ბრალდებები და ქვეტექსტები მოჰყვა. აი, მაგალითად, სფფ-ის გუშინდელი განცხადება:**

„საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელ - თემურ ქეცბაიასა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შორის არსებული ხელშეკრულების პირობები, უკანასკნელი დღეების განმავლობაში საზოგადოებისა და მედიის განსჯის საგნად იქცა.

ვინაიდან, ხელშეკრულების ვადებმა გარკვეული დაბნეულობა გამოიწვია, საჭიროდ მივიჩნიეთ გავაკეთოთ განმარტება და ყველა დაინტერესებული პირისათვის გასაგები გავხადოთ კონტრაქტის სადავო პუნქტები.

თემურ ქეცბაიას და სფფ-ის მოქმედი ხელშეკრულება 2011 წლის 12 სექტემბრიდან 2015 წლის 12 სექტემბრამდე აკავშირებს, რაც გულისხმობს მწვრთნელის მუშაობის 4 წელს.

რაც შეეხება აქამდე გავრცელებულ ინფორმაციას - ხელშეკრულების 2+2-წლიანი ვარიანტის შესახებ, ის ხელშეკრულების გაფორმების დღიდან განმარტებული იყო არა როგორც ხელშეკრულების პირობა, არამედ, როგორც ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბის სამუშაო გეგმა.

აქვე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის იურიდიული სამსახური ოფიციალურად განმარტავს: კონტრაქტის გაფორმების დღიდან - დღემდე, მასში აღნიშნული ვადები უცვლელია და არანაირი ახალი კონტრაქტი ან რაიმე სახის შეთანხმება თემურ ქეცბაიასთან არ გაფორმებულა. კონტრაქტი 4-წლიანია და გრძელდება 2015 წლის 12 სექტემბრამდე".

ეს ყველაფერი მართლა აბსურდამდე მიდის. უკვე ვწერდით, რომ **თემურ ქეცბაიასთან** ახალი კონტრაქტის გაფორმების თაობაზე ინფორმაცია ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდის არქივში აღარ დაგვხვდა, იქ არ აღმოჩნდა ინფორმაციები 2011 წლის 7 სექტემბრიდან 23 სექტემბრამდე, რაც გარკვეულ ეჭვს ბადებს (მხოლოდ ეჭვს!). სამაგიეროდ, გუშინ ამავე საიტზე მივაკვლიეთ ინფორმაციას ინგლისურ ენაზე. გუშინვე, ქართული ვარიანტი ისევ გაჩნდა. აი, რა წერია იქ:

*„ახალი კონტრაქტის დეტალებზე კი, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა დაწვრილებითი განმარტებები გააკეთა. კონტრაქტი 2+2 სისტემითაა შედგენილი".*

ანუ იქაც იგივე ინფორმაციაა, რაც „ლელომ" დაწერა. ზოგადად, ცნობილია, რომ ასეთი ხელშეკრულება შემდეგს გულისხმობს - მხარეებმა მისი გაგრძელების საჭიროებაზე 2 წლის შემდეგ ხელახლა უნდა დაილაპარაკონ. ეს ორი წელი 2013 წლის სექტემბერში გავიდა...

სხვათა შორის, სფფ-ს ოფიციალური ვებგვერდის მაშინდელ ინფორმაციაშიც 2+2 სისტემა არ იყო განმარტებული, როგორც ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბის სამუშაო გეგმა, რაზეც დღეს ფედერაციის განცხადებაში ვკითხულობთ. და საერთოდაც, „სამწვრთნელო შტაბის სამუშაო გეგმა" რაღაც თითიდან გამოწოვილს, სახელდახელოდ მოგონილ მიზეზს ჰგავს. ანუ, ფედერაციისთვის ეს არის სიტუაციიდან გამოსავალი. მაგრამ არის რო? საინტერესოა, როდის აქეთაა, რომ „სამწვრთნელო შტაბის სამუშაო გეგმას" ოფიციალურ პრეზენტაციებზე ამზეურებენ და თანაც ხელსაც აწერენ (იხ. ფოტო)

სფფ-ს განცხადებაში წერია: „ხელშეკრულების ვადებმა გარკვეული დაბნეულობა გამოიწვია". დაბნეულობა კი არა, ვიტყოდით - აღშფოთება. დაბნეულობა უფრო ფედერაციას ეტყობა, რაც განცხადებიდანაც ჩანს.

შეიძლება, სულაც არაფერი გვეთქვა ამ თემაზე, რადგან ქეცბაიას კონტრაქტი ქართული ფეხბურთის მთავარი პრობლემა ნამდვილად არ არის. მაგრამ გუშინაც ვწერდით და ახლაც ვიმეორებთ - პრინციპის საქმეა და სიმართლე უნდა გაირკვეს! მერე კი, თუ გნებავთ, 2+2 გადააკეთეთ 3+3-ად. ოღონდ, ტყუილს ნუ ეტყვით ხალხს.

გამოაქვეყნეთ კონტრაქტის ორიგინალი!

**პაატა გელაშვილი**

● ერთი ინტერვიუს გამო...

# მენოტი ცოცხალია

ფეხბურთში რომანტიკოსი, პოლიტიკაში პაციფისტი - რატომ გახდა ასეთი კაცი საინტერესო საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის ყოფილი მინისტრის **ნიკოლოზ რურუასთვის?**

არ ვიცი, რამდენად არის ბატონი რურუა რომანტიკოსი ან პაციფისტი, სამაგიეროდ, ვიცი, როგორი მწვრთნელი იყო **ლუის სესარ მენოტი** და რა პოლიტიკური შეხედულებები ჰქონდა 80-იანი წლების დასაწყისში, როცა არგენტინა ფოლკლენდის კუნძულების გამო შეებრძოლა დიდ ბრიტანეთს.

მენოტის გუნდმა სამყაროს აჩუქა დაუვიწყარი 30 წუთი მუნდიალის ფინალის დამატებით დროში, 1978 წელს, როცა არგენტინამ ჰოლანდიას ორი გოლი გაუტანა და 3:1 მოუგო. **მარიო კემპესი, დანიელ ბერტონი, ოსვალდო არდილესი, ალბერტო ტარანატინი, დანიელ პასარელა...** დიდებული ორკესტრი იყო არაჩვეულებრივი დირიჟორით.

იმ გამარჯვებითა და 30 წუთით მენოტი ლეგენდა გახდა, იმაზეც კი კამათობდნენ, ჰოლანდიასთან ფინალის დროს მენოტიმ სამი კოლოფი სიგარეტი მოწია თუ ოთხი.

მენოტი რომანტიკოსი სპეციალისტი გახლდათ. 1978 წლის მერე ისეთი არაფერი გაუკეთებია მწვრთნელობაში, წარმატებით ხელახლა რომ შეეხსენებინა თავი სამყაროსთვის, მაგრამ ეს აუცილებლობას აღარ წარმოადგენდა - მენოტი უკვე ლეგენდა იყო.

**...მწვრთნელის შეცვლით უარეს შედეგს მივიღებთ, თემურს მუშაობის გაგრძელების საშუალება უნდა მიეცეს. ლუის მენოტი ცოცხალი რომ იყოს, ამ ფეხბურთელებისგან უკეთეს გუნდს ვერც ისააწყობდა",** - განაცხადა რურუამ „კვირის პალიტრასთან" ინტერვიუში.

**- ქვეყნის პრემიერ-მინისტრი მაშინ ნიკა გილაური გახლდათ. ერთად გადავწყვიტეთ - თუ თანახმა იქნებოდა, საქართველოს ნაკრები ქეცბაიასთვის ჩაგვებარებინა,** - ესეც რურუას სიტყვებია იმავე ინტერვიუდან.

**- არ მომწონს, ნაკრების მწვრთნელს ტურებივით რომ ესევიან,** - ესეც კიდევ ერთი ამონარიდი ყოფილი მინისტრის ინტერვიუდან, ოღონდაც, ის არ აკონკრეტებს, ტურები ჟურნალისტები არიან, გულშემატკივრები თუ ფეხბურთის სპეციალისტები.

ინტერვიუდან ის გამომდინარეობს, რომ **თემურ ქეცბაიასთვის** საქართველოს ნაკრების მწვრთნელად რეკომენდაცია საქართველოს ყოფილ პრემიერსა და რურუას მიუციათ. ჰქონდათ კი ამის უფლებამოსილება და კომპეტენცია? ისიც საკითხავია, ასეთ სერიოზულ გადაწყვეტილებას ის ხალხი თუ იღებდა, ვისაც რაიმე გამოცდილება დაუგროვებია ფეხბურთში საქმიანობით? საინტერესოა, რა საფეხბურთო „სივი" აქვთ ყოფილ პრემიერსა და მინისტრს? როდესმე დაინტერესებულან, რატომ მოუწია ქეცბაიას ბერძნული „ოლიმპიაკოსიდან" წამოსვლამ?

ამ კითხვებზე პასუხი საინტერესო კი იქნებოდა, ოღონდაც, ნაკლებად აქტუალური, რადგან დღეს უკვე სხვა მოცემულობასთან გვაქვს საქმე - მთავრობა შეიცვალა და ბევრი რამ არის შესაცვლელი ფეხბურთშიც, მათ შორის - საქართველოს ნაკრებშიც.

რაც შეეხება მენოტის, ეს ლეგენდარული კაცი ცოცხალია, 75 წლის გახლავთ და დაახლოებით ექვსი წელი იქნება, რაც მწვრთნელობას შეეშვა, ბატონ რურუას კი ის გარდაცვლილი ეგონა. შესაძლოა, მან არგენტინა საქართველოს შეადარა, ფოლკლენდის კუნძულები - სოხუმსა და ცხინვალს, დიდი ბრიტანეთი - კი რუსეთს, მაგრამ ასეც რომ იყოს, ცნობა მენოტის გარდაცვალებაზე მაინც არ დასტურდება.

მენოტის სააქაო თუ საიქიო ყოფნა გამოუსწორებელი შეცდომა არ უნდა იყოს სპორტის ყოფილი მინისტრისთვის, მაგრამ ეროვნული ნაკრების მწვრთნელის დანიშვნაზე, ნაკრების ცუდ შედეგზე და ნაკრების გარშემო შექმნილ ცუდ სიტუაციაზე პასუხი ძვირადღირებული მწვრთნელის დამნიშვნავმაც რომ უნდა აგოს, ვგონებ, საკამათო არც ეს უნდა იყოს.

**დავით თავართქილაძე**



● ინტერვიუ

# გიორგი ონიანი
# ისეთი თავდადებული მოთამაშეც არ ვარ, ფეხბურთი ჯანმრთელობაზე წინ დავაყენო

## მძიმე ტრავმის შემდეგ ონიანი ფეხბურთს ვეღარ ითამაშებს

**...10 აპრილს, ნაკრების ტექნიკურ ცენტრ „ბასაზე", თასის მეოთხედფინალურ მატჩში ქუთაისის „ტორპედო" ბოლნისის „სიონს" ხვდებოდა. მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა, როცა ბურთისთვის ბრძოლისას ქუთაისელთა მცველი გიორგი ონიანი მოედნის დამცავ ბადეს შეეჯახა. თამაშის გაგრძელებას ვინ ჩიოდა, გონწასული სასწრაფოდ საავადმყოფოში გააქანეს და უმძიმესი დიაგნოზი დაუსვეს - კისრის მე-4 და მე-5 მალების მოტეხილობა.**

**საბედნიეროდ, ონიანს ზურგის ტვინი არ დაუზიანდა, ოპერაცია წარმატებით დასრულდა და მალე ფეხზეც წამოდგა. ამიტომ, იმედი გვქონდა, რომ 30 წლის მცველი ფეხბურთს კიდევ ითამაშებდა. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა - გიორგი იძულებულია, ბუცები ლურსმანზე ჩამოკიდოს და სხვა საქმიანობაზე იფიქროს.**

**ეს დასანანი ამბავი თავად გვითხრა, როცა იმის შესატყობად დავუკავშირდით, თუ როდის განაახლებდა ვარჯიშს...**

**- დიდი ხანია, მკურნალობთ. მოედანს როდისღა დაუბრუნდებით?**

- ახლა ისევ რეაბილიტაციას გავდივარ და ვისვენებ. მაგრამ ფეხბურთის თამაშს ვერ შევძლებ. გერმანიაში ოპერაცია რომ გავიკეთე, ექიმებმა პირდაპირ მითხრეს, თუ სიცოცხლე გინდა, მოედანზე გასვლას აღარ გირჩევთო. ახლა 2 კილოზე მეტის აწევა არ შეიძლება, არც სირბილის უფლება მოუციათ. ისეთი თავდადებული მოთამაშეც არ ვარ, ფეხბურთი ჯანმრთელობაზე წინ დავაყენო. მოკლედ, კარიერა დავამთავრე და თქვენ უკვე ვეტერან ფეხბურთელს ელაპარაკებით.

**- გერმანიიდან ჩამოსულმა ხომ თქვით, მალე ვარჯიშს დავიწყებო?**

- სულ სამი ოპერაცია გავიკეთე - ორჯერ კისრის მალებზე და ერთხელაც ცხვირზე. ფეხბურთს რომ ველარ ვითამაშებდი, ეს ამბავი ბოლო ოპერაციის შემდეგ მითხრეს. გული მომიკვდა, მაგრამ რას ვიზამთ... ცხოვრება ამით არ მთავრდება...

> **...ძალიან ძნელია, საყვარელ საქმეს რომ მოწყდები. მძიმე განცდებში ვარ, მიჭირდა ამ აზრთან შეგუება...**

**- კარიერის ნაადრევად დასრულება სასიამოვნო ნამდვილად არ არის...**

- რა თქმა უნდა, გული უზომოდ მწყდება, კიდევ ხუთ-ექვს წელიწადს ვაპირებდი თამაშს... ძალიან ძნელია, საყვარელ საქმეს რომ მოწყდები. მძიმე განცდებში ვარ, მიჭირდა ამ აზრთან შეგუება. მაგრამ ისეთი ტრავმა გადავიტანე, რომ ემოციაც აღარ დამრჩა და ფეხბურთზე მეტად, ჯანმრთელობაზე ვფიქრობდი. ამის გამო, ფეხბურთიდან წასვლა არ მიჭირს. რას ვიზამთ, სხვა გზა არც მქონდა... ცხოვრებაც გრძელდება, ამით მხოლოდ ერთი ეტაპი დასრულდა.

**გიორგი ონიანი**
დაიბადა 1983 წლის 23 ნოემბერს
**სიმაღლე:** 185 სმ; **წონა:** 79 კგ
**პოზიცია:** ცენტრალური მცველი

| კარიერა | |
|---|---|
| 2002-05 | ლოკომოტივი თბ |
| 2006 | დინამო ბთ |
| 2006-07 | ოლიმპი |
| 2007-08 | კარლ ცაისი |
| 2008-09 | ოლიმპი |
| 2009-12 | ზესტაფონი |
| 2012-13 | დილა |
| 2013 | ტორპედო |



გიორგი ონიანი

**- ალბათ, უკვე დაფიქრებოდით, სად გააგრძელებთ საქმიანობას...**

- ჯერ ზუსტად არ ვიცი. ვფიქრობ. ისე, მწვრთნელობა მსურს, ეს ფედერაციის პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამაც შემომთავაზა. არ ვიცი, ამ კაცზე ვინ რას ფიქრობს, მაგრამ ისე მოულოდნელად დამეხმარა, გაოცებული დავრჩი. მე არც მითხოვია, პირადადაც არ ვიცნობდი... სხვათა შორის, „ლელოში" დაბეჭდილი ჩემი ინტერვიუს შემდეგ შემხვდა და თავად მკითხა ანგარიშის ნომერი და ოპერაციისთვის აუცილებელი 13 ათასი ევრო ჩამირიცხა. სიჭინავამ მაშინ მითხრა, ოპერაციის შემდეგ თუ ითამაშებ, ხომ კარგი, თუ არა და, სამწვრთნელო ლიცენზიის აღებაშიც დაგეხმარები და რომელიმე ასაკობრივ ნაკრებში დაგასაქმებო. არც ვიცი, მადლობა როგორ გადავუხადო. ცხადია, „ტორპედოც" დამეხმარა, გერმანიაში გასამგზავრებელი ბილეთები და ვიზა ამიღო. მაგრამ ოპერაციის თანხა მჭირდებოდა, რადგან ამხელა სახსრები თავად არ მქონდა და არც ვიცოდი, ეს ფული საიდან მომეტანა. უოპერაციოდ კი ჯანმრთელობის პრობლემები შემექმნებოდა. ახლა ლიცენზიის აღებაზე ვფიქრობ. მხოლოდ ფეხბურთი ვიცი და აჯობებს, ისევ ამ საქმეს მივყვე. გავიგე, ვისაც პროფესიული კარიერა ჰქონდა, შეუძლია პირდაპირ B ლიცენზია აიღოსო.

**- რა იყო ფეხბურთში თქვენთვის ყველაზე სასიამოვნო მოგონება? უსიამოვნოზე აღარ გკითხავთ...**

- სასიამოვნო იყო ბურთთან პირველი შეხება და უმაღლეს ლიგაში დებიუტი. ეს 2002 წელს მოხდა, თბილისის „ლოკომოტივში" ახალი ჩარიცხული ვიყავი, როცა გასვლაზე ზესტაფონის „მარგვეთს" 5:0 მოვუგეთ. მაშინ გუნდს ლუის ცაკარიასი ავარჯიშებდა, პირველ ტაიმში შეცვლაზე შემიშვა. ძალიან ვნერვიულობდი. მაგრამ ეს იყო დიდი სიამოვნება, იმის მიუხედავად, რომ მოედანი ატალახებული იყო...

**- აუხდენელ ოცნებად რა დაგრჩათ?**

- საქართველოს ნაკრებში თამაში. ტოპმიოლერის დროს, სამჯერ განაცხადშიც მოვხვდი, მათ შორის - გასვლაზე საფრანგეთთან და ასევე გასვლაზე ალბანეთთან, ამხანაგურ მატჩში. მაგრამ ერთხელაც არ მითამაშია.

**- რა იყო თქვენი ყველაზე სერიოზული შეცდომა?**

- ალბათ, გერმანიიდან წამოსვლა. დარჩენის შანსი მქონდა, კონკრეტული წინადადებაც იყო, მაგრამ საქართველოში დაბრუნება და რუსთავის „მეტალურგში" თამაში ვამჯობინე, რომელიც მაშინ ჩემპიონობისთვის იბრძოდა. გერმანიაში ჩემი კარიერაც სხვაგვარად წარიმართებოდა. მაგრამ მეორე მხრივ, წამოსვლა კარგიც იყო, ნაკრებში ხომ ამის შემდეგ მიმიწვიეს. სიზარმაცე არ მახასიათებდა, განსაკუთრებული შეცდომაც არ დამიშვია. მაგრამ ამ გადასახედიდან, მეტის გაკეთება შემეძლო. საერთოდ, ცხოვრების კანონია - მეტი უნდა გასცე, მეტი რომ მიიღო...

> **...ამიტომ, მოტივაციაც ნაკლებია, კონცენტრირებასაც ვერ აკეთებ და დიდი პროფესიონალიზმი გჭირდება, ბოლომდე რომ დაიხარჯო...**

**- თქვენი აზრით, ქართული ფეხბურთი მოთამაშეებს რას აძლევს და რას - ვერა?**

- საქართველოში თამაში რთულია, მაგრამ ერთ-ერთი საშუალებაა, რომ ცხოვრების პირობები გაიუმჯობესო, უკეთესი მომავლის იმედი გქონდეს და ხალხმა ტაში დაგიკრას. ხალხის აღიარება და ოვაციები ყველაზე დიდი სიამოვნებაა. გერმანიაში, „კარლ ცაისში" სულ ერთი სეზონი ვითამაშე და ვიცი, სავსე სტადიონი რამხელა სიამოვნებაა. მხოლოდ ამიტომ ღირს თამაში და შრომა. გერმანიაში საოცარი გულშემატკივარია, გავარდნილ გუნდსაც კი ქომაგობენ. ასეთი თანადგომა მენატრებოდა საქართველოში, სავსე ტრიბუნების გარეშე თამაში საშინელებაა. ასე იყო „ზესტაფონში", კარგი ქომაგები ჰყავთ „ტორპედოსა" და „დილას", მაგრამ ზოგადი სურათი მაინც დამთრგუნველია. ამიტომ, მოტივაციაც ნაკლებია, კონცენტრირებასაც ვერ აკეთებ და დიდი პროფესიონალიზმი გჭირდება, ბოლომდე რომ დაიხარჯო. ასეთ გარემოში თამაში ვარჯიშებს ჰგავს და ფეხბურთელი ვერ გაიზრდება. მოედანი მოედანს არ ჰგავს და სტადიონი - სტადიონს. ბევრჯერ ისეთ მოედანზე მითამაშია, ერთი საზრუნავი მქონდა - გასახდელამდე ჯანმრთელი მივსულიყავი. ეს თუ მოგვარდა, სანახაობრივადაც და დონითაც ბევრად უკეთესი ჩემპიონატი გვექნება. ის მაინც გეცოდინება, რომ სტადიონზე არ მოკვდები, რაც მე მომივიდა. ნეტავ, შემდგომმა თაობებმა მაინც იგრძნონ საქართველოში ისეთი ემოცია, რაც მე გერმანიაში განვიცადე. თუ ამას არ მიეხედა, უკან-უკან მივდივართ და საშველიც არ ჩანს. არადა, კარგი თაობები მოდიან და არ მინდა, ჩვენი თაობის ბედი გაიზიარონ.

**მერაბ მამულაშვილი**



● სპეციალისტის აზრით...

# რამაზ შუშლაძე
# მწვრთნელს ცალ ხელში მათრახი უნდა ეჭიროს, მეორეში კი შოკოლადი

**რამაზ შუშლაძე გამოცდილი სპეციალისტი გახლავთ, უმაღლესი ლიგის არაერთი გუნდი გაუწვრთნია, ყველაზე დიდ წარმატებებს კი თბილისის „ვიტ ჯორჯიაში" მიაღწია - საქართველოს ჩემპიონი გახდა და რამდენჯერმე საპრიზო ადგილზეც გაიყვანა ეს გუნდი. ბოლოს თბილისის „დინამოში" მუშაობდა მეორე გუნდის დამრიგებლად, მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებლად და სელექციონერად, მერე კი ამ კლუბისა და შუშლაძის გზები გაიყარა.**

**შუშლაძეს არაერთ თემაზე ჩამოვუგდეთ სიტყვა და ვფიქრობთ, ასეთი სპეცილიასტის აზრი ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს.**

**შუშლაძემ იცის, როგორ ააწყოს გუნდი, როგორ შექმნას კარგი ატმოსფერო, კონკრეტულ მატჩში რა ტაქტიკა აირჩიოს, როგორ გამოიცნოს შეცვლები და როგორ დაამყაროს საქმიანი ურთიერთობა მასმედიასთან...**

**- ეროვნული ჩემპიონატი ბოლო წლებში უკან-უკან მიდის - ეთანხმებით ასეთ მკაცრ შეფასებას?**

- ფაქტია, წინსვლა არ არის. კარგია, რომ რაღაც კეთდება, მაგალითად, რამდენიმე სტადიონს ჩაუტარდა რეკონსტრუქცია, არის ახალი სტადიონებიც. მნიშვნელოვან წინსვლას კი მეტი ფული სჭირდება. რამდენიც უნდა ვილაპარაკოთ ბავშვთა ფეხბურთისა და ეროვნული ჩემპიონატის პრობლემებზე, თუ სახელმწიფომ ფული არ ჩადო ფეხბურთში, წარმატებები არ იქნება. უმაღლეს ლიგაში 12 გუნდია, აქედან 5 გუნდს საკუთარი სტადიონი არ აქვს... ძნელია, ამ ყველაფრის შემდეგ წინსვლაზე ლაპარაკი.

**- შემოქმედებით ასპექტებზე გადავერთოთ. ყველაზე საინტერესო და კარგ ფეხბურთს რომელი ქართული გუნდი თამაშობს?**

- ამ სეზონში საუკეთესო გუნდი თბილისის „დინამოა". გორის „დილა" თამაშობდა კარგ ფეხბურთს გიორგი დევდარიანის ხელში. ვფიქრობ, დევდარიანი რომ დარჩენილიყო „დილაში", გუნდისთვის უკეთესი იქნებოდა, ამ მწვრთნელმა მართლა დაატყო საკუთარი ხელი „დილას". კარგ ფეხბურთს თამაშობს ლანჩხუთის „გურია", ნორმალურად გამოიყურება „ჩიხურა", გია გეგუჩაძის ხელში უკეთესი იქნება „ზესტაფონი", გამოსარჩევია ქუთაისის „ტორპედოს" ახალგაზრდული გუნდიც...



რამაზ შუშლაძე

**- „ვიტ ჯორჯიაში" მისვლამდე წლობით მუშაობდით თბილისის „დინამოში", ეს კლუბი ეროვნული ნაკრებისთვის ფეხბურთელების მთავარი მიმწოდებელი იყო, ნაკრების ბირთვს „დინამოში" დაოსტატებული მოთამაშეები შეადგენდნენ და საინტერესოა, რა დამოკიდებულება იყო მწვრთნელებსა და ფეხბურთელებს შორის. ამას იმიტომაც გეკითხებით, რომ ამ ურთიერთობის თემა ბოლო დროს ძალიან აქტუალური გახდა იმის ფონზე, რაც საქართველოს ეროვნული ნაკრების გარშემო ხდება...**

- დისციპლინა და ურთიერთობა - „დინამოში" ეს ყველაფერი მაღალ დონეზე იყო. ფეხბურთში ყველაფერი ხდება, მათ შორის - უთანხმოებები, ეს დიდ გუნდებშიც არის და პატარებშიც, ოღონდ, ასეთი საკითხები ოჯახში უნდა მოგვარდეს, ყველაფრის გარეთ გამოტანა დაუშვებელია.

**- დამეთანხმებით, ამ ყველაფერში ძალიან მნიშვნელოვანია მწვრთნელის ფაქტორი...**

- მწვრთნელს ცალ ხელში მათრახი უნდა ეჭიროს, მეორეში კი შოკოლადი - ასე უნდა მოაწყოს ურთიერთობა. არ არსებობენ იდეალური მწვრთნელები და იდეალური ფეხბურთელები, მაგრამ კონფლიქტების გარეთ გამოტანას არ მივესალმები.

**- „ვიტ ჯორჯიაში" როგორ მოახერხეთ კარგი, შეკრული გუნდის შექმნა?**

- კლუბის პრეზიდენტიდან დაწყებული, მძღოლით დამთავრებული - ერთიანი სისტემა იყო, ერთი ოჯახივით ვიყავით, წარმატებისთვის საჭირო ერთიანი აურა გვქონდა, ერთი სული და გული - ამ ყველაფერს მოაქვს წარმატება.

**- თბილისის „დინამოსთან" განშორების მიზეზი რა იყო?**

- კლუბში გადაადგილებები მოხდა და იქ ჩემი ადგილი აღარ აღმოჩნდა. მადლობა მითხრეს და დავშორდით. „დინამოში" ჩემი საფეხბურთო საქმიანობის ყველაზე დიდი ნაწილი გავატარე და ყოველთვის მის გულშემატკივრად დავრჩები.

**დავით თავართქილაძე**

● ზუგდიდი

## რატომ არ იყო დარასელია ვიტ ჯორჯიასთან?

24 ნოემბერს, „ზუგდიდის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე **გიორგი დარასელიას** დებიუტი უნდა შემდგარიყო. თუმცა „მცხეთა პარკზე", სადაც ეროვნული ჩემპიონატის მე-13 ტურში ზუგდიდელები „ვიტ ჯორჯიას" ესტუმრნენ, სტუმრები მოედანზე **ოთარ თუთბერიძემ** გაიყვანა. არადა, კლუბის ოფიციალური ვებგვერდი წერდა, რომ გუნდის ახალმა მთავარმა მწვრთნელმა 19 ნოემბერს „ზუგდიდი" პირველად ავარჯიშა, „ვიტ ჯორჯიასთან" მატჩამდე კი ის ოფიციალურადაც წარადგინეს.

რატომ არ იყო დარასელია მცხეთაში „ზუგდიდის" მთავარი მწვრთნელის რანგში და ხომ არ გადათქვა გუნდში მისვლა? შევიტყვეთ, რომ მიზეზი ტექნიკურია. ზუგდიდური კლუბის მწვრთნელის დოკუმენტურად დამტკიცება ვერ მოხერხდა, რის გამოც დარასელიამ თამაშს ტრიბუნიდან ადევნა თვალი. დავაზუსტეთ და გვითხრეს, რომ ეს საკითხი უკვე მოგვარდა. „ზუგდიდის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე გორის „დილასა" და ხაბაროვსკის „სკა ენერგიას" ყოფილი თავკაცის დებიუტი მორიგ ტურში, მარტვილის „მერანთან" საშინაო მატჩში შედგება.

დარასელიას ძალიან მძიმე ამოცანის გადაწყვეტა მოუწევს - 13 ტურის შემდეგ „ზუგდიდი" 7 ქულით ბოლო, მე-12 ადგილზეა და კონკურენტ ცხინვალის „სპარტაკს" 3 ქულით ჩამორჩება.

**მერაბ მამულაშვილი**

● ზუგდიდი



ალექსანდრე იაშვილი

## იაშვილი ტურის საუკეთესო ფეხბურთელია

აზერბაიჯანულმა პროფლიგამ დაასახელა მე-14 ტურის სიმბოლური ნაკრები, რომელშიც ბაქოს „ინტერის" ფორვარდი **ალექსანდრე იაშვილი** მოხვდა. მეტიც, 36 წლის ვეტერანი ოფიციალურად დაასახელეს ტურის საუკეთესო ფეხბურთელად.

შეგახსენებთ, რომ ამ ტურში „ინტერმა" ლიდერ „ნეფთჩის" 3:1 მოუგო და ლიდერობა დააკარგვინა, ხოლო იაშვილმა ჩემპიონატში მეორე გოლი გაიტანა.

ეს გამარჯვება **კახა ცხადაძის** სამწვრთნელო კარიერაში აზერბაიჯანში მე-100 იყო.

## ძალამიძეს აღარ ჰყიდულობთო...

პოლონური პრესის ინფორმაციით, ფინანსურად მომძლავრებული შჩეცინის „პოგონი" 21 წლის **ნიკა ძალამიძით** დაინტერესდა, რომელიც „იაგელონიას" ფეხბურთელია და წლის ბოლომდე ტრავმირებულია. გუშინ ამ ინფორმაციას „პოგონის" ვიცე-პრეზიდენტი **გრეგორჟ სმოლნი** გამოეხმაურა. მან „სპორტთან" საუბარში ქართველის ტრანსფერი არ დაადასტურა:

*„ეს ინფორმაცია რეალურ საფუძველს მოკლებულია. „პოგონს" ადრე სურდა ძალამიძის დამატება, თუმცა ეს ინფორმაცია უკვე მოძველებულია".*

შეგახსენებთ, რომ ძალამიძის ტრანსფერი „პრეგლად სპორტოვემ" გაახმიანა, სავარაუდო თანხად კი 300 ათასი ევრო დაასახელა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

II ლიგა

# უცნაურიც, საინტერესოც...

ერთი ტურიც და, პირველ ლიგაში ხანგრძლივი შესვენება დაიწყება და ეს გათამაშება მომავალი წლის გაზაფხულზე განახლდება. დაპირებისამებრ, პირველი ლიგის ამ ეტაპს აუცილებლად შევაჯამებთ, რამეთუ უამრავი „უცნაურობების“ გარდა, ამ ტურნირზე საინტერესოც არაერთი რამ ხდება. თანაც, ინტრიგა მხოლოდ ის კი არ არის, A და B ზონაში პირველ-მეორე ადგილს რომელი გუნდები დაიკავებენ - არამედ ისიც, თუ რომელი გუნდები გადაინაცვლებენ მომავალი სეზონიდან მეორე ლიგაში...

ეს საფრთხე კი ერთდროულად ექვს გუნდს (სამ-სამს - თითო ზონიდან) ემუქრება და მათ ნაცვლად მეორე ლიგიდან ორი უძლიერესი გუნდი გადმოვა. მოკლედ, კარგია, რომ პირველი ლიგის გუნდების შემცირების ტენდენცია მიმდინარეობს, თუმცა, სასურველი იქნებოდა, რომ სამომავლოდ რაც შეიძლება ნაკლებმა გუნდმა იასპარეზოს; უფრო ზუსტად, იმდენმა, რამდენიც პირველი ლიგისათვის აუცილებელ (გნებავთ - ელემენტარულ) პირობებს დააკმაყოფილებს. თორემ, ცოტა არ იყოს, უხერხულიც არის ისეთი ფაქტების გამომზეურება, როცა სტუმრად ჩასატარებელ მატჩზე გასამგზავრებლად ტრანსპორტისა თუ კვების ფულს... თვითონ ფეხბურთელები აგროვებენ!

ალარაფერს ვამბობთ უკვე წლების განმავლობაში დამკვიდრებულ „ტრადიციაზე“, როცა პირველი ლიგის ბევრი გუნდის ფეხბურთელი საერთოდ არ იღებს ხელფასს - ისე, უბრალოდ, ენთუზიაზმზე თამაშობენ! ჰო, ეს ყველაფერი პირველ ლიგაში ხდება და


ბესიკ შეროზია

ადვილი წარმოსადგენია, თუ რა პრობლემები იქნება რანგით უფრო დაბალ, ანუ, მეორე ლიგაში, სადაც ასევე მალე გამოცხადდება შესვენება. უფრო ზუსტად, დასავლეთ ზონაში პირველი წრე დამთავრდა, აღმოსავლეთში კი - გრძელდება...

თუმცა, გარკვეული დასკვნების გამოტანა უკვე ახლავე შეგვიძლია და დღეს სწორედ მეორე ლიგის (სამოყვარულო სტატუსი რომ აქვს) გათამაშებაზე გვინდა ვისაუბროთ: ერთ დროს პოპულარულ გუნდებზე, ჩვენი ჩემპიონატის კვალობაზე ცნობად მწვრთნელებსა თუ ფეხბურთელებზე და ასე შემდეგ...

## ძველი სახეები: ჩუბინიძე, შეროზია...

დასავლეთ ზონაში პირველი წრე დამთავრდა და, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ საშუალედო ეტაპის გამარჯვებული ზუგდიდის „ლაზიკა“ გახდა. თუმცა, ვიდრე ამ გუნდზე ვისაუბრებდეთ, ისიც გვინდა ვთქვათ, რომ დასავლეთ ზონის გათამაშებას უკვე წლებია იმერეთის ფეხბურთის რეგიონული ფედერაცია (პრეზიდენტი - **ვალერი მანაგაძე**) ატარებს; ამ ორგანიზაციას საკუთარი ვებ-გვერდიც აქვს, სადაც ოპერატიულად შეგიძლიათ მოიპოვოთ ინფორმაცია არა მხოლოდ მეორე ლიგის დასავლეთ ზონის მატჩებზე (ეგ კი არა, მიმოხილვებიც აქვთ), არამედ, ამ რეგიონული ფედერაციის ეგიდით ჩატარებულ სხვადასხვა ტურნირის შესახებაც შეიტყობთ ბევრ რამეს.

...დასავლეთ ზონაში ორი ისეთი გუნდი ასპარეზობს, სხვადასხვა დროს უმაღლეს ლიგაშიც რომ უასპარეზია: სენაკის „ეგრისი“ და ზესტაფონის „მარგვეთი“. **გურამ ჩიქობავას** ხელმძღვანელობით მოასპარეზე „ეგრისი“ კვალდაკვალ მისდევს „ლაზიკას“, აი, „მარგვეთმა“ კი პირველი წრე მესამე ადგილზე დაასრულა. თუმცა ზესტაფონელებს საამაყოდ უნდა ჰქონდეთ ის ფაქტი, რომ სწორედ „მარგვეთის“ ფეხბურთელი ლიდერობს ბომბარდირთა დავაში: 20 წლის **ონისე ჩინჩალაძემ** 12 მატჩში 18 გოლი გაიტანა, რაც, ვფიქრობთ, ურიგო შედეგი არ უნდა იყოს.

...დღესდღეობით მეორე ლიგაში (ორივე ზონაში) მოასპარეზე გუნდებიდან „მარგვეთს“ აქვს ყველაზე მეტი სეზონი (რვა) უმაღლეს ლიგაში გატარებული; ეგ კი არა, 1995-96 წლების ჩემპიონატში „მარგვეთი“ მხოლოდ და მხოლოდ თბილისის „დინამოს“ ჩამორჩა და ვერცხლის მედლებს დაეუფლა! თანაც, „მარგვეთმა“ იმ სეზონის მართლაც დრამატულ ფინიშზე სამ გამოკვეთილ ფავორიტს აჯობა: რუსთავის „მეტალურგს“, „სამტრედიას“ და ფოთის „კოლხეთს“. „მარგვეთის“ მაშინდელი წარმატება კლუბის იმდროინდელ პრეზიდენტ **ვასილ ხაჭაპურიძესთან** ერთად მთავარი მწვრთნელის ზაურ ჩუბინიძის დამსახურებაც გახლდათ. და აი, **ზაურ ჩუბინიძე** დღესაც აგრძელებს თავის ხანგრძლივ სამწვრთნელო კარიერას და 73 წლის სპეციალისტი კვლავაც მშობლიურ „მარგვეთს“ მოძღვრავს!..

**...ლევან აკობია, მამუკა ჭკადუა, დემურ სამსეიშვილი, ნიკა ხუხია, დავით კუტალია,** - ამ ფეხბურთელებს სულ ახლო წარსულში არაერთი მატჩი ჩაუტარებიათ უმაღლეს ლიგაში; ლევან აკობია წლების განმავლობაში სომხეთის პირველობაზეც ასპარეზობდა, მაგრამ ახლა „ლაზიკაში“ არიან და გუნდს პირველ ლიგაში გადასვლაში ეხმარებიან. ალარაფერს ვამბობთ „ლაზიკას“ მთავარ მწვრთნელზე: **ბესიკ შეროზიას** ხომ მართლაც „ეხერხება“ ამა თუ იმ გუნდის ზედა ლიგაში ალზევება! ამ სპეციალისტმა ჯერ კიდევ 12 წლის წინ „ლაზიკა“ მეორედან პირველ ლიგაში გადაიყვანა, ორი წლის შემდეგ კი - უმაღლესშიც!

თუმცა, ამ პერიოდში ჩვენთან ხომ „მოდაში“ იყო გუნდების „გაერთიანება“ და ამიტომაც მოხდა, რომ 2004-05 წლების სეზონში უმაღლეს ლიგაში ზუგდიდის „ლაზიკას“ ნაცვლად... თბილისის „სპარტაკმა“ იასპარეზა! თუმცა, შეროზია მალე „მეორე წრეზე“ წავიდა და ზუგდიდის კიდევ ერთი, ახლადდაარსებული გუნდი „მგლები“ ჩაიბარა და აქაც იგივე გამეორდა: პირველივე ცდაზე „მგლებმა“ მეორედან პირველ ლიგაში აინაცვლეს მერე კი, უკვე ერთი წლის შემდეგ გუნდმა უმაღლესი ლიგის საგზური მოიპოვა!

შეროზია ორსეზონნახევარი თავკაცობდა „მგლებს“ (მერე, „ბაია“ რომ გადაერქვა) და ვერავინ იტყოდა, რომ ეს გუნდი მაჩანჩალა იყოო; თუმცა 2009-10 წლების სეზონის პირველი ეტაპი რომ დასრულდა, ეს სპეციალისტი ზუგდიდიდან წამოვიდა და პირველ ლიგაში დაბრუნდა, ოღონდ არანაკლებ კი არა, ბევრად უფრო ამბიციურ გუნდში - ფოთის „კოლხეთში“. ჰოდა, სწორედ შეროზიას ხელმძღვანელობით შეძლო საქართველოში ერთ-ერთმა ყველაზე უძველესმა გუნდმა სამწლიანი პაუზის შემდეგ უმაღლეს ლიგაში დაბრუნება; ფოთის მერე შეროზია კვლავაც პირველ ლიგას დაუბრუნდა და წინა სეზონში პირველ ეტაპზე ცხინვალის „სპარტაკის“ ფაქტობრივად, ერთადერთი კონკურენტი სწორედ მისი დამოძღვრილი ხობის „კოლხეთი“ იყო.

ახლა კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არც მეორე ლიგაში მუშაობა ითაკილა და თავის ძველ-ახალ გუნდთან, ზუგდიდის „ლაზიკასთან“ ერთად ჯერ - პირველ ლიგაში, მერე კი, ალბათ... უმაღლეს ლიგაში დაბრუნებასაც შეეცდება!

**გია ტუხაშვილი**

**P.S.** აღმოსავლეთ ზონაში როგორც კი პირველი წრე დასრულდება, იქ მოასპარეზე გუნდებსა თუ ფეხბურთელებზეც აუცილებლად ვისაუბრებთ.

### II ლიგა
### აღმოსავლეთი ზონა
### XII ტური

| | |
|---|---|
| მარკ სტარი-არაგვი | 5:1 |
| ბორჯომი-ლიახვი | 5:2 |
| რუსთავი-ივერიონი | 3:3 |
| დინამო (ს)-სასკო 2 | 2:0 |
| იბერია-ფორვარდი | 7:3 |
| დურუჯი-გოლიადორი | 7:1 |
| აზული-ივერია | 1:0 |
| საქ. უნივერსიტეტი-ალაზანი | 5:3 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორჯომი | 12 | 10 | 2 | 0 | 44-8 | 32 |
| 2. მარკ სტარი | 12 | 10 | 0 | 2 | 52-9 | 30 |
| 3. საქ. უნივერს. | 12 | 8 | 2 | 2 | 41-17 | 26 |
| 4. ივერია | 12 | 8 | 1 | 3 | 33-19 | 25 |
| 5. ლიახვი | 12 | 7 | 4 | 1 | 28-15 | 25 |
| 6. გოლიადორი | 12 | 7 | 0 | 5 | 34-29 | 21 |
| 7. არაგვი | 12 | 4 | 5 | 3 | 24-23 | 17 |
| 8. აზული | 12 | 5 | 2 | 5 | 14-17 | 17 |
| 9. დურუჯი | 12 | 5 | 1 | 6 | 19-20 | 16 |
| 10. ივერიონი | 12 | 3 | 5 | 4 | 19-21 | 14 |
| 11. ალაზანი | 12 | 3 | 3 | 6 | 19-20 | 12 |
| 12. დინამო (ს) | 12 | 3 | 1 | 8 | 14-33 | 10 |
| 13. იბერია | 12 | 3 | 1 | 8 | 22-44 | 10 |
| 14. რუსთავი | 12 | 2 | 1 | 9 | 20-53 | 7 |
| 15. სასკო 2 | 12 | 2 | 0 | 10 | 10-32 | 6 |
| 16. ფორვარდი | 12 | 1 | 2 | 9 | 10-33 | 5 |

### ძაბუკთა ლიგა
### XII ტური
### 1996/97 წ.დ.

| | |
|---|---|
| სპარტაკი-ვიტ ჯორჯია | 1:4 |
| გურია-მერანი | 1:0 |
| მეტალურგი-დილა | 1:0 |
| სიონი-ნ. დინამო | 2:1 |
| დინამო (თბ)-35-ე სს | 4:2 |
| ზუგდიდი-ტორპედო | 1:1 |
| ზესტაფონი-საბურთალო | 1:0 |
| დინამო (ბთ)-ჩიხურა | 2:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მეტალურგი | 12 | 11 | 1 | 0 | 38-8 | 34 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 12 | 7 | 4 | 1 | 28-17 | 25 |
| 3. ტორპედო | 12 | 7 | 4 | 1 | 21-12 | 25 |
| 4. დინამო (თბ) | 12 | 7 | 1 | 4 | 25-14 | 22 |
| 5. დინამო (ბთ) | 12 | 7 | 1 | 4 | 26-20 | 22 |
| 6. დილა | 12 | 6 | 4 | 2 | 24-8 | 22 |
| 7. მერანი | 12 | 6 | 1 | 5 | 15-16 | 19 |
| 8. საბურთალო | 12 | 5 | 3 | 4 | 20-14 | 18 |
| 9. 35-ე სს | 12 | 5 | 2 | 5 | 21-20 | 17 |
| 10. სიონი | 12 | 4 | 1 | 7 | 18-26 | 13 |
| 11. ზუგდიდი | 12 | 3 | 4 | 5 | 13-15 | 13 |
| 12. ზესტაფონი | 12 | 3 | 3 | 6 | 13-22 | 12 |
| 13. ნ. დინამო | 12 | 3 | 2 | 7 | 19-28 | 11 |
| 14. სპარტაკი | 12 | 2 | 2 | 8 | 13-27 | 8 |
| 15. გურია | 12 | 2 | 1 | 9 | 4-33 | 7 |
| 16. ჩიხურა | 12 | 1 | 0 | 11 | 7-25 | 3 |

### 1998/99 წ.დ.

| | |
|---|---|
| სპარტაკი-ვიტ ჯორჯია | 0:3 |
| გურია-მერანი | 1:3 |
| მეტალურგი-დილა | 0:3 |
| სიონი-ნ.დინამო | 2:2 |
| დინამო (თბ)-35-ე სს | 1:3 |
| ზუგდიდი-ტორპედო | 2:0 |
| ზესტაფონი-საბურთალო | 0:0 |
| დინამო (ბთ)-ჩიხურა | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საბურთალო | 12 | 9 | 3 | 0 | 41-3 | 30 |
| 2. დინამო (თბ) | 12 | 9 | 2 | 1 | 39-6 | 29 |
| 3. 35-ე სს | 12 | 8 | 1 | 3 | 25-14 | 25 |
| 4. დილა | 12 | 7 | 3 | 2 | 18-8 | 24 |
| 5. ტორპედო | 12 | 7 | 1 | 4 | 28-13 | 22 |
| 6. ზუგდიდი | 12 | 7 | 1 | 4 | 19-16 | 22 |
| 7. ნ. დინამო | 12 | 6 | 4 | 2 | 15-12 | 22 |
| 8. ვიტ ჯორჯია | 12 | 5 | 2 | 5 | 18-15 | 17 |
| 9. მეტალურგი | 12 | 4 | 3 | 5 | 15-19 | 15 |
| 10. ზესტაფონი | 12 | 3 | 5 | 4 | 11-11 | 14 |
| 11. დინამო (ბთ) | 12 | 4 | 1 | 7 | 10-16 | 13 |
| 12. სპარტაკი | 12 | 3 | 1 | 8 | 15-28 | 10 |
| 13. მერანი | 12 | 3 | 1 | 8 | 8-30 | 10 |
| 14. გურია | 12 | 2 | 1 | 9 | 7-43 | 7 |
| 15. სიონი | 12 | 1 | 4 | 7 | 12-29 | 7 |
| 16. ჩიხურა | 12 | 1 | 1 | 10 | 4-22 | 4 |

ვარსკვლავი


სებასტიან კოატესი ოპტიმისტურ განწყობას ინარჩუნებს

# დავიწყებული ურუგვაელი

„ლივერპულის“ 23 წლის ურუგვაელი ცენტრალური მცველი **სებასტიან კოატესი** მინდორზე უკანასკნელად 14 აგვისტოს იაპონიასთან ამხანაგურ შეხვედრაში გამოჩნდა. შეცვლაზე შესულმა მხოლოდ 10 წუთი ითამაშა, მაგრამ ეს დრო საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ უმძიმესი ტრავმა მიეღო. სამხრეთამერიკელს მუხლის ჯვარედინი მყესები აქვს განყვეტილი. სამწუხაროდ, ახალგაზრდა უკანახაზელი თამაშს კიდევ დიდხანს ვერ შეძლებს. არ არის გამორიცხული, სარეაბილიტაციო პროცესი სეზონის ბოლომდე გაგრძელდეს და ფეხბურთელი მსოფლიოს ჩემპიონატს მიღმა დარჩეს. თუმცა იქამდე დიდი დროა. აი, რა თქვა მან საკლუბო ვებგვერდთან ინტერვიუში:

*„გარკვეული პროგრესი უკვე არის. ტრავმა ძალიან მძიმე იყო. შესაბამისად, მკურნალობას დიდი დრო და უზარმაზარი ენერგია მიაქვს. სრული რეაბილიტაციისთვის კიდევ დიდი შრომა მომიწევს. ყველაფერს ვაკეთებ, რათა რაც შეიძლება სწრაფად დავუბრუნდე საყვარელ საქმეს. ამბობენ, რომ რეაბილიტაციისას სერიოზულ როლს თამაშობს მორალური მდგრადობა. მნიშვნელოვანია, რომ გჯეროდეს საკუთარი ძალების, არ დაეცე მორალურად და შეინარჩუნო დადებითი განწყობა. სრულად კონცენტრირებული ვარ, რათა ურუგვაის ნაკრებთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონატზე წასვლის შანსი მომეცეს. ეს ფაქტორი დამატებით ძალას მმატებს“.*

**ლევან ბიბილაშვილი**

ამბები


მიქაელ ლაუდრუპი (მარცხნივ) და ანდრე ვილაშ ბოაში

## ლაუდრუპი ვილაშ ბოაშის მემკვიდრედ?

„გარდიანის“ მტკიცებით, „ტოტენჰემის“ მთავარი მწვრთნელის **ანდრე ვილაშ ბოაშის** ჩრდილოლონდონური კარიერა წკიპზეა და ის ამ ზღვარსაც გადალახავს, თუკი 1 დეკემბერს „მანჩესტერ იუნაიტედთან“ პრინციპულ დაპირისპირებაში დამარცხდება. მიუხედავად სატრანსფერო ბაზარზე არნახული დანახარჯებისა (128 მილიონ ევროზე მეტი), პორტუგალიელმა ვერ შეძლო გუნდის გაძლიერება. მეტიც, ამბობენ, რომ დირექტორატის კრებაზე წარუმატებლობათა მიზეზებს შორის მან სპორტულ დირექტორთან, იტალიელ **ფრანკო ბალდინისთან** უთანხმოება დაასახელა. თუკი პორტუგალიელს კარისკენ მიუთითეს, ბრიტანული პრესის ინფორმაციით, პირველი, ვისთანაც „დეზები“ მოლაპარაკებებს დაიწყებენ, „სუონსის“ დანიელი თავკაცი **მიქაელ ლაუდრუპია**.

## ბეგოვიჩი სეზონის ბოლომდე რჩება

„სტოკ სიტი“ ადასტურებს, რომ მზად არის **ასმირ ბეგოვიჩით** დაინტერესებული კლუბების წინადადებები მოისმინოს, თუმცა კლუბი მოლაპარაკებებს მხოლოდ სეზონის ბოლოს თუ დათანხმდება. იქამდე კი ლაპარაკი ბოსნიელის წასვლაზე ყოველგვარ აზრს მოკლებულია. „მეთიხეთა“ პრეზიდენტი **პიტერ კოუტსი** იძულებული გახდა, პრესასთან ამ თემაზე ესაუბრა, რადგან ინგლისში ბეგოვიჩის საიანვრო ტრანსფერზე წერას შეუდგნენ. *„ასმირი ტოპკლასის ფეხბურთელია. მისი კალიბრის მოთამაშეებზე ქორები ხშირად ვრცელდება. ჩვენთვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რომ მან სეზონი ჩვენთან ჩაამთავროს,“* - განაცხადა კოუტსმა.

## ნიუკასლი რემის ყიდულობს

**ლოიკ რემი** „ნიუკასლში“ „ქუინზ პარკიდან“ იჯარით არის გაშვებული. თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ 26 წლის ფრანგი თავდამსხმელი კარიერაში საუკეთესო სეზონს ატარებს. ფეხბურთელმა პრემიერლიგის უკანასკნელ 8 შეხვედრაში ამდენივე გოლი გატანა. „კაჭკაჭებმა“ „რეინჯერებს“ უკვე მიმართეს და ფეხბურთელის კონტრაქტის გამოსყიდვაზე მოლაპარაკებების დაწყება შესთავაზეს. უშუალოდ ფეხბურთელის პოზიცია ცნობილია. მას არც თავის დროზე სურდა „მარსელიდან“ „ქუინზ პარკში“ გადასვლა და ახლა მით უმეტეს არ ხიბლავს იქ დაბრუნების პერსპექტივა, როცა ბოლოს და ბოლოს მოახერხა და თავისი თამაში იპოვნა. ის, რომ დედაქალაქელებს ფინანსური ფეარ პლეის წესების დარღვევის გამო, სერიოზული პრობლემები ელით, ტაინსაიდელებს საქმეს ალბათ სერიოზულად გაუადვილებს.

**ლევან ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექსპერტის აზრი

# ანჩელოტის ოცნების გუნდი

## იბრაჰიმოვიჩის გარეშე წარმოუდგენელია


კარლო ანჩელოტი და მისი ოცნების გუნდის სამი ლიდერი: ჯანლუიჯი ბუფონი, ანდრეა პირლო და ზლატან იბრაჰიმოვიჩი

მადრიდის „რეალის" თავკაცი **კარლო ანჩელოტი** 28 წელია, საკლუბო დონეზე მწვრთნელის რანგში მოღვაწეობს და ჩემპიონთა ლიგა ორჯერ აქვს მოგებული. ამ ხნის განმავლობაში მას არაერთ სუპერვარსკვლავთან უმუშავია, უდიდეს წარმატებებს კი „მილანთან" ერთად მიაღწია, სადაც **კახი კალაძეს** თავკაციც გახლდათ. ბრიტანული „თაიმსის" ჟურნალისტმა კარლიტოს ოცნების გუნდის შედგენა სთხოვა, ოღონდ იმ ფეხბურთელებით, რომლებსაც ავარჯიშებდა და „რეალის" დღევანდელი ფეხბურთელების გარეშე.

სანამ ანჩელოტის საოცნებო გუნდს გაგაცნობდეთ, თვალი გადავავლოთ მის სამწვრთნელო კარიერას. იტალიელმა სპეციალისტმა მწვრთნელობა 1992 წელს დაიწყო და თავიდან იტალიის ნაკრების თავკაცის ასისტენტი გახლდათ. მერე იყო „რეჯანა" (1995-96), „პარმა" (1996-98), „იუვენტუსი" (1999-2001), „მილანი" (2001-2009), „ჩელსი" (2009-2011), პსჟ (2012-2013), ახლა კი მადრიდის „რეალის" დამრიგებელია.

შესაბამისად, სულაც არაა გასაკვირი, რომ ანჩელოტის თავისი ოცნების გუნდის შედგენა ძალიან გაუჭირდა. დავიწყოთ მეკარის პოზიციით. ანჩელოტი ამბობს: *„ყველა კლუბში შესანიშნავი მეკარეები მყავდა. იკერ კასილიასი, პეტრ ჩეხი, ედვინ ვან დერ სარი, დიდა... მაგრამ ჯანლუიჯი ბუფონი განუმეორებელი გოლკიპერია. ჯიჯის „პარმაში" ვწვრთნიდი და მაშინ აბსოლუტურად დარწმუნებული გახლდით იმაში, რომ ბუფონი ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე გახდებოდა."*

ამრიგად, ანჩელოტის ოცნების გუნდის კარს **ბუფონი** იცავს. კარლიტოს წინა ხაზზეც დიდი არჩევანი აქვს, მაგრამ ერთი რამ თავიდანვე თქვა: *„ჩემი ოცნების გუნდის თავდასხმა ზლატან იბრაჰიმოვიჩის გარეშე წარმოუდგენელია. ეს არის ცენტრფორვარდი, რომლის დარიც მთელ მსოფლიოში არ მეგულება. ზლატანს შეუძლია ის, რაც არც ერთ სხვა ცენტრალურ თავდამსხმელს არ გამოსდის. იდეალურად თამაშობს თავით, აქვს ბრწყინვალე ტექნიკა, გოლის ალღო, ძლიერი დარტყმა, უდიდესი ჟინი, თავდადება და რაც ყველასგან გამოარჩევს, შეუძლია უცნაურზე უცნაური და აბსოლუტურად მოულოდნელი გოლების გატანაც. იბრაჰიმოვიჩი განუმეორებელია."*

თუ ვინ მოხვდა ანჩელოტის ოცნების გუნდში ბუფონისა და **იბრაჰიმოვიჩის** გარდა, ამას ქვემოთ მოყვანილ ჩამონათვალში შეიტყობთ და დარწმუნდებით, რომ ეს ფეხბურთის აბსოლუტური ელიტაა. თავად განსაჯეთ, კარლიტოს ოცნების გუნდის ძირითად შემადგენლობაში ვერ მოხვდნენ ისეთი სუპერვარსკვლავები, როგორებიც არიან **ფაბიო კანავარო, ალესანდრო ნესტა, იაპ სტამი, ლილიან ტიურამი, ალესანდრო კოსტაკურტა და რონალდინიო.** ჰო, კარლიტო ოცნების გუნდში მოხვედრილების გარდა, ამ მოთამაშეების მწვრთნელიც იყო.

### კარლო ანჩელოტის 11-ეული

**მეკარე: ჯანლუიჯი ბუფონი** (იუვენტუსი) - ანჩელოტი ჯიჯის მწვრთნელი 1996-დან 1998 წლამდე, „პარმაში" იყო.

**მარჯვენა მცველი: კაფუ** (კარიერა დაასრულა) - ბრაზილიელი ანჩელოტის მიერ გაწვრთნილ მილანში 2003-დან 2008 წლამდე თამაშობდა და ფაქტობრივად მთელი მარჯვენა ფლანგი ებარა.

**ცენტრალური მცველი: ტიაგო სილვა** (პსჟ) - კარლიტომ ბრაზილიელი ტიაგო სილვა ისეთ დიდ მცველებზე წინ დააყენა, როგორებიც არიან კანავარო, ნესტა და კოსტაკურტა, რაც საკმაოდ მოულოდნელია. ტიაგო სილვას ანჩელოტი 2012/2013 წლებში, პსჟ-ში ავარჯიშებდა.

**ცენტრალური მცველი: ჯონ ტერი** (ჩელსი) - ტერი ანჩელოტის შეგირდი 2009-დან 2011 წლამდე ლონდონის „ჩელსიში" იყო.

**მარცხენა მცველი: პაოლო მალდინი** (კარიერა დაასრულა) - დიდი პაოლო კარლიტოს შეგირდი „მილანში" (2001-2009) გახლდათ.

**საყრდენი ნახევარმცველი: ფრენკ ლამპარდი** (ჩელსი) - ფრენკი ანჩელოტის შეგირდი „ჩელსიში" იყო.

**საყრდენი ნახევარმცველი: ანდრეა პირლო** (იუვენტუსი) - პირლო დღეს „იუვენტუსის" ლიდერია, ანჩელოტის ხელმძღვანელობით კი 2001-დან 2009 წლამდე „მილანში" თამაშობდა და ორჯერ მოიგო ჩემპიონთა ლიგა.

**გამთამაშებელი: ზინედინ ზიდანი** (კარიერა დაასრულა) - ანჩელოტი გენიალური ზიზუს დამრიგებელი 1999-დან 2001 წლამდე, ტურინის „იუვენტუსში" იყო.

**გამთამაშებელი: კაკა** (მილანი) - კაკაც იმ „მილანის" ლიდერი გახლდათ, რომლითაც ანჩელოტიმ ევროპა დაიპყრო.

**თავდამსხმელი: ანდრეი შევჩენკო** (კარიერა დაასრულა) - შევა კარლიტოს „მილანში" 2001-დან 2006 წლამდე თამაშობდა.

**თავდამსხმელი: ზლატან იბრაჰიმოვიჩი** (პსჟ) - იტალიელი სპეციალისტი იბრას წინა სეზონში, პსჟ-ში თავკაცობდა.

ანჩელოტის ოცნების გუნდის სათადარიგო ფეხბურთელები: **პეტრ ჩეხი** (ჩელსი), **ალესანდრო ნესტა** (მონრეალ იმპაქტი), **ეშლი კოული** (ჩელსი), **ჯენარო გატუზო** (კარიერა დაასრულა), **კლარენს ზეედორფი** (ბოტაფოგო), **ფილიპო ინძაგი** (კარიერა დაასრულა), **დიდიე დროგბა** (გალათასარაი)

**გოტფრიდ ლენცი**

კვირა ციფრებში

# საიუბილეო მატჩები და გოლები

**კვირის დღევანდელ მიმოხილვაში ჯანლუიჯი ბუფონის და არიენ რობენის მიღწევებზე, კარლოს ველას შესანიშნავ თამაშზე, „ტოტენჰემის" სარეკორდო მარცხზე და მსოფლიოს ჩემპიონატზე ვისაუბრებთ...**

**500** - მატჩი აქვს უკვე ჩატარებული სერია A-ში ჯანლუიჯი ბუფონს, რომელსაც იტალიის უმაღლეს ლიგაში დებიუტი 18 წლის და 4 დღის წინ ჰქონდა. ვეტერანმა მეკარემ ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა კარის მშრალად შენახვით აღნიშნა და „იუვენტუსში" ჩატარებულ 332-ე მატჩში 145-ე „შათაუტი" შეასრულა, ტურინულმა კლუბმა კი „ლივორნოს" 2:0 მოუგო, რაც ნიშნავს იმას, რომ „იუვეს" გოლი უკვე 5 მატჩია არ გაუშვია.

სერია A-ში თავისი მე-200 მატჩი ჩაატარა **კაკამ**, ვინც „მილანის" რიგებში 97-ე გოლი გაიტანა, გუშინწინ კი თავი „სელტიკთანაც" გამოიჩინა და გოლების რაოდენობა 98-მდე გაზარდა.

ამასობაში, 2013 წელს პირველი საშინაო მარცხი განიცადა „ნაპოლიმ" (0:1, „პარმასთან") და 16-მატჩიანი წაუგებელი საშინაო სერია დაასრულა - ყველაზე გრძელი ასეთი სერია 1990 წლის შემდეგ. ეს შედეგი კიდევ უფრო საოცარი იმის გამოა, რომ „პარმას" ამ სეზონში სტუმრად მოგებული არ ჰქონდა. გამარჯვების მომტანი გოლი **ანტონიო კასანომ** გაიტანა, ვისთვისაც ეს ბურთი ასევე საიუბილეო, მე-100 იყო სერია A-ში.

**100** - გოლი აქვს გატანილი ოთხ სხვადასხვა ჩემპიონატში **არიენ რობენს**, მას შემდეგ, რაც ჰოლანდიელმა დორტმუნდის „ბორუსიას" კარი დალაშქრა და საკუთარი გუნდის გამარჯვებაში (3:0) თავისი წვლილი შეიტანა. რობენმა „ბაიერნის" რიგებში 49-ე ბუნდესლიგური გოლი გაიტანა. გარდა ამისა, მის ანგარიშზეა: 11 ბურთი „რეალში", 15 - „ჩელსიში", 17 - „პსვ ეინდჰოვენში" და 8 - „გრონინგენში".

საინტერესოა, რომ „ბაიერნი" და „ბორუსია" ერთმანეთს მე-100-ედ შეხვდნენ და მიუნხენურმა გუნდმა, ბუნდესლიგის ეგიდით, „ბორუსიასთან" 6-მატჩიანი მოუგებელი სერია დაასრულა, რომელიც 2010 წლის თებერვალში დაიწყო. „რეკორდმაისტერმა" ზედიზედ 50-ე შეხვედრაში გაიტანა, რაც გერმანიის ჩემპიონატის რეკორდია. ასევე, „ბაიერნმა" 15 ტურის შემდეგ 35 ქულა მოაგროვა - ასეთი შედეგი ბუნდესლიგის ისტორიაში აქამდე არავის ჰქონია.

**8** - ნაკრებს აქვს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოპოვებული და 2014 წლის მუნდიალზე რვავე ითამაშებს. ეს ყველაფერი მას შემდეგ გაირკვა, რაც ურუგვაიმ პლეი ოფში იორდანიას აჯობა და ჩემპიონატის მონაწილე 32-ე გუნდი გახდა. სამხრეთამერიკელებს ფინალურ ეტაპზე 6 გუნდი ეყოლებათ - ამაზე მეტი წარმომადგენელი კონმებოლს მხოლოდ პირველ, 1930 წლის მუნდიალზე (7) ჰყავდა.

საინტერესოა, რომ აფრიკიდან ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური იმ ხუთმა გუნდმა მოიპოვა, ვინც 2010 წლის მუნდიალზეც ითამაშა. ზოგადად კი მსოფლიოს ჩემპიონატს მხოლოდ ერთი დებიუტანტი ეყოლება - ბოსნიის ნაკრები.

სულ, მომავალ ჩემპიონატზე 8 ისეთი ნაკრები ითამაშებს, ვინც 2010-ში ფინალურ ეტაპზე ვერ მოხვდა. ბოსნიის გარდა, ესენი არიან: ბელგია, კოლუმბია, კოსტა რიკა, ხორვატია, ეკვადორი, ირანი და რუსეთი.

**6** - უპასუხო გოლი გაუტანა „მანჩესტერ სიტიმ" „ტოტენჰემს" და ლონდონურ გუნდს პრემიერლიგის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მწარე მარცხი აგემა. ასეთივე ანგარიშით „დეზებმა" 1993 წელს, „შეფილდ იუნაიტედთან" წააგეს, სამი წლის შემდეგ კი „ნიუკასლთან" ასევე 6-ბურთიანი სხვაობით, ოღონდ 1:7 დამარცხდნენ.

„სიტიმ" პირველ 6 საშინაო შეხვედრაში 26 გოლი გაიტანა და „სანდერლენდის" 1935/36 წლების სეზონის შედეგი გაიმეორა. იმ წელს „სანდერლენდი" ინგლისის ჩემპიონი გახდა, „მანჩესტერ სიტი" კი ამჟამად მეოთხე ადგილზეა. საინტერესოა, რომ „სიტის" ამ სეზონში მხოლოდ „ეტიჰადზე" აქვს იმაზე მეტი გოლი გატანილი, ვიდრე პრემიერლიგის რომელიმე გუნდს შინ თუ გარეთ.



ჯანლუიჯი ბუფონი

კვირას გამართული მატჩის პირველი გოლი მე-14 წამზე გავიდა, როდესაც **უგო ლორისის** კარი **ხესუს ნავასმა** დალაშქრა და „სიტის" რეკორდი დაამყარა. აქამდე, პრემიერლიგაში, მანჩესტერული გუნდის ყველაზე სწრაფი გოლის ავტორი ბრაზილიელი **ჟოვანი** იყო, რომელმაც 2007 წელს, „უიგანის" კარში შეხვედრის 30-ე წამზე გაიტანა.

**4** - გოლი გაიტანა **კარლოს ველამ** „სელტას" კარში და „სოსიედადს" 4:3 მოაგებინა. მექსიკელი ფეხბურთელი გახდა პირველი მოთამაშე ამ სეზონის ევროპის წამყვანი ხუთი ჩემპიონატიდან, ვინც ერთ შეხვედრაში სამზე მეტი გოლი გაიტანა. აღსანიშნავია, რომ ამ მატჩამდე ველას 8-მატჩიანი უგოლო სერია ჰქონდა, ხოლო ბოლო 14 შეხვედრაში თავი მხოლოდ ერთხელ გამოიჩინა.

„ბარსელონამ" „გრანადას" 4:0 მოუგო და ზედიზედ 23-ე საშინაო გამარჯვება მოიპოვა. ამაზე უკეთესი სერია კატალონიურ გუნდს ისტორიაში მხოლოდ ერთხელ, 1958-60 წლებში ჰქონდა, როდესაც მიჯრით 39 საშინაო შეხვედრაში იმარჯვა.

**ხერარდო მარტინოს** გუნდის 25-მატჩიანი წაუგებელი სვლა კი სამშაბათს, „აიაქსთან" დასრულდა, როდესაც 10-კაციანმა ამსტერდამულმა გუნდმა გაძლო და „ბარსას" 2:1 მოუგო. ეს იყო არგენტინელი სპეციალისტის პირველი მარცხი „ბარსელონას" მთავარი მწვრთნელის პოსტზე.

**ტატო ბაციკაძე**

მოსალოდნელი ტრანსფერი

# დიეგო ამტკიცებს: არსენალს ვუნდივარ!

## ბრაზილიელს ვოლფსბურგთან კონტრაქტი უმთავრდება

ბრიტანული „სანისთვის" მიცემულ ინტერვიუში „ვოლფსბურგის" ბრაზილიელმა ნახევარმცველმა **დიეგომ** განაცხადა, რომ მისი გადაბირებით ლონდონის „არსენალია" დაინტერესებული, თუმცა გერმანიაში არ გამორიცხავენ, რომ ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამებოდეს და 28 წლის ბრაზილიელის ამ განცხადებას სხვა მიზანი ჰქონდეს. კერძოდ, საქმე იმაშია, რომ დიეგოს „ვოლფსბურგთან" კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება და ჯერაც არაა გადაწყვეტილი, რა ხელფასს შესთავაზებენ „მგლები" დიეგოს ახალი კონტრაქტის სანაცვლოდ. შესაბამისად, გაჩნდა ეჭვი, რომ ბრაზილიელს ამგვარი ცნობების გავრცელება იმისთვის უნდა, რომ „ვოლფსბურგს" მაქსიმალურად მაღალ ჯამაგირს გამორჩეს.

*„გავიგე, რომ „არსენალი" ჩემი გადაბირებით დაინტერესებულია. თუმცა ეს ჯერ არაოფიციალური ინფორმაციაა. მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ „არსენალი" ჩემთვის იდეალური კლუბი იქნებოდა. ცხადია, რომ ოფიციალურ წინადადებას ულაპარაკოდ დავთანხმდები,"* - აცხადებს დიეგო „სანისთვის" მიცემულ ინტერვიუში და დასძენს: *„პრემიერლიგაში თამაშის პერსპექტივა ჩემთვის საოცნებოა. ეს ჩემი კარიერის პიკი იქნებოდა."*

გადავა დიეგო „არსენალში", სადაც მას ყოფილი თანაგუნდელი **მესუთ იოზილი** ელოდება? 25 წლის მესუთი და ბრაზილიელი ერთად „ვერდერში" თამაშობდნენ. რაც შეეხება „ვოლფსბურგის" ხელმძღვანელების პოზიციას: „მგლების" სპორტული დირექტორი **კლაუს ალოფსი** მიიჩნევს, რომ დიეგოსადმი ინტერესი ლოგიკურია. „ვოლფსბურგის" მფლობელი კომპანიის, ავტოკონცერნ „ფოლკსვაგენის" შეფი **მარტინ ვინტერკორნი** კი ამბობს: *„დიეგოს გაშვება, რა თქმა უნდა, არ მინდა. კარგი ფეხბურთელების გუნდიდან გაშვება არ მიყვარს, დიეგო კი მართლაც შესანიშნავი ფეხბურთელია."*

ამბობენ, რომ ბრაზილიელი შემტევი ნახევარმცველით „საუთჰემპტონიცაა" დაინტერესებული, თუმცა თავად დიეგოს, რა თქმა უნდა, „არსენალში" ურჩევნია...

**გოტფრიდ ლენცი**


გადავა დიეგო არსენალში?

ამბები

# კლოზე ამერიკაში მიდის?

იტალიური გაზეთი „კორიერე დელა სერა" წერს, რომ ზაფხულში **მიროსლავ კლოზეს** რომის „ლაციოდან" აბარგება გადაწყვეტილია. ჩვენი იტალიელი კოლეგების ინფორმაციით, 35 წლის გერმანელი თავდამსხმელი კარიერას აშშ-ში გააგრძელებს.

ეს ცნობა ახალი არ არის - კლოზეს ამერიკაში გადასვლაზე იტალიურ და გერმანულ პრესაში ადრეც დაიწერა. „კორიერე დელა სერას" ინფორმაციით, ახლა სიტყვას საქმეც მოჰყვა და კლოზე „ლოს ანჯელესის „გალაქსისთან" კონკრეტულ მოლაპარაკებებს აწარმოებს. იტალიელები იმასაც წერენ, რომ კლოზემ „ლაციოს" ხელმძღვანელებს ახალი ხელშეკრულების გაფორმებაზე უკვე უარი უთხრა, რაც იმას ნიშნავს, რომ მირო „ლაციოში" დარჩენას ნამდვილად აღარ აპირებს.

შეგახსენებთ, რომ მიროსლავ კლოზე „ლაციოში" 2011 წელს, მიუნხენის „ბაიერნიდან" გადავიდა და მას მერე სერია A-ს 63 შეხვედრაში 29 გოლი გაიტანა. კლოზე ბოლოს ტრავმირებული გახლდათ, მსუბუქად ვარჯიში ამ დღეებში დაიწყო, გუნდს კი ხვალ შეუერთდება.

**გოტფრიდ ლენცი**

# ჯილარდინო MLS-ის გზაზე

იტალიური პრესის მტკიცებით, პრაქტიკულად გადაწყვეტილია, რომ მომდევნო სეზონიდან **ალბერტო ჯილარდინო** „ტორონტოში" იასპარეზებს. „ჯენოას" 31 წლის თავდამსხმელმა კანადურ კლუბთან წინასწარ შეთანხმებას მიაღწია და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, MLS-ში გააგრძელებს კარიერას. ითქვა ისიც, რომ ალბერტო „ტორონტოსთან" 3-წლიან ხელშეკრულებას გააფორმებს, მისი წლიური გასამრჯელო კი 4 მილიონი ევრო იქნება. ტრანსფერი მხოლოდ ზაფხულში შედგება, რადგან ჯილარდინოს სეზონის „ჯენოაში" დასრულება და ბრაზილიის მუნდიალზე გამგზავრება სურს - ამას მისივე კომენტარი ადასტურებს:

*„სეზონს აუცილებლად „ჯენოაში" დავასრულებ და შემდეგ, იმედია, მსოფლიოს ჩემპიონატზე გავემგზავრები. „სკუადრა აძურასთან" ერთად დიდ საფეხბურთო ფორუმზე თამაში განსაკუთრებული ემოციაა და მინდა ეს კიდევ ერთხელ განვიცადო. „ტორონტო"? - დიახ, ჩვენ გვაქვს მოლაპარაკება, რომელიც დიდი ალბათობით შეთანხმებით დასრულდება. MLS-ში არაერთ ჩემს მეგობარს უთამაშია და ვიცი, რომ იქაური ჩემპიონატი ბევრ ძლიერ ევროპულ ლიგას არ ჩამოუვარდება".*

**ლაშა წიკლაური**

## მილანი

# მარიო, ლუიჯი და შავ-წითელი წინდები

### მილანის სახალისო სტუმრობა გლაზგოში

„მილანი“ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მეხუთე ტურში „სელტიკს“ ესტუმრა და უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა. ლომბარდიული გრანდი შიდა პირველობაზე კრიზისშია და იქნებ, ეს გამარჯვება მაინც გახდეს გამოცოცხლების საწინდარი. იტალიელმა ჟურნალისტებმა სწორად შენიშნეს, რომ ყველაზე რთულ, თითქოს გამოუვალ მდგომარეობაში ადამიანს იუმორი შველის და ასე უნდა იყოს საფეხბურთო კლუბის შემთხვევაშიც - „როსონერის“ გლაზგოში სტუმრობამ ხალისიანად ჩაიარა, რაზეც ქვემოთ მოგითხრობთ...



ძველი მეგობრები: მარიო და ლუიჯი

### მარიო და ლუიჯი

მარიო ბალოტელის გლაზგოს აეროპორტში დიდი აჟიოტაჟით შეხვდნენ, ერთი გულშემატკივარი კი ყველასგან გამოირჩეოდა - ფოტოზეც ჩანს, რომ შოტლანდიელი ქომაგი ცნობილი პერსონაჟის, **ლუიჯის** პროტოტიპია და ბუნებრივია, რომ მან თავისი მეწყვილე და თანამებრძოლი, „სუპერმარიო“ მოძებნა. საგულისხმოა, რომ ლუიჯის ჩაცმულობაში „სელტიკის“ ფერები დომინირებს და ამ ქომაგს არც დაუმალავს, რომ გლაზგოური გუნდის თავგადაკლული ფანია. მარიომ და „ლუიჯიმ“ კარგა ხანს იპოზიორეს კამერებთან, ბალოტელიც ისეთი მეგობრული იყო რიგით გულშემატკივართან, როგორც არასდროს.

### შავ-წითელი წინდები

რა გასაკვირია, რომ „მილანს“ გლაზგოში კლუბის ვიცე-პრეზიდენტი **ადრიანო გალიანი** ჩაჰყვა, რომელიც გუნდის არც ერთ შეხვედრას არ აცდენს. სენიორ ადრიანო იტალიელმა ჟურნალისტებმა არც შოტლანდიაში მოასვენეს და შემდეგი შეკითხვა დაუსვეს:

**- გვახსოვს, სერია A-ს პაექრობების წინ, „მილანის“ ფეხბურთელებს ჩემპიონთა ლიგის ჰიმნს ასმენინებდით, რადგან ამ ტურნირზე გუნდი ყოველთვის კარგად თამაშობს. როგორ ფიქრობთ, სწორედ ლიგა დაეხმარება „მილანს“ კრიზისის დასაძლევად“?**

- ჩემპიონთა ლიგის ჰიმნის იმედზე ველარ ვიქნები, რადგან ასეთ მძიმე კრიზისს უფრო ძლიერი თილისმა სჭირდება. პირველად ბოლო 27 წელიწადში, შავ-წითელი წინდები ჩავიცვი და დარწმუნებული ვარ, რომ ეს წარმატებას მოგვიტანს.

ადრიანო გალიანიმ წინდების დემონსტრირება მოახდინა, მისმა თილისმამ კი აშკარად გაამართლა - „მილანმა“ „სელტიკი“ გამანადგურებელი ანგარიშით, 3:0 დაამარცხა.

### ალეგრი, კაკა და ბალოტელი...

თავად მატჩი სტუმართა სრული სათამაშო უპირატესობით წარიმართა და მიუხედავად იმისა, რომ იტალიელებს უამრავი სახიფათო მომენტი არ შეუქმნიათ, სამი უპასუხო გოლი სრულიად ლოგიკურად გაიტანეს. ჯერ **რიკარდო კაკა** გამოირჩა, შემდეგ **კრისტიან საპატა** და ბოლოს - **მარიო ბალოტელი.** მატჩის შემდეგ ყურადღების ცენტრში სამი პერსონა იყო: მხრებგაშლილი **მასიმილიანო ალეგრი**, ჯადოახსნილი მარიო ბალოტელი და მატჩის უდავოდ საუკეთესო ფეხბურთელი: კაკა...

**მასიმილიანო ალეგრი:** *„ყოველთვის მეცინება, როდესაც ამბობენ, რომ „მილანის“ თამაში ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ჩვენ სანახაობრივ ფეხბურთს ვთამაშობდით მაშინაც კი, როდესაც ვაგებდით და სანახაობა ვაჩვენეთ დღესაც. რაც მთავარია, მოვიგეთ და ვფიქრობ, კრიზისის დასაძლევად პირველი ნაბიჯი გადავდგით. მჯერა, მომდევნო შეხვედრას კიდევ უკეთესად ჩავატარებთ“.*

**რიკარდო კაკა:** *„მიხარია, რომ გავიტანე და გუნდს სამი ქულის მოპოვებაში დავეხმარე. ეს ჩემი 98-ე გოლი იყო „როსონერის“ შემადგენლობაში და იმედი მაქვს, რომ შობამდე საიუბილეო მაჩვენებელს მივაღწევ. თუმცა, ამაზე უფრო მნიშვნელოვანი გუნდის წინსვლა და წარმატებაა - „სელტიკთან“ გამარჯვება საკუთარი თავის რწმენას დაგვიბრუნებს“.*

**მარიო ბალოტელი:** *„ყველაფერს აქვს დასასრული და მათ შორის, ჩვენს უიღბლობასაც. როგორც იქნა მოვიგეთ და როგორც იქნა, გოლი გავიტანე. ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში აუცილებლად უნდა გავიდეთ და ამისთვის, კიდევ ერთი მატჩის მოგებაა საჭირო. ფრეც გვყოფნის? - ჩვენ მოედანზე მოსაგებად გავალთ“.*

**ლაშა ნიკლაური**

## დორტმუნდის ბორუსია



დორტმუნდის „ბორუსია“ კრიზისიდან გამოვიდა

# კლოპის ბორუსია ცოცხალია!

### ...და მარსელში გადამწყვეტი ჯახი ელის

ნეგატიური სერია შეწყვეტილია, ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გასვლის შანსი კი არა მარტო შენარჩუნდა, არამედ რეალური გახდა - დორტმუნდელებმა „ნაპოლის“ დამარცხების (3:1) შემდეგ შვებით ამოისუნთქეს. „ბორუსიას“ ფეხბურთელებს ნეაპოლელებთან დუელში „ბაიერნისგან“ მიღებული ალიყური (0:3 შაბათს) აღარ ეტყობოდათ, ისეთი ფეხბურთი ითამაშეს, როგორსაც ბოლო წლებში მიგვაჩვიეს და დაგვარწმუნეს, რომ **იურგენ კლოპის** გუნდი ცოცხალია.

საფეხბურთო ექსპერტები **ნური შაჰინს** „სტრატეგს“ უწოდებენ. მიზეზი მარტივია: დორტმუნდელთა თურქი ნახევარმცველი წყვეტს, როგორი რიტმით უნდა უტევდეს „ბორუსია“, კონკრეტულ მომენტში რომელი ფლანგიდან ან იქნებ სულაც ცენტრიდანაა უმჯობესი შეტევის განვითარება და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, შაჰინი „ბორუსიას“ თითქმის ყველა შეტევაში მონაწილეობს.

აქედან გამომდინარე, გასაკვირია ის, რომ შაჰინი კარგი თეორეტიკოსი ვერ გამოდგა და როგორც მატჩის შემდეგაც აღიარა, უშუალოდ თამაშის დროს **სებასტიან კელისთვის** უკითხავს, 3:1 საკმარისია, თუ გოლი კიდევ გვჭირდებაო. *„იურგენ კლოპმა თამაშის წინ ყველაფერი დეტალურად აგვიხსნა, მაგრამ მე მაინც ვერაფერი გავიგე და ამის აღიარების ძალიან შემრცხვა. ამიტომაც ვკითხე მესამე გოლის შემდეგ კელს, იყო თუ არა 3:1 საკმარისი ანგარიში. მან თავი დამიქნია,“* - თქვა მატჩის შემდეგ შაჰინმა.

შაჰინის ეს განცხადება ამ „ბორუსიასთვის“ გარკვეულწილად სიმპტომატურიცაა - დორტმუნდელები ძალიან ნიჭიერები არიან, შედეგზე ორიენტირებული გამოთვლები კი ნაკლებად ეხერხებათ.

### ვაიდენფელერი: გოლები მე გავიტანო?

გამოთვლები არაფერ შუაშია, მაგრამ პრაგმატულ მიდგომასთან და ცივსისხლიანობასთან ნამდვილად კავშირშია ის ფაქტი, რომ დორტმუნდელებმა რამდენიმე საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს, რაზეც მატჩის შემდეგ ბორუსიას“ მეკარე **რომან ვაიდენფელერმა** გააკეთა კომენტარი: *„მეკარისთვის ძალიან ძნელია იმის ყურება, როგორ აფუჭებს თავდამსხმელი რეალურ საგოლე მომენტს. ასეთ დროს ყველაზე მეტად ის მინდა ხოლმე, რომ თვითონ გავიქცე წინ და გოლები თავად გავიტანო,“* - აღნიშნა ვაიდენფელერმა.

ფაქტია, რომ იურგენ კლოპის გუნდს წარმატების მისაღწევად ბევრი შანსი სჭირდება, რაც არა მარტო უკანახაზელებისთვის, არამედ მაყურებლებისთვისაც უდიდესი სტრესია. *„წარმომიდგენია, როგორ ნერვიულობდნენ ჩვენი ფანები იმ მომენტებში, როცა მომენტებს ვანიავებდით. ეს ძალიან გასაბრაზებელია და ამ ფენომენს ვერაფრით ვხსნი, რადგან ჩვენ ბრწყინვალე წინახაზელები გვყავს, რომლებსაც მომენტის გამოყენება არ უნდა უჭირდეთ,“* - ეს კაპიტან კელის სიტყვებია.

წინა სეზონში დორტმუნდელებს ასეთი პრობლემები არ ეტყობოდათ, ახლა კი **მარკო როისს, რობერტ ლევანდოვსკის,** ახალწვეულ **ჰენრიხ მხითარიანს** და სხვებს მეტოქის კართან ცივსისხლიანობა და შესაბამისად, ეფექტიანობა აკლიათ. ამიტომაც უნდა ვთქვათ, რომ დორტმუნდელებს ამ კონკრეტულ მატჩში გაუმართლად კიდეც და კერძოდ იმაში, რომ არც „ნაპოლია“ ისეთი ეფექტური კლუბი, რომ სამი შანსიდან სამივე გამოიყენოს.

59-ე წუთზე ნეაპოლელთა თავდამსხმელმა **გონსალო იგუაინს** ანგარიშის გათანაბრების რეალურზე რეალური შანსი მიეცა, მაგრამ ვერ გამოიყენა, ცოტა ხანში კი **იაკუბ ბლაშჩიკოვსკიმ** სხვაობა ორამდე გაზარდა. მატჩის შემდეგ კლოპმა თქვა, რომ ეს ორი მომენტი ამ მატჩის გადამწყვეტი მომენტები იყო. 0:2-ის შემდეგ ნეაპოლელები უკვე იძულებულები გახდნენ, რომ ზონები გაეხსნათ და მართალია, სხვაობა შეამცირეს (**ინსინიეს** გოლი 71-ე წუთზე) და დორტმუნდელებმა კიდევ ვერ გამოიყენეს მომენტები, მაგრამ საბოლოოდ „ბორუსიასთვის“ **პიერ-ემერიკ ობამეიანგის** გოლით, ყველაფერი ძალიან კარგად დამთავრდა. არადა, ნეაპოლელები უფრო ეფექტურები რომ ყოფილიყვნენ და მატჩი 3:2 დასრულებულიყო, სტუმრად გატანილი ორი გოლის გამო „ნაპოლი“ „დორტმუნდთან“ პირად ანგარიშში უპირატესობას მოიპოვებდა. 3:1 კი ის ანგარიშია, რომელიც ნეაპოლში 1:2-ით წაგების გამო უპირატესობას უკვე „დორტმუნდს“ აძლევს.

ამ შეხვედრას სხვა გმირიც ჰყავდა - კერძოდ, დორტმუნდელთა საყრდენი ნახევარმცველი **სვენ ბენდერი**, რომელმაც გამოუვალი მდგომარეობის გამო ცენტრალური მცველის პოზიციაზე ითამაშა და ერთ საათზე მეტი მოედანზე ცხვირგატეხილმა გაატარა. ბენდერის მაისურა სისხლით იმდენჯერ დაისვარა, რომ ბოლოს ფორმა ფან-შოპიდან (!) მოუტანეს.

### რა შემთხვევებში გავა დორტმუნდი მერვედფინალში?

ახლა, ბოლო ტურში დორტმუნდელებს მერვედფინალში თამაშის გასანაღდებლად მარსელში მოგება სჭირდებათ. თუ პარალელურად, „არსენალი“ ნეაპოლში წააგებს, შესაძლოა, „ბორუსიამ“ ჯგუფში პირველი ადგილიც კი დაიკავოს. თუ იტალიელები „არსენალს“ სამბურთიანი სხვაობით მოუგებენ, ლონდონური კლუბი ჯგუფში ჩარჩება, მერვედფინალში კი „ნაპოლი“ გავა.

თუმცა „ბორუსიას“ ჯგუფიდან გასვლა მარსელში ფრის დაფიქსირებითაც შეუძლია. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ „ნაპოლი“ „არსენალს“ ვერ დაამარცხებს. თუ კლოპის გუნდი „ველოდრომზე“ წააგებს, დორტმუნდელები მერვედფინალში მხოლოდ მაშინ გავლენ, თუ პარალელურ შეხვედრაში „ნაპოლი“ საკუთარ მოედანზე „არსენალთან“ დამარცხდება...

**გოტფრიდ ლენცი**

## აიაქსი

# ტრაგედია ამსტერდამში

ამსტერდამის „აიაქსმა“ გმირული გამარჯვება კი მოიპოვა „ბარსელონასთან“, მაგრამ სამწუხაროდ. მატჩის მსვლელობისას ერთი უსიამოვნო ამბავი მოხდა - ერთ-ერთი ფანი მეორე გოლის ზეიმისას კარსუკანა ტრიბუნიდან გადმოვარდა. თავდაპირველად ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ გულშემატკივარი გარდაიცვალა. თუმცა საბედნიეროდ, ეს სიმართლეს არ შეესაბამება, მაგრამ დაზიანება მძიმეა და ექიმები ცდილობენ დაშავებულის მდგომარეობიდან გამოყვანას.

ერთ-ერთი პირველი, ვინც ამ ამბავს გამოეხმაურა, **კლაას-იან ჰუნტელაარია**, რომელმაც თავის „ტვიტერზე“ მოკლედ და კონკრეტულად აღნიშნა - აკრძალეთ ეს ტრიბუნებიო. ამსტერდამული კლუბის ხელმძღვანელობას მართლაც მოუწევს უსაფრთხოების ზომების გამკაცრება. მართალია თავად ფანებს მსგავსი ტრიბუნები განსაკუთრებით უყვართ, მაგრამ სხვა გზა არ არის.

**გიორგი კაკაბაძე**



ინციდენტიდან რამდენიმე წამის შემდეგ

არსენალი

# იტალიაში მხოლოდ სამი ქულისთვის



ვენგერის „არსენალს“ ბოლო ტურში დიდი ბრძოლა მართებს

ჩემპიონთა ლიგაში „არსენალს“ ხუთ თამაშში 12 ქულა აქვს, თუმცა სიტუაცია ცხრილში იმდენად დაძაბულია, რომ ჯერ გარანტირებული არაფერია. ბოლო ტურში „ნაპოლისთან“ მას ერთბურთიანი სხვაობით წაგებაც კი აძლევს ხელს, რათა პლეი ოფის საგზური მოიპოვოს, მაგრამ იმაშიც დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ **არსენ ვენგერი** საკუთარ გუნდს მოედანზე ამ მიზნით არ გაიყვანს. მოვუსმინოთ, თუ რა განაცხადა ფრანგმა სპეციალისტმა „მარსელთან“ გამარჯვების შემდეგ:

*„თამაშის მიმდინარეობას მთლიანად ვაკონტროლებდით. შესაძლოა, შეტევის დამაგვირგვინებელ ფაზაში გარკვეული პრობლემები გვქონდა, თუმცა, საერთო ჯამში, ჩვენი უპირატესობა წამითაც არ დამდგარა ეჭვქვეშ. მიუხედავად 12 ქულისა, მიზანს ჯერ ვერ მივაღწიეთ. დაუჯერებელია, რადგან ჩემპიონთა ლიგაში 150-მდე თამაში მაქვს ჩატარებული და მსგავსი რამ არ მახსენდება. შეიძლება ვინმე ფიქრობს, რომ „არსენალი“ უბრალოდ არ გაუშვებს გოლს და ამით ყველაფერი დამთავრდება, მაგრამ ამაზე ტაქტიკის აგება სერიოზული შეცდომა იქნებოდა. იტალიაში მოსაგებად უნდა წავიდეთ. ნებისმიერი სხვა შედეგი მიუღებელი იქნება. კარგია, რომ ტრავმირებულები დაგვიბრუნდნენ, რადგან ლიგის ბოლო ტურამდე ჩემპიონატში სამი თამაში გველის. შესაბამისად, შემადგენლობის როტაცია მიგვიწევს, რათა არც შიდა ასპარეზზე დავზარალდეთ და არც ნეაპოლის თამაშს შევხვდეთ გადაღლილები.*

*უილშირი თავისი ბუნებით ბომბარდირი არასოდეს ყოფილა, მაგრამ ბედნიერი ვიქნები, თუკი აღმოჩნდება, რომ აქამდე ვცდებოდი. ჯეკი ალბათ ფიქრობს, რომ თუკი რემსის შეუძლია შედეგიანად თამაში, მან რატომ ვერ უნდა მოახერხოს. ეს ხუმრობით, თუმცა მიმაჩნია, რომ გოლი თითოეული ფეხბურთელისთვის მნიშვნელოვანი მოტივაცია უნდა იყოს. სხვა შემთხვევაში ფეხბურთის თამაშს აზრი დაეკარგება. კარგია, რომ შეტევის ბოლო ფაზაში უილშირმა ორჯერვე მშვიდად იმოქმედა. რასაც ჯეკი მოედანზე აკეთებს, ყველაფერს წინასწარ თვლის. ხანდახან ის ისეთ ცარიელ ადგილს ხედავს მინდორზე, რომელსაც სხვა ვერავინ შეამჩნევდა“.*

## ესპანელის ლონდონური პერსპექტივა

„ბეტისის“ 19 წლის მარცხენა ნახევარმცველს **ალვარო ვადილიოს** „არსენალში“ ტრანსფერისგან უკვე ძალიან ცოტა აშორებს. ესპანური და ინგლისური წყაროების ცნობით, საკითხს უახლოეს მომავალში დაესმება წერტილი. ზაფხულზე ნიჭიერი თინეიჯერით „მანჩესტერ იუნაიტედი“ იყო დაინტერესებული, თუმცა გარიგება ვადილიოს მუხლის უმნიშვნელო ტრავმამ ჩაშალა. მას შემდეგ „ეშმაკები“ სევილიელებს აღარ დაკავშირებიან. „არსენალი“ უკვე დათანხმდა 20 მილიონი ევროს გადახდას.

ჩელსი

# მოურინიო გუნდს ბოლომდე იცავს

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტი: ჯგუფურ ეტაპზე „ჩელსიმ“ „ბაზელთან“ ორივე შეხვედრა დათმო. „ლურჯებმა“ საშინლად ითამაშეს. რომ არა **პეტრ ჩეხი** ანგარიში შეიძლებოდა გამანადგურებელიც კი ყოფილიყო. მიუხედავად წაგებისა, **ჟოზე მოურინიოს** გუნდმა ჯგუფური ეტაპი გადალახა და მას ახლა საზრუნავი ისლა დარჩა, რომ პირველი ადგილი არ დათმოს. ცხადია, თამაშის შემდეგ პორტუგალიელი უკმაყოფილო იყო. აი, რა თქვა „განსაკუთრებულმა კაცმა“:

*„ერთადერთი დადებითი, რაც დღეს მოხდა, იყო ის, რომ ჯგუფიდან გავედით. აი, უშუალოდ თამაშში კი კარგი ვერაფერი დავინახე. პროგრამა მინიმუმი შევასრულეთ. მთავარია, ბოლო ტურის შემდეგაც პირველ ადგილზე ვიყოთ. ამ ამოცანას ალბათ გადავჭრით.*

*აუცილებლად უნდა აღვნიშნო დღევანდელი მეტოქე. გოლის მომენტში უხეშად შევცდით, თუმცა ერთადერთი, ვინც დღეს გამარჯვებას იმსახურებდა, ეს „ბაზელი“ იყო. წაგების მიზეზებზე დიდხანს შეიძლება ლაპარაკი. უმთავრესი, რაც პირველივე წუთებზე მომხვდა თვალში, ეს იყო დაღლილობა. სწორედ დღეს მოვიმკეთ სანაკრებო პაუზით გამოწვეული პრობლემები. ამას ჯერ კიდევ „ვესტ ჰემთან“ მატჩში ველოდი, მაგრამ ფეხბურთელებზე დერბის სტატუსმა გავლენა იქონია და მოედანზე მაქსიმალურად კონცენტრირებულნი გავიდნენ. დღეს კი ვცდებოდით დაცვაში, ყოველ მეორე პასს არაზუსტად ვაკეთებდით, გადაწყვეტილებების მისაღებად დიდ დროს ვხარჯავდით და შედეგად მივიღეთ სულელური გოლი ჩვენს კარში.*

*ალბათ მეც შევცდი, როცა შაბათის თამაშის შემდეგ გუნდი უფრო მეტად არ გადავახალისე, მაგრამ ბრწყინვალედ ჩატარებული შეხვედრის შემდეგ იმავე ფეხბურთელებზე დაყრდნობის ცდუნება ძალიან დიდი იყო. ბიჭებმა მითხრეს, რომ მზად იყვნენ, თუმცა საქმე საქმეზე როცა მიდგა, აღმოჩნდა, რომ ეს ასე არ ყოფილა. დეკემბრის გრაფიკის შედგენამდე დღეს მიღებულ გამოცდილებას აუცილებლად გავითვალისწინებ. აშკარაა, რომ რამდენიმე ფეხბურთელი ყოველ მესამე დღეს თამაშისთვის მზად არ არის. განსაკუთრებულად დიდი არჩევანი გვაქვს შემტევ ფეხბურთელებში. შესაბამისად, გუნდის თამაშს ხშირად გადავახალისებთ. ნებისმიერი გადაწყვეტილება ძალების გადასანაწილებლად იქნება მიღებული და არა ვინმეს დასჯის მიზნით. არ მინდა, ფეხბურთელებმა ასე იფიქრონ.*

*თავად ნახეთ ეტოოს რაც დაემართა. მას კუნთებზე აქვს პრობლემა. რამდენად სერიოზულია დაზიანება, ამას ვერ გეტყვით, თუმცა მინდა იმედი მქონდეს, რომ უახლოეს ორ დღეში ყველაფერი გაირკვევა“.*

## ჩელსი და ციფრები

„ბაზელთან“ წაგებულ შეხვედრა „ჩელსის“ ოთხი ფეხბურთელისთვის მაინც განსაკუთრებული აღმოჩნდა. თითოეულზე მოკლედ მოგახსენებთ:

**ჯონ ტერიმ** „ჩელსის“ რიგებში 592-ე თამაში ჩაატარა და მაჩვენებლით „ლურჯების“ ყველა დროის რეკორდსმენთა სიაში მე-4 ადგილზე გადავიდა. თავის დროზე ამდენივე თამაში ჰქონდა ჩატარებული ლონდონელთა რიგებში ლეგენდარულ **ჯონ ჰოლინზს** (1963/75).

პეტრ ჩეხმა „ჩელსის“ ღირსება 450-ე თამაშში დაიცვა.

**ჯონ ობი მიკელმა** 50-ე შეხვედრა ჩაატარა ჩემპიონთა ლიგაში.

**სესარ ასპილიკუეტას** მონაგარი კი ბევრად უფრო მოკრძალებულია: მან „ჩელსის“ მაისურა 50-ედ მოირგო.

**ლევან ბიბილაშვილი**



ჟოზე მოურინიო

ევროპალიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტურის წინ



ლადო დვალიშვილს პოლონეთის ჩემპიონატში უკვე 9 გოლი აქვს გატანილი, ევროთასებზე კი ჯერ არც ერთი

# გავა გრიგალავა? გატეხს ნავსს ლადო?

ევროპალიგის ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე ორი ტური ჯერ კიდევ დარჩა, მაგრამ 2 ქვეჯგუფში ყველაფერი უკვე გარკვეულია, C-ში და D-ში დარჩენილი მატჩები მხოლოდ ფორმალობაა. სულ კი უკვე 8 კლუბმა გაინაღდა პლეი ოფის საგზური და ისინი სავარაუდოდ, ლამის სარეზერვო შემადგენლობებით ჩაამთავრებენ ჯგუფურ ეტაპს. ესენია: „ვალენსია“, „ლუდოგორეცი“, „ზალცბურგი“, „ესბიერგი“, „რუბინი“, „ფიორენტინა“, „დნიპრო“ და „ტოტენჰემი“.

როგორც ხედავთ, ამ სიაშია **ჯაბა კანკავასა** და **სანდრო კობახიძის** „დნიპრო“, რომელიც დღეს რუმინულ „პანდურიის“ მასპინძლობს. ასევე განაღდებული აქვს საგზური **სოლომონ კვირკველიას** „რუბინს“, ახალგაზრდა ქართველი მცველის გუნდი სლოვენიურ „მარიბორს“ უმასპინძლებს.

აი, **ლადო დვალიშვილის** „ლეგიასთვის“ ყველაფერი დასრულებულია - პოლონური კლუბი ერთადერთია, რომელსაც ჯერ ქულა არ მოუპოვებია. ის კი არა, გოლიც არ აქვს გატანილი ჯგუფურ ეტაპზე. ამიტომ „ლაციოსთან“ საშინაო დაპირისპირება პრინციპის საკითხია მისთვის. ამას ემატება იტალიელი ტიფოზების საძაგელი საქციელი I წრის მატჩში რომში. ასე რომ, ვარშავაში თითქოს უმოტივაციო, მაგრამ „რისკის ჯგუფის“ თამაში გველის. **გია გრიგალავას** „ანჟი“ მოლდოვურ „შერიფს“ მასპინძლობს და ფრე პლეი ოფში გაიყვანს, წაგება კი სატურნირო მდგომარეობას გაურთულებს.

### 28 ნოემბერი

**A ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ყუბანი-სტ. გალენი | 21:00 |
| სუონსი-ვალენსია | 00:05 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვალენსია | 4 | 3 | 0 | 1 | 10-6 | 9 |
| 2. სუონსი | 4 | 2 | 2 | 0 | 6-2 | 8 |
| 3. სტ. გალენი | 4 | 1 | 0 | 3 | 5-9 | 3 |
| 4. ყუბანი | 4 | 0 | 2 | 2 | 2-6 | 2 |

**B ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ჩერნომორეცი-დინამო ზ | 00:05 |
| ლუდოგორეცი-პსვ | 00:05 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლუდოგორეცი | 4 | 3 | 1 | 0 | 7-1 | 10 |
| 2. პსვ | 4 | 2 | 1 | 1 | 4-2 | 7 |
| 3. ჩერნომორეცი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-5 | 4 |
| 4. დინამო ზ. | 4 | 0 | 1 | 3 | 1-7 | 1 |

**C ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ელფსბორგი-ზალცბურგი | 00:05 |
| ესბიერგი-სტანდარდი | 00:05 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზალცბურგი | 4 | 4 | 0 | 0 | 11-3 | 12 |
| 2. ესბიერგი | 4 | 3 | 0 | 1 | 6-4 | 9 |
| 3. სტანდარდი | 4 | 0 | 1 | 3 | 4-8 | 1 |
| 4. ელფსბორგი | 4 | 0 | 1 | 3 | 2-8 | 1 |

**D ჯგუფი**

| | |
|---|---|
| რუბინი-მარიბორი | 21:00 |
| ზიგანი-ვარეგემი | 00:05 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუბინი | 4 | 3 | 1 | 0 | 11-3 | 10 |
| 2. ზიგანი | 4 | 1 | 2 | 1 | 4-3 | 5 |
| 3. ვარეგემი | 4 | 1 | 1 | 2 | 2-7 | 4 |
| 4. მარიბორი | 4 | 1 | 0 | 3 | 6-10 | 3 |

**E ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ფერეირა-ფიორენტინა | 00:05 |
| დნიპრო-პანდურიი | 00:05 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფიორენტინა | 4 | 4 | 0 | 0 | 10-2 | 12 |
| 2. დნიპრო | 4 | 3 | 0 | 1 | 6-2 | 9 |
| 3. პანდურიი | 4 | 0 | 1 | 3 | 2-7 | 1 |
| 4. ფერეირა | 4 | 0 | 1 | 3 | 1-8 | 1 |

**F ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ბორდო-აინტრახტი | 00:05 |
| აპოელ-მაძაბი თ. | 00:05 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აინტრახტი | 4 | 3 | 0 | 1 | 10-4 | 9 |
| 2. მაკაბი თ. | 4 | 2 | 1 | 1 | 6-5 | 7 |
| 3. აპოელ | 4 | 1 | 1 | 2 | 3-6 | 4 |
| 4. ბორდო | 4 | 1 | 0 | 3 | 4-8 | 3 |

**G ჯგუფი**

| | |
|---|---|
| გენკი-დინამო კ | 22:00 |
| რაპიდი-თუნი | 22:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გენკი | 4 | 2 | 2 | 0 | 6-4 | 8 |
| 2. დინამო კ. | 4 | 2 | 1 | 1 | 7-3 | 7 |
| 3. რაპიდი | 4 | 0 | 3 | 1 | 5-6 | 3 |
| 4. თუნი | 4 | 1 | 0 | 3 | 2-7 | 3 |

**H ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ლიბერეცი-ფრაიბურგი | 22:00 |
| სევილია-ეშტორილი | 22:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სევილია | 4 | 2 | 2 | 0 | 6-3 | 8 |
| 2. ლიბერეცი | 4 | 1 | 3 | 0 | 6-5 | 6 |
| 3. ფრაიბურგი | 4 | 0 | 3 | 1 | 3-5 | 3 |
| 4. ეშტორილი | 4 | 0 | 2 | 2 | 3-5 | 2 |

**I ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ლიონი-ბეტისი | 22:00 |
| რიეკა-გიმარაეში | 22:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბეტისი | 4 | 2 | 2 | 0 | 3-1 | 8 |
| 2. ლიონი | 4 | 1 | 3 | 0 | 3-2 | 6 |
| 3. გიმარაეში | 4 | 1 | 1 | 2 | 5-3 | 4 |
| 4. რიეკა | 4 | 0 | 2 | 2 | 2-7 | 2 |

**J ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ტრაბზონი-აპოლონი | 22:00 |
| ლეგია-ლაციო | 22:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტრაბზონი | 4 | 3 | 1 | 0 | 9-4 | 10 |
| 2. ლაციო | 4 | 2 | 2 | 0 | 6-4 | 8 |
| 3. აპოლონი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-4 | 4 |
| 4. ლეგია | 4 | 0 | 0 | 4 | 0-6 | 0 |

**K ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ანჟი-შერიფი | 21:00 |
| ტრომსიო-ტოტენჰემი | 22:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტოტენჰემი | 4 | 4 | 0 | 0 | 9-1 | 12 |
| 2. ანჟი | 4 | 2 | 1 | 1 | 2-2 | 7 |
| 3. შერიფი | 4 | 0 | 2 | 2 | 2-5 | 2 |
| 4. ტრომსიო | 4 | 0 | 1 | 3 | 1-6 | 1 |

**L ჯგუფი**

| | |
|---|---|
| შახტიორი-პაოკ | 19:00 |
| ალკმაარი-მაქაბი ჰ. | 22:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პაოკ | 4 | 2 | 2 | 0 | 6-4 | 8 |
| 2. ალკმაარი | 4 | 2 | 2 | 0 | 4-2 | 8 |
| 3. მაკაბი ჰ. | 4 | 0 | 2 | 2 | 4-6 | 2 |
| 4. შახტიორი | 4 | 0 | 2 | 2 | 4-6 | 2 |

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური

B ჯგუფი


არტურო ვიდალმა ჰეთთრიკი შეასრულა

# დიდება მეფესა, იუვემ მოიგო!

„იუვენტუსმა" თავის ქომაგებს იმედები აღარ გაუცრუა: როგორც მოსალოდნელი იყო, ტურინელებმა საკუთარ მოედანზე „კოპენჰაგენი" იოლად დაამარცხეს, თუმცა ეს ერთი შეხედვით, ისე კი „იუვეს" ფანებმა მაინც ინერვიულეს - განსაკუთრებით მაშინ, როცა **ოლაფ მელბერგმა** ანგარიში გაათანაბრა (სხვათა შორის, მელბერგს „იუვენტუსშიც" უთამაშია).

**ანტონიო კონტეს** გუნდი მთელი მატჩის განმავლობაში უტევდა და ისევე, როგორც კოპენჰაგენში (1:1), მომენტებსაც ქმნიდა, თუმცა სამიდან ორი გოლი ტურინელებმა პენალტით გაიტანეს. ორივე თერთმეტმეტრიანი აბსოლუტურად სამართლიანად დაინიშნა - პირველი საჯარიმოში ხელით თამაშის გამო, მეორე კი იმ დროს, როცა მელბერგი **ფერნანდო ლორენტეს** ეჭიდავა და დასცა. პენალტები **არტურო ვიდალმა** უნაკლოდ შეასრულა, მერე კი ჩილელმა, რომელსაც „იუვეს" ტიფოზები „მეფე არტურად" მოიხსენიებენ, მესამეც (თავით) გაიტანა და ჰეთთრიკი გაიფორმა.

ამრიგად, რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, „იუვემ" ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში პირველად მოიგო, თუმცა ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ კონტეს გუნდი ბოლო ტურის წინ მეორე, მერვედფინალში გამსვლელ ადგილზე აღზევებულიყო. ბოლო ტურში „იუვენტუსი" გალათასარაის სტუმრობს და ჯგუფიდან გასასვლელად ფრეც ეყოფა...

„გალათასარაი" კი მადრიდის „რეალს" სტუმრობდა და თურქული კლუბისგან სიურპრიზებს არც ველოდით, მაგრამ საქმე იმაშია, რომ „რეალს" **სერხიო რამოსი** მაშინ გაუძევეს, როცა „სანტიაგო ბერნაბეუს" ტაბლოზე ჯერ კიდევ 0:0 ენთო, რამაც **რობერტო მანჩინის** და მის შეგირდებს იმედის ნაპერწკალი გაუღვივა. თუმცა „გალა" ათკაციან „რეალთანაც" შერცხვა.

მართალია, **გარეთ ბეილის** შესანიშნავ ჯარიმას **უმუთ ბულუთმა** მალევე უპასუხა და წონასწორობა აღადგინა, მაგრამ მადრიდელებმა სტამბოლელებს მეტი აღარაფერი გააბედვინეს და თავის მხრივ, მეორე ტაიმში კიდევ სამი გოლი გაუტანეს. აღსანიშნავია, რომ „რეალს" **კრიშტიანო რონალდო** აკლდა და ბარემ ისიც ვთქვათ, რომ **კარლო ანჩელოტიმ კასემიროსა** და **ხესეს** სახით ძირითად შემადგენლობაში ისეთი ფეხბურთელები ათამაშა, სერიოზულ მატჩებში ძალიან იშვიათად რომ ენდობა ხოლმე. პირველივე ტაიმში „რეალის" შემადგენლობაში **ნაჩოც** გამოჩნდა, რომელმაც სწორედ ხესე შეცვალა. ბოლო ტურში „რეალი" „კოპენჰაგენს" უნდა ესტუმროს და ძალაუნებურად ჩნდება ეჭვი, იქნებ სერხიო რამოსმა განგებ აირიდა ეს ფორმალური მოგზაურობა...

### იუვენტუსი–კოპენჰაგენი 3:1

**გოლები:** 1:0 ვიდალი (29-პენ), 1:1 მელბერგი (56), 2:1 ვიდალი (60-პენ), 3:1 ვიდალი (63)

**იუვენტუსი (3-5-2):** ბუფონი - კასერესი, ბონუჩი, კიელინი - პადოინი (69. მარკიზიო), პირლო, ვიდალი (84. ოგბონა), პოგბა, ასამოა - ტევესი (81. ვუჩინიჩი), ლორენტე.

**კოპენჰაგენი (4-1-2-2-1):** ვილანდი - იაკობსენი, მელბერგი, რ. სიგურდსონი, ბენგტსონი - დელანეი - კლაუდემირი, ბოლანოსი (61. კრისტენსენი) - გისლასონი, ტუტუ (81. პურიე) - იორგენსენი.

**გაფრთხილება:** იაკობსენი, რ. სიგურდსონი, მელბერგი

**კუთხური:** 4-2; **ჯარიმა:** 12-11; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 20(7)-6(2); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 39 506

### რეალი–გალათასარაი 4:1

**გოლები:** 1:0 ბეილი (37), 1:1 უმუთ ბულუთი (38), 2:1 არბელოა (51), 3:1 დი მარია (64), 4:1 ისკო (81)

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი - არბელოა, სერხიო რამოსი, პეპე, მარსელო (74. კარვახალი) - კასემირო (58. ჩაბი ალონსო), ილიარამენდი - ბეილი, ისკო, დი მარია - ხესე (29. ნაჩო).

**გალათასარაი (4-2-3-1):** ისჩანი - ებუე, გიოქჰან ზანი, შედიუ, ნუნკეუ - ფელიპე მელო (88. გიულსელამი), სელჩუკ ინანი - ბრუმა (64. სნეიდერი), უმუთ ბულუთი, ამრაბატი (67. რიერა) - დროგბა.

**გაფრთხილება:** არბელოა - ფელიპე მელო

**გაძევება:** სერხიო რამოსი (26. რეალი)

**კუთხური:** 1-2; **ჯარიმა:** 7-16; **თამაშგარე:** 2-5; **კარში დარტყმა:** 9(4)-11(5); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 67 728

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 5 | 4 | 1 | 0 | 18-5 | 13 |
| 2. იუვენტუსი | 5 | 1 | 3 | 1 | 9-8 | 6 |
| 3. გალათასარაი | 5 | 1 | 1 | 3 | 7-14 | 4 |
| 4. კოპენჰაგენი | 5 | 1 | 1 | 3 | 4-11 | 4 |

**მომდევნო ტური**

10 დეკემბერი: კოპენჰაგენი-რეალი, გალათასარაი-იუვენტუსი

**გოტფრიდ ლენცი**

C ჯგუფი

# პსჟ პირველია

პარადოქსია, მაგრამ მთელი მეორე ტაიმი 10 კაცით მოთამაშე გუნდმა „ოლიმპიაკოსს" მოუგო, რომლის კონკურენტმა იმარჯვა და მიუხედავად ამისა, ბოლო ტურის წინ ჯგუფიდან გასვლის უკეთესი შანსი ბერძნებს შერჩათ.

„პარი სენ-ჟერმენმა" მორიგი გამარჯვება მოიპოვა, 13 ქულას მოუყარა თავი და ჯგუფში პირველი ადგილი გაინაღდა. არადა, მეორე ტაიმის სტარტზე მატჩის არბიტრმა **მარკო ვერატი** გააძევა მოედნიდან და თითქოს, „ოლიმპიაკოსს" დიდი უპირატესობა მისცა. როდესაც გუნდში **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** და **ედინსონ კავანი** გყავს, არაფრის უნდა გეშინოდეს - შვედმა გახსნა ანგარიში, ურიგვაელმა კი, ზედ საფინალო სასტვენის წინ, გამარჯვების გოლი გაიტანა. პარიზულ გოლთა შორის თავი **მანოლასმა** გამოიჩინა.

ზლატანმა ჯგუფურ ეტაპზე მე-8 გოლი გაიტანა, რაც ჩემპიონთა ლიგის რეკორდის გამეორებაა (**ინძაგი, ვან ნისტელროი, კრესპო, რონალდო**).

თამაში მასპინძელთა სრული უპირატესობით წარიმართა და მათ კიდევ შეეძლოთ არაერთი გოლის გატანა. განსაკუთრებით სწორედ იბრაჰიმოვიჩი და კავანი სცოდავდნენ. აი, **ესეკიელ ლავეცი** კი ჩრდილში იყო და მეორე ტაიმის სტარტზე გაიყვანეს კიდეც მოედნიდან. საერთოდ, ესეკილი ვერაფრით მოერგო პარიზულ კლუბს და სულ უფრო აქტიურად საუბრობენ, რომ ზამთარში თუ არა, ზაფხულში მაინც ახალ გუნდს მოძებნის. პარიზული გუნდი მერვედფინალში პირველი ადგილით გავიდა და დროებით, შეუძლია მთელი კონცენტრაცია საფრანგეთის ჩემპიონატზე გადაიტანოს.

უხვგოლიანი მატჩი შედგა ბელგიაში, სადაც „ანდერლეხტმა" „ბენფიკას" უმასპინძლა და დრამატულ ბრძოლაში წააგო - 2:3. მასპინძლები დაწინაურდნენ, მაგრამ მალევე გაუშვეს ორი გოლი და მდევრის როლში აღმოჩნდნენ... მატჩის დასრულებამდე 15-ოდე წუთი იყო დარჩენილი, როდესაც „ანდერლეხტმა" გაათანაბრა ანგარიში, მაგრამ საფინალო სასტვენამდე წამებით ადრე „ბენფიკამ" გამარჯვების გოლი გაიტანა. გოლების და მომენტების აღწერით არ შეგაწყენთ თავს და მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ მატჩი ბელგიური გუნდის კონგოელი მცველის **მბემბა მანგულუს** „ბენეფისად" იქცა - აფრიკელმა ჯერ მეტოქის კარი დალაშქრა, შემდეგ არც თავის გუნდს დააკლო და კარგი ავტოგოლიც მიითვალა.

ერთი სიტყვით, „ბენფიკამ" მძიმე ბრძოლაში მოიგო, მაგრამ დიდი ალბათობით, მერვედფინალში მაინც „ოლიმპიაკოსი" გავა. თუ ბერძნებმა ბოლო ტურში საკუთარ მოედანზე „ანდერლეხტი" დაამარცხეს, მეორე ადგილსაც დაიბევებენ. „ოლიმპიაკოსი" ურთიერთშეხვედრებში სჯობნის „ბენფიკას" და ძაღლის თავიც აქაა დამარხული.

### პსჟ–ოლიმპიაკოსი 2:1

**გოლები:** 1:0 იბრაჰიმოვიჩი (7), 1:1 მანოლასი (80), 2:1 კავანი (90).

**პსჟ (4-3-3):** სირიგუ - ვან დერ ვილი, ალექსი, ტიაგო სილვა, მაქსველი - ვერატი, ტიაგო მოტა, მატუიდი (86. ლუკასი) - ლავეცი (50. რაბიოტი), კავანი, იბრაჰიმოვიჩი (79. მარკინიოსი).

**ოლიმპიაკოსი (4-2-3-1):** ხიმენესი - სალინო (57. დომინგესი), მანოლასი, სიოვასი, ბონგი (46. ვეისი) - მანიატისი, სამარისი - კემპბელი (77. სავიოლა), ფუსტერი, ჰოლებასი - მიტროღლუ.

**გაფრთხილება:** ვან დერ ვილი, მატუიდი, კავანი - მანიატისი, მანოლასი, ვეისი, დომინგესი.

**გაძევება:** ვერატი (46).

**კუთხური:** 2-8; **ჯარიმა:** 13-13; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 9-10 (5-3); **ბურთის ფლობა:** 59%-51%.

**მაყურებელი:** 44 000

### ანდერლეხტი–ბენფიკა 2:3

**გოლები:** 1:0 მბემბა (18), 1:1 მატიჩი (34), 1:2 მბემბა (52-საკ. კარში), 2:2 ბრუნო (77), 2:3 როდრიგო (90).

**ანდერლეხტი (4-3-2-1):** პროტო - ვანდენ ბორე, მბემბა, ნუიტინკი (73. ვარგასი), დეშატი (55. აჩემპონგი) - ჟილე, კუატე, პრაეტი - ბრუნო, ნსაკალა - მიტროვიჩი.

**ბენფიკა (4-3-2-1):** მორაეში - პერეირა, ლუიზაო, გარაი, ალმეიდა - მატიჩი, პერესი (87. როდრიგო) - მარკოვიჩი, ფესა, გაიტანი (72. სულეიმანი) - ლიმა.

**გაფრთხილება:** ნუიტინკი, ბრუნო, მიტროვიჩი - მორაეში, ალმეიდა.

**კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 12-17; **თამაშგარე:** 7-1; **კარში დარტყმა:** 7-8 (3-2); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 25 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 5 | 4 | 1 | 0 | 15-3 | 13 |
| 2. ოლიმპიაკოსი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-7 | 7 |
| 3. ბენფიკა | 5 | 2 | 1 | 2 | 6-7 | 7 |
| 4. ანდერლეხტი | 5 | 0 | 1 | 4 | 3-14 | 1 |

**მომდევნო ტური**

10 დეკემბერი: ბენფიკა - პსჟ, ოლიმპიაკოსი - ანდერლეხტი

**ლაშა წიკლაური**


იბრას ვერ აჩერებენ

D ჯგუფი

# შეუჩერებელი რეკორდმაისტერი

ამ ჯგუფში მხიარული მატჩები ვიხილეთ, ორივე შეხვედრის ჯამში 10 გოლი გავიდა. სწორედ მე-10 მატჩი მოიგო ზედიზედ მიუნხენის „ბაიერნმა" ჩემპიონთა ლიგაზე და ახალი რეკორდი დაამყარა. რეკორდმაისტერმა ევროსარბიელზე საკუთარი საკლუბო რეკორდიც გაიმეორა - მიჯრით მე-6 გამარჯვება სტუმრად.

კი, „არმიელებმა" თითქოს იბრძოლეს და რაც შეეძლოთ გააკეთეს, მაგრამ რეალურად გერმანული ფეხბურთის ფლაგმანმა ძალების დაზოგვით და მშვიდად მოიგო. ერთადერთი ცუდი სტუმრებისთვის ამ მატჩში ის მოხდა, რომ 28-ე წუთზე **ფილიპ ლამი** შეიქნა შესაცვლელი და იმედია, ტრავმა სერიოზული არ გამოდგება.

*„ძალიან ამაყი ვარ, პირველ რიგში იმით, რომ მოგებებს ასეთ დამაჯერებელ სტილში ვაღწევთ. ჩემპიონთა ლიგაზე ზედიზედ 10 შეხვედრის მოგება რაღაც განსაკუთრებულია. ადვილი შეხვედრა სულაც არ ყოფილა, მაგრამ ხასიათი გამოვაჩინეთ"* - განაცხადა მატჩის შემდეგ „ბაიერნის" მთავარმა მწვრთნელმა **ხოსეპ გვარდიოლამ**.

სიმბოლურია, რომ პეპის ამჟამინდელმა კლუბმა, მისი წინა გუნდის „ბარსელონას" ათი წლის წინანდელი მოგებების რეკორდი გააუმჯობესა.

„მანჩესტერ სიტი" შედარებით გადახალისებული შემადგენლობით კი იყო მინდორზე, მაგრამ მასპინძელთა ნებისმიერი ორი ფეხბურთელი რომ ამოგერჩია და მათი საერთო ჯამაგირი დაგეთვალა, „პლზენის" მთელი შემადგენლობის ხელფასზე გვარიანად მეტს მიიღებდი. ჩეხურ გუნდს ქების მეტი არაფერი ეკუთვნის, „ვიქტორია" ისევ დამარცხდა, მაგრამ ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა და „იტიჰედზე" ორჯერ შეძლო გათანაბრება. მესამედაც გაათანაბრებდა, **ჯო ჰარტს** რომ რთული „სეივები" არ შემოეთავაზებინა. განსაკუთრებით ლამაზი **ტომაშ ჰორავას** დარტყმა იყო, მან შორეულ კუთხეში ჩაუსვა ბურთი ჰარტს.

მასპინძელთა მხრიდან ძალიან აქტიური გახლდათ **სამირ ნასრი**, რომელიც მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. თუმცა შეცვლაზე შესული **ხესუს ნავასიც** გამოვარჩიოთ, იგი „სიტის" მეორე და მესამე გოლებისას ასისტენტად მოგვევლინა. სხვათა შორის, მესამე გოლი ასევე ცვლილებაზე გამოსულმა **ალვარო ნეგრედომ** გაიტანა. ვთქვათ ისიც, რომ სტუმართა რიგებში ორივე საგოლე პასი **დანიელ კოლარისა** იყო. მოკლედ, ამ შეხვედრაში 6 გოლი გავიდა და კიდევ ერთი ამდენიც თავისუფლად შეიძლებოდა გასულიყო.

ბოლო ტურში კი, თუ „სიტი" 1:3-ზე

» მე-9 გვერდზე

ინტერი

# ბერგომი: ფორვარდი გვჭირდება


ჯუზეპე ბერგომი

„ინტერის" ყოფილმა ფეხბურთელმა და კაპიტანმა **ჯუზეპე ბერგომიმ** ჟურნალისტებს საკუთარი მოსაზრება გაუზიარა და განაცხადა, რომ „ნერაძურის" აუცილებლად სჭირდება ერთი მაღალი კლასის ფორვარდის დამატება:

*„მიუხედავად იმისა, რომ „ინტერმა" სერია A-ს მიმდინარე გათამაშების 13 ტურში 30 გოლი გაიტანა, ვფიქრობ, რომ გუნდს ჰაერივით სჭირდება მაღალი კლასის ფორვარდის დამატება. ეს „ბოლონიასთან" პაექრობაში ნათლად გამოჩნდა, როდესაც ვალტერ მაცარის გუნდს სამი ქულის მოსაპოვებლად სწორედ კარგი დამგვირგვინებელი დააკლდა. ჯერჯერობით, ამ ფუნქციას მხოლოდ როდრიგო პალასიო ასრულებს, ერთი კაცი კი ყველაფერს ვერ გაწვდება. მჯერა ისაკ ბელფოდილის და მაურო იკარდის ნიჭიერების, მაგრამ მათ ჯერ კიდევ ბევრი აქვთ სასწავლი. იმედი მაქვს, კლუბის ახალი მესვეურები სატრანსფერო ბაზარზე იაქტიურებენ და ერთ გამტან თავდამსხმელს ზამთარში გადაიბირებენ. როგორც „ინტერისტას", ეს ძალიან გამახარებს".*

**ლაშა წიკლაური**



A ჯგუფი

# დამცირებულნი და შეურაცხყოფილნი

A ჯგუფის მეხუთე ტურის შედეგებს სწორედ **ფიოდორ დოსტოევსკის** ცნობილი ნაწარმოების სახელი მიესადაგება: „მანჩესტერ იუნაიტედმა“ და „შახტარმა“ მეტოქეები დაამცირეს კიდეც და მათ შეურაცხყოფაც მიაყენეს. ეს განსაკუთრებით ლევერკუზენის „ბაიერს“ ეხება, რომელიც შინ თამაშობდა და მიუხედავად ამ მწარე მარცხისა, ჯგუფიდან გასვლის შანსს მაინც ინარჩუნებს.

„ბაიარენაზე“ გამართული მატჩის გმირი ის ფეხბურთელი გახდა, რომლის გვარსაც გოლების ავტორებში ვერ ამოიკითხავთ - **უეინ რუნიმ,** სანამ მოედანზე იყო, საკუთარი გუნდის ყველა გოლში უშუალო მონაწილეობა მიიღო. 22-ე წუთზე „იუნაიტედის“ ლიდერმა **ანტონიო ვალენსიას** გაატანინა, რამდენიმე წუთში კი საგოლე პასი **კრის სმოლინგს** გაუკეთა, რომელსაც **ემირ სპაჰიჩმა** დაასწრო და საკუთარ კარში გაიტანა.

**სამი ჰიიპიას** შეგირდებს არაფერი გამოსდიოდათ და შედეგად, „ფარმაცევტებმა“ მეორე ტაიმში კიდევ სამი გოლი მიიღეს. 65-ე წუთზე **რაიან გიგზის** კუთხურის შემდეგ კარისკენ ისევ და ისევ რუნიმ დაარტყა, **ბერნდ ლენომ** ბურთი კი მოიგერია, მაგრამ დამატებაზე ყველას **ჯონი ევანსმა** დაასწრო და ბურთი კარში შეაგორა, შეხვედრის დასრულებამდე 13 წუთით ადრე კი მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა რუნიმ ცარიელ კართან მყოფ სმოლინგს გადააწოდა და თავი ამ უკანასკნელმაც გამოიჩინა. ამის შემდეგ, შეხვედრის გმირმა მოედანი დატოვა, საბოლოო წერტილი კი გიგზი-**ნანის** კომბინაციის შემდეგ პორტუგალიელმა დასვა - 0:5 და **დევიდ მოიესის** გუნდი 1/8 ფინალშია.

მეორე ადგილზე კი დონეცკის „შახტარი“ გადავიდა, რომელმაც **ალექს ტეიშეირას** და **დუგლას კოშტას** შესანიშნავი თამაშის წყალობით „სოსიედადს“ მეორედაც (პირველ წრეში 2:0) მოუგო. დუგლას კოშტამ დუბლი შეასრულა და ერთი საგოლე პასი მიითვალა, ალექს ტეიშეირამ კი აქტივში ერთი გოლი და ერთი პასი ჩაიწერა.

უკანასკნელ ტურში „შახტარი“ მანჩესტერში ითამაშებს, „ბაიერი“ კი „სოსიედადს“ ესტუმრება, რომელსაც მოტივაცია აღარ შერჩა, რადგან ევროპალიგის საგზურსაც ველარ შესწვდება. სიტუაცია ისეთია, რომ „შახტარი“ ჯგუფში ან მესამე ადგილზე გავა, ან პირველ ადგილს დაიკავებს, რადგან თუ მოიგო, „იუნაიტედს“ გადაასწრებს, ხოლო თუ ვერ იმარჯვა, დიდი ალბათობით, „ლევერკუზენი“ ბასკეთიდან სამ ქულას წამოიღებს და პლეი ოფშიც სწორედ ჰიიპიას გუნდი გავა.


უეინ რუნიმ „ლევერკუზენს“ შავი დღე აყარა

**ლევერკუზენი-მანჩესტერი 0:5**

**გოლები:** 0:1 ვალენსია (22), 0:2 სპაჰიჩი (30-საკ. კარში), 0:3 ევანსი (65), 0:4 სმოლინგი (77), 0:5 ნანი (88)

**ლევერკუზენი (4-3-2-1):** ლენო - დონატი, სპაჰიჩი, თოფრაქი, ჩანი - რაინარტცი (70. ჰეგელერი), ლ. ბენდერი (81. კორი), როლფესი - გ. კასტრო, სონი (70. დერდიოკი) - კისლინგი

**მანჩესტერი (4-2-3-1):** დე ხეა - სმოლინგი, ფერდინანდი, ევანსი, ევრა (70. ბიუტნერი) - ჯოუნსი, გიგზი - ვალენსია (79. იანგი), კაგავა, ნანი - რუნი (80. ანდერსონი)

**გაფრთხილება:** კორი - .

**კუთხური:** 8-5; **ჯარიმა:** 14-13; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 12-19 (4-13); **ბურთის ფლობა:** 48%-52%

**მაყურებელი:** 29 412

**შახტარი-სოსიედადი 4:0**

**გოლები:** 1:0 ლუის ადრიანო (37), 2:0 ალექს ტეიშეირა (48), 3:0 დუგლას კოშტა (68), 4:0 დუგლას კოშტა (87)

**შახტარი (4-2-3-1):** პიატოვი - სრნა, რაკიცკი, კუჩერი, შევჩუკი - ფრედი, სტეპანენკო - დუგლას კოშტა, ალექს ტეიშეირა (75. ედუარდო), ბერნარდი (69. ტაისონი) - ლუის ადრიანო (72. ფ. ფერეირა)

**სოსიედადი (4-3-2-1):** ბრავო - კადამურო, ანსოტეგი, ი. მარტინესი, დე ლა ბელია - რუბენ პარდო (68. ხავი როსი), ელუსტონდო, ჩაბი პრიეტო - გ. კასტრო, გრიზმანი (74. აგირეჩე) - ველა (74. სეფეროვიჩი)

**გაფრთხილება:** რაკიცკი, სტეპანენკო, კუჩერი - ელუსტონდო

**კუთხური:** 6-5; **ჯარიმა:** 17-17; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 13-15 (8-10); **ბურთის ფლობა:** 47%-53%

**მაყურებელი:** 44 348

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მან. იუნაიტედი | 5 | 3 | 2 | 0 | 11-3 | 11 |
| 2. შახტარი | 5 | 2 | 2 | 1 | 7-5 | 8 |
| 3. ლევერკუზენი | 5 | 2 | 1 | 2 | 8-10 | 7 |
| 4. სოსიედადი | 5 | 0 | 1 | 4 | 1-9 | 1 |

**მომდევნო ტური**

10 დეკემბერი: **მანჩესტერი-შახტარი, სოსიედადი-ლევერკუზენი**

**ტატო ბაციკაძე**



ალვარო ნეგრედო

უკეთესი ანგარიშით მოუგებს „ბაიერნს“, „ქალაქელებზე“ პირველი ადგილი ალალი იყოს. ხოლო ჩეხეთში „პლზენი“ შეეცდება 3:2-ზე უმჯობესი შედეგით სძლიოს ცსკა-ს და ევროპის ლიგაზე თავად გადაინაცვლოს.

**ცსკა-ბაიერნი 1:3**

**გოლები:** 0:1 რობენი (17), 0:2 გიოტცე (56), 1:2 ჰონდა (62-პენ.), 1:3 მიულერი (65-პენ.)

**ცსკა (4-2-3-1):** აკინფეევი - ნაბაბკინი, ვ. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, შჩენიკოვი - ვერნბლოომი, მილანოვი (90. ვიტინიო) - ტოშიჩი, ჰონდა, ცუბერი (68. ელმი) - მუსა (80. ბაზელიუკი).

**ბაიერნი (4-1-4-1):** ნოიერი - რაფინია, ბოატენგი, დანტე, ალაბა - ლამი (28. ტიაგო ალკანტარა) - თ. მიულერი, მარტინესი (79. კირხოფი), ტ. კროოსი, რობენი - გიოტცე (88. გრეენი).

**გაფრთხილება:** მარტინესი, დანტე, ტიაგო ალკანტარა

**კუთხური:** 7-2 **ჯარიმა:** 5-10 **თამაშგარე:** 2-4 **კარში დარტყმა:** 14-8 (10-5) **ბურთის ფლობა:** 37%-63%.

**მაყურებელი:** 14 000

**სიტი-პლზენი 4:2**

**გოლები:** 1:0 აგუერო (33-პენ.), 1:1 ჰორავა (43), 2:1 ნასრი (65), 2:2 ტეცლი (69), 3:2 ნეგრედო (78), 4:2 ჯეკო (89)

**სიტი (4-4-2):** ჰარტი - რიჩარდსი, ლესკოტი, დემიკელისი, კოლაროვი - მილნერი, ფერნანდინიო (64. იაია ტურე), ხავი გარსია, ნასრი (75. ნასრი) - აგუერო (46. ნავასი), ჯეკო.

**პლზენი (4-2-3-1):** კოზაჩიკი - რაიტორალი, ჩისოვსკი, პროზაჩკა, ჰუბნიკი - ჰორავა, ჰორვატი - პეტრჟელა (73. კოვარიკი), კოლარი (86. ბაკოში), დურისი (90. ვაგნერი) - ტეცლი.

**გაფრთხილება:** მილნერი, ჩიშოვსკი, დემიკელისი, იაია ტურე

**კუთხური:** 3-11 **ჯარიმა:** 10-14 **თამაშგარე:** 3-5 **კარში დარტყმა:** 19-16 (9-9) **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 37 742

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 5 | 5 | 0 | 0 | 15-2 | 15 |
| 2. სიტი | 5 | 4 | 0 | 1 | 15-8 | 12 |
| 3. ცსკა | 5 | 1 | 0 | 4 | 7-15 | 3 |
| 4. პლზენი | 5 | 0 | 0 | 5 | 4-16 | 0 |

**მომდევნო ტური**

10 დეკემბერი: პლზენი-ცსკა, ბაიერნი-სიტი

**გიორგი კაკაბაძე**

## ამბები

### ლივერპულს მიტროღლუ უნდა

ინგლისურ „ლივერპულს“ თავდასხმის გაძლიერება **კოსტას მიტროღლუთი** სურს და მერსისაიდული კლუბის უფროსობას ნიადაგი უკვე მოუსინჯავს „ოლიმპიაკოსთან“. როგორც იცით, 25 წლის მიტროღლუ საუცხოო სეზონს ატარებს და ბევრის ყურადღება მიიქცია, მათ შორის მსურველები გერმანიიდანაც გამოუჩდნენ. მისი პროფესიონალური კარიერა სწორედ იქ დაიწყო, კერძოდ, „გლადბახში“. თუმცა პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენა პირეოსელთა რიგებში შეძლო.

### საფრანგეთმა მონაკოს ფული მოსთხოვა

საფრანგეთის სენატი გამოვიდა ინიციატივით, რომ ჩემპიონატში მოთამაშე სხვა ქვეყნის კლუბებმაც დანარჩენებივით გადაიხადონ გადასახადები. თუ ამ იდეას მოიწონებენ და დაამტკიცებენ „მონაკოს“, რომელიც საკუთარ სამეფოსგან იბეგრება, სერიოზული ფინანსური ზარალი მიადგება და **დიმიტრი რიბალიოვლევმა** შესაძლოა ტრანსფერებში ფული ისე თავისუფლად ველარ ხარჯოს. შეგახსენებთ, რომ 75%-იანი დაბეგვრის კანონპროექტს ფრანგები 20 დეკემბერს ხელახლა განიხილავენ და, წესით, ახალი წლიდან ის ძალაში უნდა შევიდეს. ამ საკითხზე კლუბებსა და მთავრობას შორის მოლაპარაკებები გრძელდება.

### რეალი და პსჟ 2 იანვარს ითამაშებენ

2 იანვარს მადრიდის „რეალი“ და პსჟ ყატარში, კერძოდ კი დოჰაში ამხანაგურ მატჩს გამართავენ. ასე რომ, ახალი წლის პირველ დღეს ფეხბურთელები სანახევროდ თვითმფრინავში გაატარებენ, ხოლო მერე, ჩვენებური გაგებით, ერთმანეთს დაიბედებენ. შეგახსენებთ, რომ ამხანაგური თამაშის გამართვა პარიზული კლუბიდან „სამეფო გუნდის“ მთავარ მწვრთნელად გადასული **კარლო ანჩელოტის** კონტრაქტის პირობებში ჩაიდო. პსჟ-ს პრეზიდენტმა **ნასერ-ალ ხელაიფიმ** მოინდომა, რომ „რეალი“ ყატარში ჩასულიყო და აგერ ბატონო. იგი ადგილობრივ გულშემატკივრებს საახალწლო საჩუქარს გაუკეთებს. **კრიშტიანო რონალდო** და **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** კი კიდევ ერთხელ წარდგებიან ერთმანეთის პირისპირ. მოკლედ, დოჰაში ნამდვილი ვარსკვლავთცვენა იქნება.

### ახალი კონტრაქტი მერტეზაკერს

**პერ მერტეზაკერი** მალე „არსენალთან“ ახალ კონტრაქტს გააფორმებს. ფეხბურთელი, რომლის გოლითაც ცოტა ხნის წინ, გერმანიამ ინგლისის ნაკრებს მოუგო, მშვენიერ ფორმაშია და ლონდონელთა დაცვის ბურჯად იქცა. „საუთჰემპტონთან“ მან კაპიტნის სამკლავურიც კი მოირგო.

*„აქ თავს ბედნიერად ვგრძნობ. ტრავმების გამო, პირველი სეზონი კარგად არ აეწყო, მაგრამ კლუბი და მწვრთნელი ბოლომდე მენდობოდნენ. ჩვენი მოქმედი შეთანხმება წელიწადნახევარში იწურება და არსად გვეჩქარება, მოლაპარაკებები მშვიდად მიმდინარეობს. გუნდის ამ ინიციატივას ჯილდოდ აღვიქვამ. მიხარია, რომ ჩემი თამაშით კმაყოფილები არიან“* - თქვა მერტეზაკერმა.

**გიორგი კაკაბაძე**

### ბალცარეტის რომა არ ეთმობა


ფედერიკო ბალცარეტის პსჟ-ში გადასვლა არ სურს

ბოლო პერიოდში ბევრს ლაპარაკობენ **ფედერიკო ბალცარეტის** „რომადან“ პსჟ-ში შესაძლო გადაბარგების შესახებ და თანაც, ეს ამბავი ზამთრის სატრანსფერო პერიოდისთვის ანონსდება. ამბობენ, რომ ფრანგული კლუბი მზადაა 31 წლის მარცხენა მცველში 10 მილიონი ევრო გადაიხადოს. ამ თემაზე კომენტარი თავად ფეხბურთელმა გააკეთა:

*„პარიზული კლუბის დაინტერესების შესახებ მეც გავიგე და არ უარვყოფ, რომ კლუბებს შორის გარკვეული კონტაქტი შედგა. თუმცა, ძალიან მეეჭვება რომ ეს ტრანსფერი შედგეს, რადგან პირადად მე, გუნდის გამოცვლის სურვილი არ მაქვს. რომში თავს შესანიშნავად ვგრძნობ როგორც სპორტული, ისე საყოფაცხოვრებო თვალსაზრისით. რეგულარულად ვთამაშობ იმ გუნდში, რომელიც სკუდეტოსთვის იბრძვის და რატომ უნდა ვიფიქრო სხვაგან წასვლაზე? - ამასთან, იტალიის ეროვნულ ნაკრებში დაბრუნება და მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრება მსურს, რაც „რომადან“ უფრო იქნება შესაძლებელი. მოკლედ, ჩემი გეგმები „ჯალოროსოს“ უკავშირდება“.*

**ლაშა ნიკლაური**






ბატუტზე ხტომა

# ჩემპიონები ევროპისთვის ემზადებიან

სოფიაში ბატუტზე მხტომელთა მსოფლიოს ჩემპიონატში საქართველოს რვა წარმომადგენელი მონაწილეობდა. მათგან 16-წლიანთა სინქრონულ ხტომებში ოქროს მედლები მოიპოვეს **თეონა ჯანჯღლავამ** და **ანა ოდიშვილმა**, რომლებსაც **ლია ხრიკული** და ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ზაურ სულაშვილი** ავარჯიშებენ.

- მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ჯერ თბილისში, მერე დუშეთის ოლიმპიურ ბაზაზე ვემზადებოდით სპორტის სამინისტროს დაფინანსებით, ხოლო ახალგაზრდების დამატებითი 9-დღიანი საწვრთნელი შეკრებისთვის სახსრები ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა გამოყო. - გვითხრა ზაურ სულაშვილმა. - სოფიაში კარგად იასპარეზა თენგიზ კოშკაძემ, რომელსაც ნახევარფინალში შესვლა არ გასჭირვებია. იქ კი არბიტრების არაობიექტურობა რომ არა, კოშკაძე 8 უძლიერესში მოხვდებოდა. უფროსებში დებიუტი ჰქონდა თამარ კაკაშვილს, რომელიც 18-წლამდელებში 2011 წლის მსოფლიოს პირველობის ვერცხლის პრიზიორია სინქრონულ ხტომებში ნანა გოგაშვილთან ერთად. კაკაშვილი დაბალი სირთულის ვარჯიშების გამო ნახევარფინალში ვერ მოხვდა. დიდად გვეიმედებოდა ოლიმპიური თამაშების ორგზის მონაწილე ლუბა გოლოვინა, იგი კარგადაც იყო მომზადებული, მაგრამ პირველი ვარჯიშის მე-9 ილეთზე ფეხი ჩაეკეცა, რის გამოც მე-10 ილეთისას ლეიბს შეეხო, ამიტომ ტექნიკური შეფასებაც დააკლდა, ვარჯიშის სირთულეც და დროც. მართალია, მე-2 ნებისმიერი ვარჯიში ჩვეულად შეასრულა, მაგრამ დანაკლისის ანაზღაურება ვერ შეძლო.

სტაბილურად იასპარეზეს ახალგაზრდებმა. განსაკუთრებით თეონა ჯანჯღლავამ და ანა ოდიშვილმა გაგვახარეს, რომლებმაც სინქრონულ ხტომებში ოქროს მედლები მოიპოვეს. 18-წლამდელებში მსოფლიოს წინა ჩემპიონატის მეორე პრიზიორმა ნანა გოგაშვილმა (მწვრთნელი ზურაბ კიკნაძე) და 13 წლის ქრისტინე სორდიამ (მწვრთნელი ირმა სოლოლაშვილი) მე-10 ილეთის შესრულებისას შეცდომა დაუშვეს და საბოლოოდ მე-9 ადგილს დასჯერდნენ - ფინალში შესასვლელად 0,41 ქულა არ ეყოთ. არადა, რთული ვარჯიში ჰქონდათ და მათგანაც მედალს ველოდით, იმის მიუხედავად, რომ სორდია მესამე წელიწადია, რაც ბატუტზე ხტომაში ვარჯიშობს და სოფიაში 4 წლით უფროსებს ეპაექრებოდა. ერთეულთა თანრიგში ასპარეზობისას გოგაშვილი ლეიბს შეეხო და ვარჯიში ველარ გააგრძელა.

მსოფლიოს ჩემპიონატზე დაშვებული ხარვეზების მიუხედავად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საკმაოდ პერსპექტიული სპორტსმენები გვყავს და სათანადო თანადგომის შემთხვევაში ბევრად უკეთესი შედეგების მიღწევა შეუძლიათ. დუშეთის შეკრების წინ ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ახალი ბადეები შეგვიძინა, რაც შვიდი წელიწადია არ გვღირსებია. არადა, სწორედ იმ ახალ ბადეებზე ვარჯიშით ჩვენმა სპორტსმენებმა საგრძნობლად დახვეწეს რთული ილეთები. ბულგარეთის დედაქალაქში ახალი კონსტრუქციის ბატუტებზე ვიასპარეზეთ, რომელსაც შეუჩვეველი ვიყავით. სამომავლოდ აუცილებელია თანამედროვე „ევროტრამპლის ულტიმეის" ორი ბატუტის შეძენა, რათა სპორტსმენები წვრთნისას შეეჩვიონ უახლეს სპორტულ ინვენტარს. ეს ვარჯიშების სირთულეს გაზრდის და სიმაღლის აწევის საშუალებასაც მოგცემს...

გუშინ სანაპიროზე არსებულ დარბაზში ვარჯიშის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონებსა და მათს პირად მწვრთნელ ლია ხრიკულსაც ვესაუბრეთ:

**ლია ხრიკული:** თეონა ჯანჯღლავას და ანა ოდიშვილს 9-10 წელიწადია, ვამეცადინებ. მათ თანატოლებში არაერთხელ მიუღწევიათ წარმატებისთვის. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონებმა სინქრონულ ხტომებში პირველად 2008 წელს საბერძნეთში „სპარტაკუს თასზე" იასპარეზეს და ყველას აჯობეს, თან ანამ 10-წლიანებში, თეონამ კი 11-წლიანებში მოიპოვეს პირველი ადგილები. 2009 წელს ოდიშვილი სანკტ-პეტერბურგში მსოფლიოს პირველობაზე მესამე იყო, 2010 წელს მეცში კი თანატოლებს შორის ოქროს მედალი დაიმსახურა, თან, 13,3 სირთულის კოეფიციენტის ვარჯიში შეასრულა, რაც მის ასაკში, ფაქტობრივად წარმოუდგენელი იყო, ამიტომ დოპინგკონტროლზე იგი საგულდაგულოდ შეამოწმეს. 2011 წელს ინგლისში ანა საკვალიფიკაციოში პირველი იყო, მაგრამ ფინალში მე-4 ადგილს დასჯერდა. სინქრონულ ხტომებში თეონასთან ერთად მეხუთე ადგილი დაიკავა. შარშან ევროპის ჩემპიონატზე 18-წლამდელებში 13 წლის ოდიშვილმა ყველაზე რთული ვარჯიში შეასრულა, მაგრამ მცირედი ხარვეზიც საკმარისი აღმოჩნდა, მე-5 ადგილზე გასულიყო. და აი, წლეულს ანამ და თეონამ მაინც მიაღწიეს სანადელს - ფინალში 44,500 ქულით ჩემპიონობა მოიპოვეს და მეორე ადგილებზე გასულ გერმანელებისა და რუსების წყვილებს 1,4-1,4 ქულით გაუსწრეს. პერსპექტიული დუეტია. მჯერა, რომ ისინი კიდევ არაერთხელ გაგვახარებენ. ახლა დავიწყებთ მზადებას 2014 წლის ევროპის ჩემპიონატისთვის, რომელსაც აპრილში პორტუგალია უმასპინძლებს. იქაური შედეგები გადაწყვეტს, თუ ვინ მოიპოვებს გაისად ჩინეთში გასამართავი მსოფლიო ახალგაზრდობის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიას. მჯერა, რომ ანას და თეონას საგზურის მოპოვება არ გაუჭირდებათ.

**ანა ოდიშვილი:** მსოფლიოს ჩემპიონობის მოპოვებამ ძალიან გამახარა, მაგრამ ამ შეჯიბრებაზე გულიც დამწყდა - ინდივიდუალურში საკვალიფიკაციოზე მეორე ვიყავი, ფინალში კი შეცდომა დავუშვი და მეხუთე ადგილზე გავედი. ძალიან ვნერვიულობდი და იმის ბრალია. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა ვუთხრა მწვრთნელებს - ქალბატონ ლია ხრიკულს და ბატონ ზაურ სულაშვილს. ჩვენი ჩემპიონობა მათი დამსახურებაა.

**თეონა ჯანჯღლავა:** მართლაც ბევრი ვინერვიულეთ, განსაკუთრებით ფინალის წინ. ზაურ მასწავლებელი გვამხნევებდა, გვარწმუნებდა, რომ მედლის მოპოვება შეგვეძლო. როცა ჩვენი მეტოქეები ასპარეზობდნენ, ნაკრების მთავარ მწვრთნელთან ერთად სხვა დარბაზში მოთელვას გავდიოდით. რთული ვარჯიში გვქონდა და თითოეული ნიუანსი ზუსტად უნდა გაგვეთვალა. საბედნიეროდ, ყველაფერი უშეცდომოდ გავაკეთეთ და ჩემპიონობა მოვიპოვეთ. ვეცდებით, ქომაგები სხვა შეჯიბრებებზე მოპოვებული გამარჯვებებითაც გავახაროთ.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო



მარცხნიდან: ზაურ სულაშვილი, თეონა ჯანჯღლავა, ანა ოდიშვილი, ლია ხრიკული

ხელბურთი

# თვრამეტწლამდელები სომხეთში

ერევანში დღეს დაიწყება 18-წლამდელ ხელბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი სომხეთის პრემიერ-მინისტრის თასზე. მთავარი პრიზისთვის საქართველო, სომხეთი, რუსეთი და უკრაინა იბრძოლებენ.

ჩვენი გუნდი, რომელსაც **ტიტე კალანდაძე** და **გიორგი გვაზავა** ხელმძღვანელობენ, მონდომებით ემზადება 18-წლამდელთა ევროპის 2014 წლის პირველობისთვის. ამ შეჯიბრების შესარჩევი ტურნირი გაისად 10-12 იანვარს ხორვატიაში გაიმართება - მასპინძლები, ქართველები, მაკედონიელები და ჰოლანდიელები ფინალურ ტურნირზე (2014 წლის აგვისტო, პოლონეთი) მოსახვედრი 2 საგზურისთვის დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. ამდენად, ერევნულ ტურნირს ჩვენი ბიჭებისთვის სათამაშო პრაქტიკის მისაღებად უდიდესი მნიშვნელობა აქვს. საგულისხმოა, რომ სომხეთის 18-წლამდელები ამას წინათ თბილისში სტუმრობისას ქართველ თანატოლებთან 11:39 დამარცხდნენ. ერევანში საქართველოს ნაკრები ასეთი შემადგენლობით გაემგზავრა: **ირაკლი ხიდეშელი** (მეკარე, სტუ, 188 სმ, 1996), **ზურაბ ცინცაძე** (მეკარე, პეგასი, 178, 1996), **თეიმურაზ ორჯონიკიძე** (შუამარბი, სტუ, 195, 1996), **ალექსანდრე ცხვარაშვილი** (შუამარბი, პეგასი, 180, 1996), **გივი გიორგაძე** (შუამარბი, იმედი, 190, 1996), **მიხეილ ნაზღაიძე** (შუამარბი, პეგასი, 182, 1998), **ამირან აბჟანდაძე** (გამთამაშებელი, პეგასი, 185, 1996), **ვლადიმერ ბაძალუა** (გამთამაშებელი, პეგასი, 173, 1996), **ჯაბა ხაჟომია** (ხაზი, სამტრედია, 182, 1996), **გაგა დემეტრაშვილი** (ხაზი, პეგასი, 187, 1996), **გიგა კოხრეიძე** (ხაზი, პეგასი, 187, 1996), **ირაკლი გოგოლაძე** (გარემარბი, სტუ, 177, 1996), **გიორგი დიხამინჯია** (გარემარბი, პეგასი, 172, 1997), **კირილე ცუხიშვილი** (გარემარბი, პეგასი, 182, 1996), მთავარი მწვრთნელი ტიტე კალანდაძე, მწვრთნელი გიორგი გვაზავა.

**გათამაშების კალენდარი**

**28 ნოემბერი,** უკრაინა - საქართველო, სომხეთი - რუსეთი;
**29 ნოემბერი,** რუსეთი - უკრაინა, სომხეთი - საქართველო;
**30 ნოემბერი,** საქართველო - რუსეთი, სომხეთი - უკრაინა.

**ხორვატიაში ჩვენი გუნდის შეხვედრათა განრიგი კი ასეთია:**

**10 იანვარი.** საქართველო - ჰოლანდია; **11 იანვარი.** საქართველო - ხორვატია; **12 იანვარი.** საქართველო - მაკედონია.

2014 წელს შესარჩევი ტურნირი უწევს საქართველოს 20-წლამდელ ნაკრებსაც (მწვრთნელი **ბექარ ორჯონიკიძე**). ეს გუნდი 4-6 აპრილს ესპანეთში მასპინძლების, ნორვეგიისა და ჩერნოგორიის წინააღმდეგ ითამაშებს. ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ამ ჯგუფიდანაც 2 გუნდი გადის.

**ვაჟა დანელია**



18-წლამდელები

სამბო. პრესკონფერენცია





# პეტერბურგი შეაფასეს

## კახაბრიშვილი მსოფლიოს სამბისტებს უმკურნალებს და შეამოწმებს

გუშინ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში პრესკონფერენცია გამართა მსოფლიოს ჩემპიონატიდან დაბრუნებულმა სამბისტთა ნაკრებმა. შეგახსენებთ, რომ სანკტ პეტერბურგში ჩატარებულ ტურნირში ჩვენებმა 6 მედალი მოიპოვეს – 2 ოქრო, 1 – ვერცხლი და 3 – ბრინჯაო. აქედან ერთი ბრინჯაო ქალების მონაგარია. ვაჟებიდან მსოფლიოს ჩემპიონები **ვახტანგ ჩიდრაშვილი** (57) და **ლევან ნახუცრიშვილი** (68) გახდნენ, **ლაშა გურულმა** (100) ფინალური პაექრობა წააგო, მესამეზე კი **კახა მამულაშვილი** (74) და მძიმეწონოსანი **ნოდარ მეტრეველი** გავიდნენ. ქალებიდან ბრინჯაო **ირინე ლეონიძემ** (80) მოიპოვა.

პრესკონფერენციას სამინისტროსა და ფედერაციის ხელმძღვანელებთან ერთად საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, რადგან ამ უმნიშვნელოვანესი შეჯიბრებისთვის სამბისტთა მზადებაში ისინიც აქტიურად მონაწილეობდნენ სამბოს არაოლიმპიურობის მიუხედავად.

ეს შეჯიბრება საიუბილეო იყო — სამბოს დაარსების 75-ე წლისთავს დაემთხვა და სიმბოლურია, ჩემპიონატშიც 75 ქვეყანა გამოდიოდა, საქართველო კი ამ სოლიდურ კამპანიაში რუსეთის შემდეგ გუნდურში მეორე ადგილზე გავიდა.

**ლევან ყიფიანი** (სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი):

„სამბისტებმა დიდი სიხარული გვაჩუქეს. სამბო არაოლიმპიური სახეობაა, მაგრამ მუდამ ყურადღების ცენტრში იყო და ახლაც ასეა. ქალებში ოქროს კი ველოდით, თუმცა ვიმედოვნებთ, ეს მომავალში მოხდება. გილოცავთ ამ წარმატებას – სპორტსმენებს, მწვრთნელებს, ფედერაციას... ამ ფედერაციიდან უკვე გვაქვს გრძელვადიანი პროექტები სახეობის განვითარებაზე და სახელმწიფო აქტიურად დაეხმარება მათ ამაში. ჩვენი ურთიერთობა უფრო მყარი, ხანგრძლივი და სასარგებლო იქნება".

სოსო ლიპარტელიანი (სამბოს ფედერაციის პრეზიდენტი): „უპირველესად, მადლობა სამინისტროსა და ოლიმპიურ კომიტეტს, რადგან მათი დახმარების გარეშე ეს წარმატება არ იქნებოდა. მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად ნაკრებმა სამი შეკრება გაიარა. პირველი – ბორჯომში, რომელიც შერეული ტიპისა იყო, მომდევნო ორი კი – გორში. კიდევ ერთხელ ვულოცავ წარმატებას მედალოსნებს და ქომაგებს".

ჯონდო მუზაშვილი (ნაკრების მთავარი მწვრთნელი): „ვუერთდები მილოცვებს და ბიჭებს დიდ მადლობას ვუხდი, რადგან ყველაფერი გააკეთეს, რომ საქართველოსთვის ეს დიდი წარმატება ეჩუქებინათ. სამინისტროს და ოლიმპიურ კომიტეტსაც დიდი მადლობა დახმარებისთვის. წარმატებებს მომავალშიც მოვიპოვებთ, თუ ცოტა მეტი მხარდაჭერა გვექნება, რომ სპორტსმენებმა მეტ ტურნირში მიიღონ მონაწილეობა".

ირაკლი დოლაბერიძე (სპორტის დეპარტამენტის უფროსი): „მილოცვებს მეც ვუერთდები და გულწრფელად გეტყვით, რომ ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ასეთ შედეგს არ ველოდი. მსოფლიოს ჩემპიონატზე ოქროს ორი მედალი, ისიც რუსეთში, როცა დარბაზში პრეზიდენტი პუტინი იმყოფება და იქ ორჯერ აჟღერდება საქართველოს ჰიმნი, უკვე დიდი წარმატებაა. აი, ამიტომაც უნდა მიიღონ სპორტსმენებმა მონაწილეობა ყველგან პოლიტიკისგან განურჩევლად. დიდი მადლობა ყველას, ვინც ეს წარმატება მოგვიტანა".

მამუკა ხაბარელი (სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი): „გილოცავთ წარმატებას და მიხარია, რომ ამაში მცირე წვლილი ოლიმპიურმა კომიტეტმაც შეიტანა. ძალიან მაგარი შეჯიბრება იყო, რომელსაც პირადად ვესწრებოდი. იქ ჩვენმა სპორტსმენებმა არა მარტო მეტოქეებთან, მსაჯებთანაც იბრძოლეს. გავიხსენებ ნახუცრიშვილის გამოსვლას ნახევარფინალში რუს ფალავანთან, როცა ქართველს შეხვედრას აგებინებდნენ და მთელი დარბაზი ფეხზე დაუდგა. შეიძლება ითქვას, მისი ჩემპიონობა სამბოს სამყაროს დამსახურებაა".

პრესკონფერენციაზე აღიარება მიულოცეს ოლიმპიური გუნდის მთავარ ექიმ **ზურაბ კახაბრიშვილსაც**, რომელიც სამბოს საერთაშორისო ფედერაციის სამედიცინო და დოპინგის კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს. ეს მეორე კადრია ამ საერთაშორისო ფედერაციის უმაღლეს ორგანოში – მანამდე სოსო ლიპარტელიანი სარევიზიო კომისიის შეფად აირჩიეს.

ჯონდო მუზაშვილს რუს **დენის დავიდოვთან** ნახუცრიშვილის ნახევარფინალური შეხვედრისას მომხდარ ინციდენტზეც წვრილად დავეკითხეთ, რასაც თავის სიტყვაში ხაბარელიც შეეხო. ეს ყველაფერი დასრულებამდე 5 წამით ადრე დაიწყო, როცა მსაჯებმა ვიდეოგამეორებაზე მასპინძელს ერთი ქულა მისცეს და ანგარიში გაათანაბრეს -- 2:2. ამაზე „ლელოც" წერდა რუსული საიტების მწირ ცნობებზე დაყრდნობით, მაგრამ თურმე მსაჯებმა გაარჩიეს არა იმ წამის ეპიზოდი, არამედ – ცოტა ხნის წინ მომხდარი. მუზაშვილი ვარაუდობს, რომ მსაჯები რუსისგან ქულას ისეც ელოდნენ, ხოლო როცა ასე არ მოხდა, მაშინ აამოქმედეს დამატებითი რეზერვები, ამან კი დარბაზის ობსტრუქცია გამოიწვია. თურმე რუსი ქომაგები და სხვა გუნდების წარმომადგენლებიც კი აპროტესტებდნენ მომხდარს, ხოლო მაყურებლებმა ლეიბზე ბოთლები და სხვადასხვა საგნები ისროლეს. უსამართლობა იმდენად ცხადი ყოფილა, რომ მსაჯებს ბოლოს მაინც შეუცვლიათ გადაწყვეტილება და გამარჯვება ქართველმა მოიპოვა.

**ირაკლი თავაძე**

# გაისად განახლდება

2000-2001 წლებში დაბადებულ ხელბურთელ ვაჟთა საქართველოს პირველობაში 12 გუნდი მონაწილეობს სამ ჯგუფად. ორ-ორი წრის პაექრობები გამართეს აღმოსავლეთი და დასავლეთი ჯგუფების გუნდებმა. სატურნირო მდგომარეობა კი ასეთია: **აღმოსავლეთი.** გორი- 12 ქულა, თელავი- 6, ყვარელი- 4, რუსთავი- 2; **დასავლეთი.** ქუთაისი- 16 ქულა, ფოთი- 7, ზუგდიდი- 6, სამტრედია- 5, ბათუმი- 4. გუშინ ასპარეზობა დასრულდა თბილისის ჯგუფშიც. გაუწყებთ ორივე წრის შეხვედრათა შედეგებს: იმედი - პეგასი 1:32, 4:30. იმედი - ქარიშხალა 3:20, 9:18. პეგასი - ქარიშხალა 35:20, 28:21. პეგასი- 8, ქარიშხალა- 4, იმედი- 0 ქულა.

ტურნირი 2014 წელს განახლდება.

**ვაჟა დანელია**

ლელოზე
ხელმომწერთა საყურადღებოდ!
ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.
დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74.
კვირის გარდა.



ცხენოსნობა

# დოლი ცაგერში

ცხენოსნობის ეროვნული სახეობებისადმი ყურადღება ბოლო წლებში კვლავ გამოცოცხლდა, რაიონებსა და სოფლებში მომრავლდნენ ცხენები და შეჯიბრებებიც ტარდება. ამ დღეებში ადგილობრივ მოსახლეობაში დიდი ინეტერესი გამოიწვია ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ინიციატივით დოლში გამართულმა ასპარეზობამ. რჩეულთა შორის პაექრობაში ფინიშთან პირველი მიიჭრა სოფ. წიფერჩის მხედარი **ჯიმშერ ფუტკარაძე**, მეორე იყო მისივე თანასოფლელი **მირიან ქომეთიანი**, მესამე ადგილი სოფ. ქვემო ცაგერის წარმომადგენელს **გოჩა ლეთოდიანს** ხვდა წილად.

**„ლელოს" კორ.**

## მილოცვები

საქართველოს ვეტერან მოჭიდავეთა კავშირი, ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამო" და ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ჩემპიონთა კლუბი დაბადების საიუბილეო 80 წელს ულოცავენ საქართველოს მოჭიდავეთა თაობებისა და მსოფლიოში აღიარებულ ფალავანთა ერთ-ერთ თვალსაჩინო აღმზრდელს, მაღალი ადამიანური ღირსებებით გამორჩეულ პიროვნებას, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს და სპორტის დამსახურებულ მოღვაწეს, ბატონ **ბიჭიკო შელიას.**



**ბატონ ბიჭიკო შელიას,**

ჩვენი ოჯახის უახლოესო ადამიანო, დიდ მადლობას გიხდით ჩვენი და მთელი სოფლის სახელით რევაზ ნადარეიშვილისთვის გაწეული 6-წლიანი დაუღალავი შრომისთვის, რამაც შესაძლებელი გახადა რევაზი გამხდარიყო მსოფლიოს ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის.

გილოცავთ დაბადების საიუბილეო 80 წელს. დიდხანს იცოცხლეთ ჩვენო კეთილო ადამიანო.

**რევაზ ნადარეიშვილის ოჯახი**

თავისუფალი ჭიდაობა

# ხუციშვილი ნიცაში ბრუნდება

მხრის ოპერაციით გამოწვეული ხანგრძლივი შესვენების შემდეგ სპორტს უბრუნდება თავისუფალ ჭიდაობაში ევროპის ვიცე-ჩემპიონი, მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსანი **დავით ხუციშვილი** (74). შეგახსენებთ, რომ მას მარტში თბილისში გამართული ევროპის ჩემპიონატის შემდეგ არ უჭიდავია. ის იქაც ნატკენი ხელით გავიდა და ტრავმის გამო ტურნირი ვერ დაასრულა. მას შემდეგ ხუციშვილს გერმანიაში ოპერაციაც გაუკეთეს, სარეაბილიტაციო პერიოდიც წარმატებით გაიარა და უკვე შეჯიბრებაზე გასვლის დროც დადგა...

კვირის ბოლოს ფრანგული რივიერის მარგალიტ ნიცაში ჭიდაობაში ფრანგთა პირველი ოლიმპიური ჩემპიონის – ანრი დეგლანის მემორიალი ტარდება და ხუციშვილის დაბრუნებაც იქ შედგება. ოღონდ მის კარიერაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლეა – ნიცაში ის 84 კილოგრამში გამოვა, რადგან ამ უქმობის პერიოდში წონაც გაექცა და ახალ კატეგორიაში აპირებს გამოსვლას. თუმცა, მოგეხსენებათ, იქ ნაკრების კიდევ ერთი ლიდერი, ევროპის ორგზის ჩემპიონი, მსოფლიოსა და ოლიმპიური პრიზიორი დავით მარსაგიშვილიც ჭიდაობს, თუმცა გაისად წონითი კატეგორიები იცვლება და ისე გააკეთებენ, რომ ორივემ ერთად არ მოიყაროს თავი.

სპორტსმენის ჯანმრთელობის ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ ოლიმპიური გუნდის მთავარ ექიმ **ზურაბ კახაბრიშვილს** დავეკითხეთ, რომელმაც დაგვაიმედა, რომ ყველა პრობლემა მოგვარდა. „ოპერაციის შემდეგ კუნთი სრულად აღსდგა და უკვე მთელი დატვირთვით ვარჯიშობს, აბსოლუტურად ყველა დავალებას ასრულებს. გერმანელებმა ყველაფერი გაუკეთეს, სარეაბილიტაციო პერიოდი აქაც გააგრძელა და ჯანმრთელობის მხრივ არანაირი პრობლემა არაა" - გვითხრა მან.

ხუციშვილს საფრანგეთში თან ნაკრების მთავარი მწვრთნელი **რევაზ მინდორაშვილი** გაჰყვა, რომელსაც მეტი არავინ წაუყვანია. ეს ტურნირი არც იყო ჩვენი ფედერაციის თავდაპირველ კალენდარში, მაგრამ მწვრთნელმა სპეციალურად იზრუნა ხუციშვილის სტარტისთვის. ვნახოთ, როგორ წარიმართება ტურნირი ნიცაში, ხუციშვილი კი, შესაძლოა, 6-7 დეკემბერს საქართველოს ჩემპიონატშიც ვიხილოთ. საფრანგეთში ის ხვალ, 29 ნოემბერს იჭიდავებს.

**ირაკლი თავაძე**



დავით ხუციშვილი

ჭადრაკი

# ქართველები – ლიდერებში

სამი ქართველი დიდოსტატი მონაწილეობს ჰაიდერაბადის (ინდოეთი) მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირში, რომელშიც გუშინ ორი ტურის შეხვედრები გაიმართა. მესამე ტურში **მერაბ გაგუნაშვილი** რამნათ ბუკანეშს (ინდოეთი) დაუზავდა, **ლევან ფანცულაიამ** როლანდ ნოლტე (ინდოეთი) დაამარცხა, **თორნიკე სანიკიძემ** რასეტ ზიატდინოვს (აშშ) აჯობა.

მე-4 ტური, ლევან ფანცულაია-არუნ პრასადი (ინდოეთი) 1:0, დას ნეელოტპალი (ინდოეთი)-მერაბ გაგუნაშვილი 0:1, თორნიკე სანიკიძე-კუმერ პრავენი (ინდოეთი) 0,5:0,5.

ოთხი ტურის შემდეგ 9 მოჭადრაკეს, მათ შორის - გაგუნაშვილსა და ფანცულაიას, 3,5-3,5 ქულა აქვთ, სანიკიძეს - ნახევარი ქულით ნაკლები. დღეს მეხუთე ტურში, სწორედ გაგუნაშვილი და ფანცულაია დაუპირისპირდებიან ერთმანეთს, სანიკიძე შარდულ კაგარეს (ინდოეთი) გაუწევს მეტოქეობას.

# ვინ გადავა უმაღლესში?

**ნონა გაფრინდაშვილის** სახელობის თბილისის ჭადრაკის სასახლეში დღეს დამთავრდება საქართველოს მოჭადრაკე ქალთა 71-ე ეროვნული ჩემპიონატის პირველი ლიგის შეჯიბრება, რომელშიც სხვადახვა რეგიონის 25 წარმომადგენელი უმაღლესი ეშელონის ხუთი საგზურისთვის იბრძვის. ბოლო ტურის მიუხედავად, სანადელს უკვე მიაღწიეს დიდოსტატმა **სოფიო გვეტაძემ** და საერთაშორისო ოსტატმა **სოფიო ნიკოლაძემ**. გვეტაძემ მე-7 ტურში **ნანი უნაფქოშვილს** სძლია, გუშინ კი **ნინო ხომერიკს** დაუზავდა. ნიკოლაძე ჯერ ნინო ხომერიკს, მერე **ინგა ხურცილავას** შეუთანხმდა ყაიმზე. ორივეს 6,5-6,5 ქულა აქვს. ლიდერებს თითო ქულით ჩამორჩებიან ნინო ხომერიკი, **ანა კუჭავა** და ინგა ხურცილავა, ხოლო ნანი უნაფქოშვილმა, **ალექსანდრა ვახანიამ** და **მარიამ ჭოლაძემ** 5-5 ქულას მოუყარეს თავი.

დღეს ბოლო ტურში ითამაშებენ: გვეტაძე-ჭოლაძე, ნიკოლაძე-მიქაძე, კუჭავა- ხურცილავა, უნაფქოშვილი-ხომერიკი, ვახანია-ბოკუჩავა. ხუთივე საგზურის მფლობელი ამ შეხვედრებში გაირკვევა.

**ვაჟა დანელია**

კალათბურთი



მიხეილ გაბრიჩიძე

# ქუთაისი, ფოთი... ბათუმი

კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატი **მიხეილ გაბრიჩიძე** დასავლურქართული კალათბურთის წრეებს ხვდება. იგი ჯერ ქუთაისში იყო, შემდეგ ფოთში, დღეს კი ბათუმში გაემგზავრება.

მიხეილ გაბრიჩიძემ საინტერესო ამბავი მოგვითხრო:

– შევხვდი ფოთის სპორტსკოლისა და სამეგრელოს კალათბურთის ფედერაციის წარმომადგენლებს. ვნახე დარბაზი, რომელიც ვეტერანი როლანდ გარუჩავას ხელმძღვანელობით ფოთში საკუთარი ხელით გაარემონტეს: პორტში მოიძიეს ხეტყე, რომელიც თავად დახერხეს და ისეთი დარბაზი გამოვიდა, არა მხოლოდ უმცროსების, დიდების თამაშების ჩატარებაც შეიძლება. ფოთის ხელმძღვანელობამ კალათბურთის მწვრთნელების მონდომება რომ დაინახა, მხარში ამოუდგა და შენობა მერიის ბალანსზე გადაიყვანა. მანამდე იგი ეკონომიკის სამინისტროს ეკუთვნოდა, რომელიც თავის მხრივ გაგებით მოეკიდა კალათბურთელებისთვის დარბაზის დათმობის საკითხს.

როგორც პრეზიდენტობის კანდიდატმა აღნიშნა, დარბაზთან არის შენობა, რომელშიც შეიძლება 40-50-კაციანი სასტუმრო მოეწყოს და კალათბურთის სათამაშოდ ჩასულ სტუმრებს უმასპინძლოს. ასევე შესაძლებელია ფოთში საკალათბურთო ინტერნატის ტიპის სკოლა გაიხსნას.

მიხეილ გაბრიჩიძეს ქუთაისზეც ვკითხეთ.

– პრეზიდენტობის კანდიდატის რანგში პირველი გასვლითი შეხვედრები ქუთაისში მქონდა. ამ ქალაქის საკალათბურთო მნიშვნელობასა და ისტორიაზე საუბარს აღარ მოვუყვები. შევხვდი იმერეთის კალათბურთის ფედერაციისა და სპორტსკოლის წარმომადგენლებს. სხვა საკითხებთან ერთად ვისაუბრეთ დარბაზზე, სადაც მოედნის საფარი არ იძლევა სხვადასხვა მაღალი დონის შეჯიბრების მასპინძლობის საშუალებას. როგორც მითხრეს, მოედნის გამოცვლა მომავალ წელს იგეგმება და ქუთაისს სრულფასოვანი არენა ექნება. ვერ შევხვდი, საკალათბურთო კლუბის წარმომადგენლებს, რომლებთანაც ბათუმიდან დაბრუნების შემდეგ ვისაუბრებ.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროთასი

# ალბა, რა ეგონა აბა!



საქართველოს ნაკრების კალათბურთელებით გაძლიერებულმა „სარაგოსამ" ევროთასზე გერმანულ „ალბას" უმასპინძლა და დიდი სხვაობით დაამარცხა - 75:50.

ფორვარდმა **ვიქტორ სანიკიძემ** 21 ქულა, 7 ქულა და 3 მოხსნა მიითვალა. ვიქტორმა 3-დან 2 ორქულიანი და 5-დან 1 სამიანი ჩააგდო. მისი შორეული ტყორცნის შემდეგ, მეორე პერიოდში „სარაგოსა" 39:18 დაწინაურდა, რის შემდეგაც მატჩი იოლად მიიყვანა გამარჯვებამდე.

**გიორგი შერმადინმა** მოედანზე 15 წუთი გაატარა და 2 ქულას (2-დან 1 ორქულიანი) 4 მოხსნა მიამატა.

ამ მოგებით სარაგოსელებმა დიდი ნაბიჯი გადადგეს მომდევნო ეტაპისკენ. მათ 7 ტურის შემდეგ 4 გამარჯვება აქვთ და მესამე-მეოთხე ადგილებს ინაწილებენ ბონის „ტელეკომთან". მომდევნო ეტაპზე სამი გუნდი გადის. პირველ ადგილზეა „ალბა", რომელსაც 2 წაგება აქვს.

მომდევნო ტური, რომელიც 4 დეკემბერს გაიმართება, ბევრს გადაწყვეტს - „სარაგოსა" უშუალო კონკურენტ „ტელეკომს" უმასპინძლებს. შეგახსენებთ, პირველ წრეში ბონში 104:108 წააგო.

ლელოს სტუმარი

ვახტანგ ნაცვლიშვილი

# დინამო საჩემპიონო ამბიციით

## როცა წესები გარკვეულია, მსაჯობაც იოლია

**რატომ არ გაგზავნის დელეგატს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში თბილისის „დინამო", რა ეტაპზეა გუნდის შენების პროცესი და რა მიზნებს ისახავს მიმდინარე სუპერლიგაში, ამ საკითხებზე „ლელოს" სტუმარ ვახტანგ ნაცვლიშვილს ვესაუბრეთ. იგი წლების განმავლობაში ეროვნული გუნდის კაპიტანი იყო, ამჟამად კი საკალათბურთო კლუბ „დინამოს" პრეზიდენტია.**

- რატომ არ მიიღებს „დინამო" არჩევნებში მონაწილეობას? ვიდრე გიპასუხებდეთ, ყურადღებას ერთ ნიუანსზე გავამახვილებ: ამ მოქმედებით ჩანს, რომ არავის ბანაკში არა ვართ, გახლავართ სრულიად თავისუფალი და ვერავინ მოახდენს ჩვენზე გავლენას. ვფიქრობ, ვარ სამართლიანი, თვითშეფასების დროსაც. თბილისის „დინამო" ჩემთვის არც წინაპრებს დაუტოვებიათ და არც არავის უჩუქებია. პრეზიდენტად ამირჩიეს იმიტომ, რომ სჯეროდათ, შემიძლია გუნდის მართვა და ძველი დიდების დაბრუნება. „დინამო" ხომ დიდი ტრადიციებისა და ისტორიის გუნდია, პოსტსაბჭოთა სივრცეში ერთ-ერთი ფლაგმანი იყო. ბატონი ნუგზარ ჯუღელის ფრაზას გამოვიყენებ - ჩვენი გუნდი ათწლეულების განმავლობაში ქმნიდა ამინდს. „დინამო" არ არის ის გუნდი, საარჩევნო ხლართებში გაებას და საზოგადო ინტერესი პიროვნულ ინტერესამდე დავიდეს. ამიტომაც ვთქვით, რომ მოქმედი წესდების მიხედვით ჩასატარებელ არჩევნებში მონაწილეობას არ მივიღებთ. ეს არის ანტიდემოკრატიული, ანტისამართლიანი და ყველაფერი რასაც შეიძლება ანტი დავარქვეთ, ამ წესდებაშია.

**- კონკრეტულად, რას გულისხმობთ?**

- გამგეობის წევრები ერთპიროვნულად წყვეტენ იმ დელეგატების ვინაობას, რომლებმაც შემდეგ თავად ისინი უნდა აირჩიონ. ეს აბსურდია. აქ არ არის ლაპარაკი, ვინ იქნება პრეზიდენტი ჩვენთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს. არჩევნებში, რომელიც არადემოკრატიული წესდებით ტარდება, მონაწილეობას არ მივიღებთ.

**- საერთაშორისო ფედერაცია, რომლის წევრიც ჩვენი ფედერაციაა, რატომ უშვებს ასეთი გაუმართავი წესდების არსებობას?**

- არის ორი ვარიანტი: ან არ იცის ჩვენი წესდების შესახებ, ან იცის და თვალს ხუჭავს. მის რეკომენდაციებში ხომ ნათლად წერია - არჩევნებში არ უნდა მიიღონ მონაწილეობა ფიზიკურმა პირებმა. გამგეობის წევრების საზოგადოებასთან შეხვედრებზე რამდენჯერაც მიმიწვიეს, იმდენჯერ მივედი და საკუთარი პრეტენზიები დავაფიქსირე. თუმცა მხოლოდ მე ვიღებდი ხმას. საკითხავია, პრეზიდენტობის კანდიდატებსაც რატომ არ აინტერესებთ წესდების გასწორება. სხვათა შორის, დაპირისპირებულ მხარეებს ვეუბნებოდი: ჩამოვიყვანოთ ფიბას წარმომადგენელი, რომელიც უშუალოდ გვიხელმძღვანელებს, წესდებას გაგვასწორებინებს და ახალი, შესწორებული ვარიანტით ჩავატარებთ არჩევნებს. თუმცა გამგეობის წევრებმა უგულვებელჰყვეს ეს შეთავაზება და, როგორც ვატყობ კომენტარებიდან, მინისტრთან შეხვედრის შეფასებებიდან, წესდება მოწესრიგდება არჩევნების დასრულების შემდეგ. რასაც არ ვეთანხმებით, რადგან ასეთ შემთხვევაში ახალ პრეზიდენტსაც ვაძლევთ საშუალებას თავისი გემოვნებით მოირგოს წესდება, ისე, როგორც აქამდე იყო. სწორედ ახლა გვქონდა შანსი საბოლოოდ დაგვემკვიდრებინა სამართლიანობის პრინციპი, რომ რამდენიმე წლის შემდეგ პრეზიდენტობის თითოეულმა კანდიდატმა იცოდეს, ვინ არის დელეგატი, ან რა კრიტერიუმებია დასაკმაყოფილებელი დელეგატობისთვის.



**- როგორც ცნობილია, ეწინააღმდეგებით არა მხოლოდ ფიზიკური პირებისთვის, არამედ რამდენიმე ფედერაციისთვის დელეგატობის მინიჭების საქმეს.**

- თბილისის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტიც გახლავართ, რომელიც 2013 წელს დაფუძნდა. მის გარდა კავშირებისა თუ რეგიონული ფედერაციების სახით დაარსებულია ათზე მეტი ორგანიზაცია. ეს, შესაძლოა, დელეგატების რაოდენობის ხელოვნურად გაზრდის მცდელობა ყოფილიყო. თუმცაღა, ძალიან მარტივია შეფასება, ვინ რას აკეთებდა ამ პერიოდში. მაგალითად, თბილისის კალათბურთის ფედერაციას მარტის შემდეგ კალათბურთში 300 ათას ლარამდე აქვს დახარჯული. ბევრია ფედერაცია, რომელსაც მხოლოდ დარეგისტრირების ფული აქვს გადახდილი და ყველა დამფუძნებელი შინ ზის. არ მიმაჩნია სამართლიანად იმ ფედერაციებსაც, ერთი ხმა ჰქონდეს, თბილისის კალათბურთის ფედერაციასაც და საკალათბურთო კლუბ „დინამოსაც". ჩვენი კლუბი ხომ ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერია, გვყავს გუნდები ყველა ასაკში და ჩვენთან დასაქმებულია ათობით მწვრთნელი. უნდა არსებობდეს კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება, ვინ უნდა იყოს დელეგატი და ვის რამდენი ხმა უნდა ჰქონდეს.

**- არჩევნების წინ „კალათბურთელთა კავშირისა" და ფედერაციის დაპირისპირებაზე რა აზრისა ბრძანდებით.**

- 2001 წლიდან ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში კონკურენტი არ არსებობდა. დროა, მივეჩვიოთ კრიტიკის მოსმენას, შეხედულებების გაზიარებას. წინასაარჩევნოდ ჩვეულებრივ ამბად მიმაჩინა კრიტიკა და დაძაბულობა. თუმცა მთავარია თამაშის წესები იყოს მკვეთრად გარკვეული, კარგად ჩამოყალიბებული. როცა წესები დალაგებულია, მსაჯობა ძალიან ადვილია. ახლა წარმოვიდგინოთ მატჩის მსვლელობისას არბიტრი რომ წყვეტდეს თამაშის წესებს, მაშინ როგორ დასრულდება ეს შეხვედრა? მსაჯის როლში კალათბურთის ფედერაციაა და ის წყვეტს, როგორი უნდა იყოს თამაშის წესები. ამიტომაც მივიდა საქმე აქამდე.

**- კლუბების ბოიკოტზე რა აზრისა ბრძანდებით?**

- ყოველთვის ვამბობდი, ვითანამშრომლებ იმ ფედერაციასთან, რომელსაც აღიარებს საერთაშორისო ფედერაცია. კლუბებისგან წამოვიდა ბოიკოტის ინიციატივა, რასაც თავიდანვე გავერიდე. სათამაშო და საარჩევნო პროცესი სხვადასხვაა. მათი ერთმანეთში არევა არ შეიძლება. ვთქვათ „დინამოს" ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს სრულებითაც არ ადარდებთ, ვინ გახდება კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი. ჩვენ ყოველთვის ჩვენს სიმაღლეზე ვიქნებით. გუნდში პროფესიონალი კალათბურთელები გვყავს. მეტსაც გეტყვით, გვაქვს პრეტენზია, რომ სუპერლიგაში ცოტა თამაში გვიწევს. თუ მონაწილეობის თანხას იმაში ვიხდით, რომ ფედერაცია მოგვემსახუროს, მაშინ თამაშების რაოდენობა რატომ მცირდება? ჩემპიონატი ოთხ წრედ უნდა ჩატარებულიყო.

**- თბილისის „დინამო" ჩემპიონატში უდანაკარგოა. შემადგენლობაც ისეთი ჰყავს, ლოგიკურად ჩნდება შეკითხვა საჩემპიონო ამბიციების შესახებ.**

- სამი წელია, რაც „დინამოში" ამ მენეჯმენტით ვართ მოსულები. ერთწლიან გუნდზე არ ვიყავით ორიენტირებულები. შედეგს მაშინ აქვს ფასი, როცა სისტემაა აწყობილი და სწორედ გამართული სისტემა გაძლევს დადებით რეზულტატს. ვფიქრობ, „დინამო" საიმისოდ მომწიფდა, რომ საჩემპიონო ამბიცია ჰქონდეს. ამის ხმამაღლა თქმის უფლებას გუნდის მიერ ჩატარებული თამაშებიც მაძლევს. მთავარი იყო, რომ შეგვექმნა სტაბილურობა. დღეს „დინამო" სტაბილურია ფინანსურადაც, თამაშითაც და ამბიციებიც ამიტომ აქვს.

**- ევროსარბიელზე გასვლა თუ იგეგმება?**

- სურვილი გვაქვს, არის შესაძლებლობაც, თუმცა ყველაფერი მაინც ფინანსებზეა დამოკიდებული. საამისოდ კი დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკას. სწორედ ის არის განმსაზღვრელი, რა ოდენობის თანხა ჩაიდება სპორტში. პოლიტიკურ ცხოვრებაშიც ვმონაწილეობ და ვიცი, რომ ჩინოვნიკებისთვის სპორტი ფუფუნებაა, მაგრამ არავინ ფიქრობს, რომ ეს არის პროფესია. იმედი მაქვს, რომ მალე ევროკავშირთან ასოცირებულ წევრობაზე მოვაწერთ ხელს და საბედნიეროდ, იქ სპორტი ფუფუნების საგანი არ არის, პროფესიაა. ჩვენს ქვეყანასაც მოუწევს სპორტსმენების დაფასება და სპორტიც სრულყოფილი, ჩამოყალიბებული პროფესია გახდება. უბრალოდ, ასაკობრივი ცენზია მოკლე - სპორტსმენი საშუალოდ 35 წლისა გადის პენსიაში.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

# იგორ კოკოშკოვი სერბეთის ნაკრებს არ გაწვრთნის



საქართველოს ნაკრების მწვრთნელის გადაბირება სერბ ფანთა 25%-ს სურდა

მოგეხსენებათ, სერბეთის საკალათბურთო ნაკრებიდან წასული **დუშან ივკოვიჩის** შემცვლელად სხვებთან ერთად საქართველოს ნაკრების თავკაცი **იგორ კოკოშკოვიც** მოიაზრებოდა.

სერბული „ბლიცის" ახალი ინფორმაციის მიხედვით, საქართველოს ნაკრების ქომაგებს შეუძლიათ მშვიდად იყვნენ - კოკოშკოვი აღარ განიხილება კანდიდატად, რადგან თითქმის გადაწყვეტილია - ივკოვიჩს ალექსანდარ ჯორჯევიჩი შეცვლის.

ჯორჯევიჩი წარსულში დიდი კალათბურთელი იყო, მან ერთხელ მოიგო მსოფლიოს ჩემპიონატი (1998), ოთხჯერ ევრობასკეტი, ერთხელ კი ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი (1996) გახდა.

სხვათა შორის, იმავე „ბლიცზე" მიმდინარეობს გამოკითხვა, ვის მიიჩნევენ ფანები ყველაზე სასურველ კანდიდატად სერბეთის ნაკრების მწვრთნელის პოსტზე.

ლიდერობს ჯორჯევიჩი - 46,3%, მეორეზეა კოკოშკოვი - 25,2%. შემდეგ მოდიან: საშა ობრადოვიჩი - 12,3%, ალექსანდარ კესარი - 7%. 9 პროცენტი კი სხვა კანდიდატის შერჩევას ითხოვდა.

ისტორია

# საუკეთესო შუამარბები რაგბის ისტორიაში

**შუამარბის პოზიცია ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლოა რაგბის მოედანზე, რადგან ამ ამპლუის მოთამაშეები (№12-13) უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ როგორც შეტევაში, ასევე დაცვაში. შუამარბი უნდა იყოს უაღრესად სწრაფი, ფიზიკურად ძლიერი, შეეძლოს სიტუაციის სწორად შეფასება და დროული დასკვნების გამოტანა, ფეხით კარგად უნდა თამაშობდეს, გააჩნდეს „პასის"' კულტურა და დიდი სარაგბო ფანტაზიაც, რადგან საჭირო დროს მიღებული არასტანდარტული გადაწყვეტილებებით მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს საკუთარი გუნდის წარმატებაში. წარმოგიდგენთ საუკეთესო შუამარბებს მსოფლიო რაგბის ისტორიიდან.**



ტანა უმაგა

## ბრაიან ოდრისკოლი (ირლანდია)

ირლანდიური რაგბის ღმერთი, ასე უწოდებენ **ბრაიან ოდრისკოლს** სამშობლოში და მან ეს ზედმეტსახელი ნამდვილად დაიმსახურა, რადგან „სამყურებს" თავის არსებობის ისტორიაში ასეთი ძლიერი და ქარიზმატული მოთამაშე არასდროს ჰყოლია და ჯერჯერობით არც ჩანს ვინმე, რომელიც მის მიღწევებთან თუნდაც ახლოს მივა.

1999 წლის 12 ივნისს ირლანდიის ნაკრების რიგებში 20 წლის ბრაიან ოდრისკოლის დებიუტი შედგა და სათავე დაედო ახალ ერას, რომელიც „მწვანეთა არმიას" დიდ წარმატებებს უქადდა.

2000 წელს ექვსი ერის თასზე ბრაიანმა ჰეთ რიკი შეასრულა პარიზში საფრანგეთის ნაკრების წინააღმდეგ და ირლანდიას 1972 წლის შემდეგ პირველად მოაგებინა საფრანგეთის დედაქალაქში. ოდრისკოლთან ერთად „სამყურებმა" ჩამოყალიბებული სტერეოტიპების მსხვრევა დაიწყეს: 2002 წელს დაამარცხეს ავსტრალია 18:9 („ვოლაბები" ირლანდიას ბოლოს 1979 წელს ჰყავდა დამარცხებული), 2004-ში სამხრეთ აფრიკას სძლიეს 17:12 (ბოლო გამარჯვება 1965 წელს), 2009 წელს კი, პირველად თავის არსებობის ისტორიაში ირლანდიელებმა დიდი სლემით მოიგეს ექვი ერის გათამაშება - ოდრისკოლმა 5 მატჩიდან ოთხში თავი გატანილი ლელოებით გამოიჩინა. გადამწყვეტი მატჩი კარდიფში, უელსის ნაკრების წინააღმდეგ გაიმართა, რომელშიც „სამყურებმა" იმარჯვეს და შეხვედრის საუკეთესო მოთამაშე ბრაიანი გახდა.

ოდრისკოლი ერთადერთი მოთამაშეა რაგბის ისტორიაში, რომელსაც „ბრიტანელ ლომთა" ერთბაშად 4 ტურნეში აქვს მიღებული მონაწილეობა: 2001 წელს ავსტრალია, 2005 წელს ახალი ზელანდია, 2009 წელს სამხრეთ აფრიკა, 2013 წელს ახალი ზელანდია.

ბრაიანს სანაკრებო დონეზე ჯამში 126 შეხვედრა აქვს ჩატარებული და მის ანგარიშზე 49 გატანილი ლელოა, რაც ფანტასტიკური შედეგია. ექვსი ერის თასზე მის მიერ გატანილი 26 ლელო დღემდე საუკეთესო შედეგად ითვლება.

ოდრისკოლი რაგბის საერთაშორისო საბჭომ სამჯერ დაასახელა წლის საუკეთესო მორაგბედ: 2001, 2002 და 2009 წლებში.

## ტანა უმაგა (ახალი ზელანდია)

ტანა უმაგა ახალზელანდიური რაგბის ლეგენდაა, რომელმაც თავისი სათამაშო სტილით და მოედანზე მიღებული ჯენტლმენური გადაწყვეტილებებით სამუდამო კვალი დატოვა გულშემატკივართა გულებში.

ტანა წარმოშობით სამოელი გახლავთ და ბავშვობაში თავის უფროს ძმასთან ერთად წყნარ ოკეანეში განლაგებულ პატარა კუნძულებზე რაგბი ლიგის თამაშით ირთობდა თავს. თუმცა 18 წლის ასაკიდან ძმების გზები გაიყარა. ტანა ახალი ზელანდიის ნაკრებში წავიდა სათამაშოდ, მაიკი კი მშობლიური ქვეყნის ერთგული დარჩა. ძმების დაპირისპირება საერთაშორისო დონეზე მალევე შედგა. 1999 წელს '„ოლ ბლექსი" ტესტ მატჩში სამოას დაუპირისპირდა, შეხვედრის სტარტზევე მაიკმა ბურთი მოითხოვა და მშვენიერი კონტაქტის ხარჯზე ძირს დაავდო უმცროსი ძმა, თუმცა მივიდა, გაუღიმა და წამოაყენა. ის მატჩი ახალმა ზელანდიამ 71:13 მოიგო, უმცროსმა უმაგამ კი თავი ორი ლელოთი გამოიჩინა.

იმავე წელიწადს ზე რაგბიში „ჰარიქეინზის" რიგებში ერთ სეზონში გატანილი 12 ლელოთი უმაგა ტურნირის რეკორდსმენი გახდა (მოგვიანებით **რიკო გიარმა** მოხსნა ეს მაჩვენებელი), 2000 წელს იგი ახალი ზელანდიის საუკეთესო სპორტსმენის ტიტულს დაეუფლა და მალევე „ოლ ბლექსის" კაპიტნობაც ანდეს.

ტანა გუნდის ლიდერი გახლდათ როგორც მოედანზე, ასევე მის მიღმაც, თუმცა მუდმივად რჩებოდა ჯენტლმენად და უაღრესად თავმდაბალ ადამიანად.

უელსთან გამართული ტესტ მატჩის დროს **ჯერი კოლინზის** მძლავრი კონტაქტის შემდეგ მოულოდნელად უგონოდ დაეცა „დრაკონთა" მოთამაშე **კოლინ ჩერვისი**, ეს მომენტი მსაჯს თვალთახედვიდან გამორჩა და შეხვედრა გაგრძელდა, ბურთით ტანა უმაგა იყო, რომელსაც ხელს ველარავინ უშლიდა ლელოს გატანაში, თუმცა კაპიტანი მოულოდნელად გაჩერდა, თამაშის შეჩერება მოითხოვა და პირველი სამედიცინო დახმარება გაუწია ჩერვისს. მომდევნო სეზონში უელსის რაგბის კავშირმა იგი Fair Play-ის პრიზით დააჯილდოვა.

ტანას სანაკრებო კარიერამ 8 წელს გასტანა (1997-2005), რომლის განმავლობაშიც უმაგამ 74 კეპი მოიხვეჭა და საკუთარ გუნდს 36 ლელოთი შეეწია (180 ქულა), თუმცა მან ვერაფრით ვერ აიხდინა თავისი ოცნება და ვერ გახდა მსოფლიოს თასის მფლობელი.

## ფილიპ სელა (საფრანგეთი)

ფილიპ სელა გახლდათ ფრანგული რაგბის ისტორიის საუკეთესო შუამარბი, რომელიც ერთნაირად ბრწყინვალე იყო მოედანზე როგორც შეტევითი, ასევე დაცვითი ფუნქციების შესრულების დროს. გულშემატკივარი სელას უდიდეს პატივს სცემდა, ვინაიდან მისი სათამაშო სტილი პირდაპირ ასოცირდებოდა საფრანგეთის კლასიკურ სარაგბო ხედვასთან.

ფილიპის დებიუტი ეროვნული გუნდის რიგებში 1982 წელს შედგა რუმინეთის ნაკრების წინააღმდეგ და დიდ ეპოქასაც დაედო სათავე, რომლის განმავლობაშიც მან 111 კეპი მოიხვეჭა ფრანგთა რიგებში და 125 ქულაც მოიპოვა. 1986 წელს „ლე ბლომ" დიდი სლემით მოიგო ხუთი ერის გათამაშება და ტურნირის ისტორიაში სელა გახდა ერთადერთი მოთამაშე, რომელმაც ოთხივე მატჩში გაიტანა ლელო.

1987 წელს გამართულ მსოფლიო თასზე ფრანგები ძალიან ახლოს იყვნენ მსოფლიო ჩემპიონის ტიტულთან, თუმცა გადამწყვეტ მატჩში დამარცხდნენ ტურნირის მასპინძელ ახალ ზელანდიასთან. ოთხი წლის შემდეგ ნახევარ ფინალურ ეტაპზე დასანანი მარცხი იწვნიეს ინგლისელებისგან, ხოლო სამხრეთ აფრიკაში გამართულ მსოფლიო თასზე (1995 წელი) მესამე ადგილი დაიკავეს, რის შემდეგაც სელამ დაასრულა კიდეც სანაკრებო კარიერა.

## თედო ზიბზიბაძე

თედო ზიბზიბაძე ქართულ რაგბიში დღესდღეობითაც ყველაზე გამორჩეული შუამარბია. საქართველოს ნაკრები მის გარეშე თითქმის წარმოუდგენელია. თედო 1980 წელს ქუთაისში დაიბადა მორაგბის ოჯახში. მისი მამა ბორია ზიბზიბაძე ქუთაისის „აიას" იმ ლეგენდარული შემადგენლობის წევრი იყო, საბჭოთა ხანაში მთელ ქვეყანას რომ აზანზარებდა.

თედოს დებიუტი ეროვნულ ნაკრებში 20 წლის ასაკში 2000 წელს შედგა. მას შემდეგ დაცვაში შეუპოვრად მებრძოლმა და შეტევისას უაღრესად შედეგიანმა მორაგბემ, „ბორჯღალოსანთა" რიგებში 69 მატჩი გამართა, 18 ლელო გაიტანა და გუნდს 90 ქულა შესძინა. აღსანიშნავია, რომ ზიბზიბაძეს არანაკლები წარმატებით შეუძლია გარემარბის პოზიციაზე თამაში. მან გატანილი ლელოების მესამედი, სწორედ ამ პოზიციაზე თამაშისას მიითვალა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თედო ზიბზიბაძე დაცვაში თამაშისას თითქმის შეუცვლელია. სწორედ ამიტომაა, რომ მსოფლიოს თასის ორ გათამაშებაში იასპარეზა (2003, 2011 წლები) და დიდი შანსია, 35 წლის ასაკში მსოფლიო რაგბის უდიდეს ფორუმში მესამედ მიიღოს მონაწილეობა.

თედო საფრანგეთში სათამაშოდ 2001 წელს გადაბარგდა და დღემდე იქაური კლუბის ღირსებას იცავს. მისი პირველი გუნდი „ოლიმპიკ ტუშანი" იყო, მერე „ტურისა" და „გურდოს" რიგებში ასპარეზობდა. 2006 წლიდან დღემდე კი, „პერიგოში" ირჯება, რომელთან ერთადაც გასულ სეზონში ელიტურ, მეორე დივიზიონშიც იასპარეზა.

**გიორგი ბარბაქაძე**
**ბესიკ ჯანგავაძე**



თედო ზიბზიბაძე

ლეგიონერები



ლილი-მასი

# ორი ისევ ლიდერია, ორიც იქვეა

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონში მე-9 ტურის შეხვედრები გაიმართა. ქართველ მორაგბეთა გუნდები ორ, A და B ჯგუფში ლიდერობენ. ასევე ორი „ქართული გუნდი" ინარჩუნებს პლეი ოფში მოხვედრის შანსსაც.**

A ჯგუფში პირველ ადგილზე **შალვა სუთიაშვილის, დავით აშვეთიას, დავით დადუნაშვილის, ელიზბარ ყუფარაძისა და არჩილ კობაურის** „მასია". პარიზელებმა სტუმრად წააგეს „ლილთან" - 12:27 და კონკურენტ ნევერს დაწევის საშუალება მისცეს.

დადუნაშვილი და აშვეთია ძირითად შემადგენლობაში იყვნენ, სუთიაშვილი ეროვნულ ნაკრებში იყო გამოძახებული.

**შოთა ცხოვრებაშვილისა და ბაჩუკი გუჯარაიძის** „სენ ნაზერმა" სტუმრად წააგო **რეზო გიგაურის** „მონლუსონთან" - 8:37. გიგაურმა სრულად ითამაშა, გუჯარაიძე მოედანზე მეორე ტაიმიდან გამოჩნდა.

### A ჯგუფი

**ლილი-მასი 27:12, კონიაკი-დიჟონი 25:23, ნევერი-ბობინი 43:14, ვანი-სენ ჟან დანჟელი 47:3, მონლუსონი-სენ ნაზერი 37:8**

### სატურნირო მდგომარეობა

**1. მასი - 32 ქულა, 2. ნევერი - 32, 3. ვანი - 28, 4. ლილი - 28, 5. სენ ნაზერი - 19, 6. ბობინი - 16, 7. კონიაკი - 16, 8. სენ ჟან დანჟელი - 13, 9. მონლუსონი - 12, 10. დიჟონი - 8.**

### X ტური

**მასი-სენ ნაზერი, ლილი-დიჟონი, კონიაკი-სენ ჟან დანჟელი, ვანი-ბილონი, ნევერი-მონლუსონი.**

B ჯგუფში ლიდერი **ავთანდილ კოპალიანი** „მაკონია", რომლის საშინაო მატჩი „შამბერისთან" გადაიდო. მაკონელებს ახლა 29 ქულა აქვთ. ამდენივე ქულა დაუგროვდა **თენგიზ გელანტიას** „ობენას", რომელმაც საკუთარ მოედანზე „ლა ვულეს" სძლია - 27:19.

**მერაბ კვირიკაშვილისა და ზერო პეტრიაშვილის** „ვიენმა", რომელიც 11 ქულით ბოლოსწინა ადგილზეა, სტუმრად წააგო „შალონთან" - 6:27. კვირიკაშვილი საქართველოს ნაკრებში გაისარჯა, პეტრიაშვილი განაცხადში არ იყო.

### B ჯგუფი

**რომანი-ექსი 6:6, შალონი-ვიენი 27:6, მაკონი-შამბერი (გადაოდო), ობენა-ლა ვულე 27:19, ლა სეინი-ანესი 41:10.**

### სატურნირო მდგომარეობა

**1. მაკონი - 29 ქულა, 2. ობენა - 29, 3. ექსი - 25, 4. ლა ვულე - 23, 5. ლა სეინი - 22, 6. რომანი - 21, 7. შამბერი - 20, 8. შალონი - 18, 9. ვიენი - 11, 10. ანესი - 8.**

### X ტური

**ექსი-ვიენი, მაკონი-ანესი, რომანი-შამბერი, ლა სეინი-ლა ვულე, ობენა-შალონი**

C ჯგუფში ისევ წააგო **თედო ზიბზიბაძის, ნიკოლოზ მალალდაძისა და გიორგი გაბელიას** „პერიგომ". ჩვენებურთა გუნდი ამჯერად შინ დამარცხდა ლიდერ „მონტობანთან" - 12:48. ზიბზიბაძე ეროვნულ ნაკრებში იყო გამოძახებული, მალალდაძე და გაბელია განაცხადში არ იყვნენ. „პერიგოს" ახლა 20 ქულა აქვს და მე-5 ადგილზეა. ის სამი ქულით ჩამორჩება მეოთხეადგილოსან „სენ ჟან დე ლუზს" და პლეი ოფში გასვლის შანსს ინარჩუნებს.

### C ჯგუფი

**პერიგო-მონტობანი 12:48, ტულე-ენდაი 35:13, სენ ჟან დე ლუზი-როდეზი 26:27, ლავორი-ლიმოჟი 11:30, ლანჟონი-ლორმონი 26:21.**

### სატურნირო მდგომარეობა

**1. მონტობანი - 43 ქულა, 2. ლანჟონი - 29, 3. ლიმოჟი - 25, 4. სენ ჟან დე ლუზი - 23, 5. პერიგო - 20, 6. როდეზი - 18, 7. ლორმონი - 17, 8. ლავორი - 16, 9. ტულე - 13, 10. ენდაი - 8.**

### X ტური

**პერიგო-ლორმონი, სენ ჯან დე ლუზი-მონტობანი, როდეზი-ლიმოჟი, ტულე-ლავორი, ლანჟონი-ენდაი.**

D ჯგუფში მოასპარეზე **სიმონ მაისურაძის, ბექა ურჯუკაშვილის, ლაშა მალალურაძის, გიორგი მჭედლიშვილისა და ლადო გუნიავას** „ბაგნერეს" საშინაო შეხვედრა „მოლეონთან" გადაიდო. ჩვენებურთა ეს გუნდი ახლა 17 ქულით მეექვსე ადგილზეა. თუმცა პლეი ოფში მოხვედრის შანსი მაინც აქვს, რადგან მესამეადგილოსან „ლანამეზანს" ოთხი ქულით ჩამორჩება. შეგახსენებთ, რომ პლეი ოფში თითოეული ჯგუფიდან ოთხი საუკეთესო ითამაშებს.

### D ჯგუფი

ლანამეზანი-ლურდი (გადაიდო), კასტანე-აგეტმო (გადაიდო), ვალანსი-ბლანიაკი 22:12, ოლორონი-ტიროსი 22:22, ბაგნერე-მოლეონი (გადაიდო).

### სატურნირო მდგომარეობა

1. ტიროსი - 36 ქულა, 2. ოლორონი - 31, 3. ლანამეზანი - 21, 4. კასტანე - 21, 5. ვალანსი - 20, 6. ბაგნერე - 17, 7. ბლანიაკი - 17, 8. აგეტმო - 17, 9. ლურდი - 9, 10. მოლეონი - 9.

### X ტური

ლურდი-მოლეონი, ლანამეზანი-აგეტმო, კასტანე-ბლანიაკი, ვალანსი-ტიროსი, ოლორონი-ბაგნერე.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ჩოგბურთი

# ახალი შეფი, ახალი მიზნები


კრის კერმოდი

როგორც უკვე ვწერდით, ATP-ის წლის შემაჯამებელი ტურნირის ყოფილი დირექტორი, ბრიტანელი ფუნქციონერი **კრის კერმოდი** პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის ახალი პრეზიდენტი გახდა. ბრიტანული პორტალის The Tennis Space-ის მიმომხილველი **საიმონ კემბერსი** ასახელებს ხუთ პრიორიტეტსა და მიზანს, რომელიც მამაკაცთა ჩოგბურთის ახალი ხელმძღვანელის წინაშე დგას.

## კორტის საფარის სისწრაფის გაზრდა

ბოლო წლებში მოედნის საფარის უნივერსალიზაციამ, ჩოგნების ტექნოლოგიათა ზრდასთან ერთად, მოთამაშეთა შესაძლებლობების სერიოზული ამაღლება გამოიწვია. ამასთან, ასევე გაიზარდა მატჩების ხანგრძლივობა, ხოლო თამაშის სტილი - "ჩაწოდება-ბადესთან გასვლა" პრაქტიკულად ისტორიას ჩაბარდა.

თუ გვსურს ჩოგბურთისადმი ინტერესის გაზრდა, აუცილებელია სათამაშო სტილის გამრავალფეროვნება. ასე რომ, საკმარისია გაიზარდოს ჰარდის კორტების საფარის სისწრაფე და მივიღებთ სწრაფ და ლამაზ გათამაშებებს, აგრეთვე შემცირდება მატჩების ხანგრძლივობა.

ტელევიზიას ეს უნდა მოეწონოს, ისევე, როგორც ჩოგბურთელებს, რადგან მათ ორგანიზმზე დატვირთვა შემცირდება. თავის მხრივ, ეს გამოიწვევს სეზონის ხანგრძლივობის შემცირების შესახებ მუდმივი მსჯელობისა და მოთხოვნების შეწყვეტას.

## ანტისადოპინგო პროგრამის დაფინანსების გაზრდა

ვინც ოდნავ მაინც ერკვევა ჩოგბურთში, მას ეცოდინება, რომ დოპინგთან ბრძოლის პროგრამის დაფინანსება მიზერულია იმ თანხებთან შედარებით, რომელიც ATP-ში შედის სპონსორებისგან და რომელსაც ჩოგბურთელებს უხდიან ჰონორარის სახით. თავის დროზე, **ენდი მარეი** სთავაზობდა ATP-ის საპრიზო თანხებიდან ფიქსირებული პროცენტი გამოეყო დოპინგთან საბრძოლველად, მაგრამ მამაკაცთა ტურს ისედაც შეუძლია თავად დააფინანსოს საკმაოდ ეფექტური კამპანია.

**ნოვაკ ჯოკოვიჩის** ამასწინდელმა კრიტიკამ **ვიქტორ ტროიცკის** საქმესთან დაკავშირებით, გარკვეული შედეგი მოიტანა. ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაცია მოთამაშეებს საშუალებას მისცემს ტესტების ჩაბარების დროს კონსულტაციისთვის მიმართონ მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოს წარმომადგენლებს, რათა თავიდან აიცილონ სავარაუდო პრობლემები. მაგრამ, საქმე მხოლოდ ამაში არ არის. როცა წამყვანი ჩოგბურთელი ხმამაღალ განცხადებას აკეთებს, და ამასთან, ეყრდნობა მხოლოდ თავისი მეგობრის სიტყვებს, ეს გულშემატკივარმა შეიძლება აღიქვას როგორც ჭეშმარიტება ბოლო ინსტანციისგან.

მოთამაშეები უკეთ უნდა იყვნენ ინფორმირებულნი ანტისადოპინგო სისტემების მუშაობის შესახებ, მაგრამ, ამასთან, კერმოდი საკმარისად ძლიერი უნდა იყოს იმისთვის, რომ მიუთითოს ჩოგბურთელებს მათი არასწორი პოზიციის შესახებ. თუ ის მოახერხებს სხვადასხვა წყაროებიდან ტესტების მონაცემთა სინქრონიზაციას, ამით ყველა მხოლოდ მოგებული დარჩება.

## მეტი იფიქროს "პატარა ადამიანებზე"

"დიდი სლემის" ტურნირების ორგანიზატორებმა თავიანთი სვლა გააკეთეს, ახლა ჯერი პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციაზეა. მანაც უნდა იფიქროს საპრიზო თანხების გაზრდაზე. ამასთან, ლაპარაკია არა მხოლოდ ტოპ-მოთამაშეებზე, არამედ ჩოგბურთელებზე, რომლებიც რეიტინგის საუკეთესო ასეულის მიღმა იმყოფებიან და უჭირთ თანამედროვე ჩოგბურთში თავის გატანა.

"ჩელენჯერების" დონეზე კერმოდმა უნდა იპოვოს საპრიზო თანხის გაზრდის საშუალება. თუ ეს ნიშნავს ტურნირების რაოდენობის შემცირებას - დაე, იყოს ასე. შესაძლოა, ამ შემთხვევაში ამოქმედდეს ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციაც, რომლის ტურნირებზე საპრიზო ფონდი 1998 წლის შემდეგ არ შეცვლილა. დღეისთვის მოთამაშეთა უმრავლესობა ვერ ახერხებს ღირსეული თანხების გამომუშავებას.

## არ შეუშინდეს სერიოზულ ცვლილებებს

ასეთ მაღალ თანამდებობაზე ახალი ადამიანის მისვლა თითქმის ყოველთვის მნიშვნელოვან გარდაქმნებს ნიშნავს. კერმოდმა, ალბათ, უნდა იფიქროს წესებში რამდენიმე ცვლილებაზე. თუ ის შეწუხებულია მატჩების ხანგრძლივობის ზრდით, მაშინ უნდა დააჯარიმოს მოთამაშეები გეიმების მსვლელობისას პირსახოცის გაუთავებელი გამოყენებისთვის. თუ სურს თამაშისადმი ინტერესის გაზრდა, უნდა დაავალდებულოს ტოპ-მოთამაშეებს წყვილთა თანრიგში გამოსვლა და ა. შ.

ასე რომ, კერმოდს მოუწევს აქტიური მუშაობა ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციასთან და "დიდი სლემის" ტურნირების ხელმძღვანელებთან.

## პრესასთან ურთიერთობის გაუმჯობესება

როცა 2011 წლის ბოლოს **ადამ ჰელფანტი** წავიდა ATP-ის ხელმძღვანელის პოსტიდან, მისმა მემკვიდრემ **ბრედ დრიუიტმა** გადაწყვიტა, რომ არ საჭიროებს სპეციალურ განყოფილებას პრესასთან მუშაობის მიმართულებით. შედეგად, დღეს ჩვენ გვაქვს სრული ვაკუუმი საინფორმაციო მენეჯმენტის სფეროში. ურთიერთობა ძალიან დაბალ დონეზეა. იმედია, კერმოდი მოიწვევს კომპეტენტურ სპეციალისტს, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, დაალაგებს მასმედიასთან მუშაობას.

# ნადალი – ყველა დროის საუკეთესო

საინტერესო გამოკითხვა ჩაატარა ესპანურმა გაზეთმა "მარკამ". მან თავისი მკითხველების მეშვეობით გამოავლინა ესპანეთის ისტორიაში საუკეთესო სპორტსმენი.

პირველი ადგილი დაიკავა მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **რაფაელ ნადალმა**. მან უკან ჩამოიტოვა ლეგენდარული ველომბროლი, ტურ დე ფრანსის ხუთგზის ჩემპიონი **მიგელ ინდურაინი** და "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" კალათბურთელი **პაუ გასოლი**.

ნადალის გარდა, ესპანეთის ყველა დროის საუკეთესო სპორტსმენის ტიტულზე პრეტენზიას კიდევ ხუთი ჩოგბურთელი აცხადებდა: **მანუელ ორანტესი, მანუელ სანტანა, ლილი ალვარესი, კონჩიტა მარტინესი და არანჩა სანჩეს-ვიკარიო.**

აღნიშნული გამოკითხვა მიეძღვნა გაზეთ "მარკას" დაარსების 75 წლისთავს.

შედეგების გამოქვეყნების შემდეგ, გასოლმა წარმატება მიულოცა თავის მეგობარს: *„უნდა განვაცხადო, რომ რაფა აბსოლუტურად დამსახურებულად აღიარეს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში საუკეთესო სპორტსმენად. ვულოცავ მას! რაფა, შენ საუკეთესო ხარ!"*


გასოლი და ნადალი

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ATP-ის ყველა ფინალი 2013 წელს

| | |
|---|---|
| **ბრისბენი (ავსტრალია).** ენდი მარეი (ბრიტ)-გრიგორ დიმიტროვი (ბულ) | 7:6(0), 6:4 |
| **ჩენაი (ინდოეთი).** იანკო ტიპსარევიჩი (სერ)-რობერტო ბაუტისტა (ესპ) | 3:6, 6:1, 6:3 |
| **დოჰა (კატარი).** რიშარ გასკე (საფ)-ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 3:6, 7:6(4), 6:3 |
| **სიდნეი (ავსტრალია).** ბერნარდ ტომიჩი (ავსტრა)-კევინ ანდერსონი (ს. აფრ) | 6:3, 6:7(2), 6:3 |
| **ოკლენდი (ზელანდია).** დავიდ ფერერი (იტა)-ფილიპ კოლშრაიბერი (გერ) | 7:6(5), 6:1 |
| **ავსტრალიის ღია.** ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)-ენდი მარეი (ბრიტ) | 6:7(2), 7:6(3), 6:3, 6:2 |
| **მონპელიე (საფრანგეთი).** რიშარ გასკე (საფ)-ბენუა პერი (საფ) | 6:2, 6:3 |
| **ზაგრები (ხორვატია).** მარინ ჩილიჩი (ხორ)-იურგენ მელცერი (ავსტრია) | 6:3, 6:1 |
| **ვინია დელ მარი (ჩილე).** ორასიო სებალიოსი (არგ)-რაფაელ ნადალი (ესპ) | 6:7(2), 7:6(6), 6:4 |
| **როტერდამი (ჰოლანდია).** ხ-მ. დელ პოტრო (არგ)-ჟულიან ბენეტო (საფ) | 7:6(2), 6:3 |
| **სან ხოსე (აშშ).** მილოშ რაონიჩი (კან)-ტომი ჰაასი (გერ) | 6:4, 6:3 |
| **სან პაულუ (ბრაზილია).** რაფაელ ნადალი (ესპ)-დავიდ ნალბანდიანი (არგ) | 6:2, 6:3 |
| **მემფისი (აშშ).** კეი ნიშიკორი (იაპ)-ფელისიანო ლოპესი (ესპ) | 6:2, 6:3 |
| **მარსელი (საფრანგეთი).** ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ)-ტომაშ ბერდიხი (ჩეხ) | 3:6, 7:6(6), 6:4 |
| **ბუენოს აირესი (არგენტინა).** დავიდ ფერერი (ესპ)-სტანისლას ვავრინკა (შვეიც) | 6:4, 3:6, 6:1 |
| **დუბაი (საემიროები).** ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)-ტომაშ ბერდიხი (ჩეხ) | 7:5, 6:3 |
| **აკაპულკო (მექსიკა).** რაფაელ ნადალი (ესპ)-დავიდ ფერერი (ესპ) | 6:0, 6:2 |
| **დელრეი ბიჩი (აშშ).** ერნესტ გულბისი (ლატ)-ედუარდ როჟე-ვასელენი (საფ) | 7:6(3), 6:3 |
| **ინდიან უელსი (აშშ).** რაფაელ ნადალი (ესპ)-ხ-მ. დელ პოტრო (არგ) | 4:6, 6:3, 6:4 |
| **მაიამი (აშშ).** ენდი მარეი (ბრიტ)-დავიდ ფერერი (ესპ) | 2:6, 6:4, 7:6(1) |
| **ჰიუსტონი (აშშ).** ჯონ ისნერი (აშშ)-ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 6:3, 7:5 |
| **კასაბლანკა (მაროკო).** ტომი რობრედო (ესპ)-კევინ ანდერსონი (ს. აფრ) | 7:6(6), 4:6, 6:3 |
| **მონტე კარლო (მონაკო).** ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)-რაფაელ ნადალი (ესპ) | 6:2, 7:6(1) |
| **ბარსელონა (ესპანეთი).** რაფაელ ნადალი (ესპ)-ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 6:4, 6:3 |
| **ბუქარესტი (რუმინეთი).** ლუკაშ როსოლი (ჩეხ)-გილერმო გარსია-ლოპესი (ესპ) | 6:3, 6:2 |
| **მიუნხენი (გერმანია).** ტომი ჰაასი (გერ)-ფილიპ კოლშრაიბერი (გერ) | 6:3, 7:6(3) |
| **ოეირაში (პორტუგალია).** სტანისლას ვავრინკა (შვეიც)-დავიდ ფერერი (ესპ) | 6:1, 6:4 |
| **მადრიდი (ესპანეთი).** რაფაელ ნადალი (ესპ)-სტანისლას ვავრინკა (შვეიც) | 6:2, 6:4 |
| **რომი (იტალია).** რაფაელ ნადალი (ესპ)-როჯერ ფედერერი (შვეიც) | 6:1, 6:3 |
| **დიუსელდორფი (გერმანია).** ხუან მონაკო (არგ)-იარკო ნიემინენი (ფინ) | 6:4, 6:3 |
| **ნიცა (საფრანგეთი).** ალბერტ მონტანიესი (ესპ)-გაელ მონფილსი (საფ) | 6:0, 7:6(3) |
| **როლან გაროსი.** რაფაელ ნადალი (ესპ)-დავიდ ფერერი (ესპ) | 6:3, 6:2, 6:3 |
| **ჰალე (გერმანია).** როჯერ ფედერერი (შვეიც)-მიხაილ იუჟნი (რუს) | 6:7(5), 6:3, 6:4 |
| **ლონდონი (ბრიტანეთი).** ენდი მარეი (ბრიტ)-მარინ ჩილიჩი (ხორ) | 5:7, 7:5, 6:3 |
| **ჰერტოგენბოში (ჰოლანდია).** ნიკოლა მაუ (საფ)-ქსავიე მალისე (ბელ) | 6:3, 6:4 |
| **ისტბურნი (ბრიტანეთი).** ფელისიანო ლოპესი (ესპ)-ჟილ სიმონი (საფ) | 7:6(2), 6:7(5), 6:0 |
| **უიმბლდონი.** ენდი მარეი (ბრიტ)-ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 6:4, 7:5, 6:4 |
| **ნიუპორტი (აშშ).** ნიკოლა მაუ (საფ)-ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა) | 5:7, 7:5, 6:3 |
| **შტუტგარტი (გერმანია).** ფაბიო ფონინი (იტა)-ფილიპ კოლშრაიბერი (გერ) | 5:7, 6:4, 6:4 |
| **ბასტადი (შვედეთი).** კარლოს ბერლოკი (არგ)-ფერნანდო ვერდასკო (ესპ) | 7:5, 6:1 |
| **ჰამბურგი (გერმანია).** ფაბიო ფონინი (იტა)-ფედერიკო დელბონისი (არგ) | 4:6, 7:6(8), 6:2 |
| **ბოგოტა (კოლუმბია).** ივო კარლოვიჩი (ხორ)-ალეხანდრო ფალა (კოლ) | 6:3, 7:6(4) |
| **გშტაადი (შვეიცარია).** მიხაილ იუჟნი (რუს)-რობინ ჰაასე (ჰოლ) | 6:3, 6:4 |
| **ატლანტა (აშშ).** ჯონ ისნერი (აშშ)-კევინ ანდერსონი (ს. აფრ) | 6:7(3), 7:6(2), 7:6(2) |
| **უმაგი (ხორვატია).** ტომი რობრედო (ესპ)-ფაბიო ფონინი (იტა) | 6:0, 6:3 |
| **ვაშინგტონი (აშშ).** ხ-მ. დელ პოტრო (არგ)-ჯონ ისნერი (აშშ) | 3:6, 6:1, 6:2 |
| **კიტცბუელი (ავსტრია).** მარსელ გრანოლერსი (ესპ)-ხუან მონაკო (არგ) | 0:6, 7:6(3), 6:4 |
| **მონრეალი (კანადა).** რაფაელ ნადალი (ესპ)-მილოშ რაონიჩი (კან) | 6:2, 6:2 |
| **ცინცინატი (აშშ).** რაფაელ ნადალი (ესპ)-ჯონ ისნერი (აშშ) | 7:6(8), 7:6(3) |
| **ვინსტონ-სალემი (აშშ).** იურგენ მელცერი (ავსტრია)-გაელ მონფილსი (საფ) | 6:3, 2:1 უარი |
| **აშშ-ის ღია.** რაფაელ ნადალი (ესპ)-ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 6:2, 3:6, 6:4, 6:1 |
| **მეცი (საფრანგეთი).** ჟილ სიმონი (საფ)-ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 6:4, 6:3 |
| **სტ. პეტერბურგი (რუსეთი).** ერნესტ გულბისი (ლატ)-გილერმო გარსია-ლოპესი (ესპ) | 3:6, 6:4, 6:0 |
| **ბანგკოკი (ტაილანდი).** მილოშ რაონიჩი (კან)-ტომაშ ბერდიხი (ჩეხ) | 7:6(4), 6:3 |
| **კუალა ლუმპური (მალაიზია).** ჟოაო სოუზა (პორ)-იურგენ მელცერი (ავსტრია) | 2:6, 7:5, 6:4 |
| **პეკინი (ჩინეთი).** ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)-რაფაელ ნადალი (ესპ) | 6:3, 6:4 |
| **ტოკიო (იაპონია).** ხ-მ. დელ პოტრო (არგ)-მილოშ რაონიჩი (კან) | 7:6(5), 7:5 |
| **შანხაი (ჩინეთი).** ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)-ხ-მ. დელ პოტრო (არგ) | 6:1, 3:6, 7:6(3) |
| **მოსკოვი (რუსეთი).** რიშარ გასკე (საფ)-მიხაილ კუკუშკინი (რუს) | 4:6, 6:4, 6:4 |
| **სტოკჰოლმი (შვედეთი).** გრიგორ დიმიტროვი (ბულ)-დავიდ ფერერი (ესპ) | 2:6, 6:3, 6:4 |
| **ვენა (ავსტრია).** ტომი ჰაასი (გერ)-რობინ ჰაასე (ჰოლ) | 6:3, 4:6, 6:4 |
| **ვალენსია (ესპანეთი).** მიხაილ იუჟნი (რუს)-დავიდ ფერერი (ესპ) | 6:3, 7:5 |
| **ბაზელი (შვეიცარია).** ხ-მ. დელ პოტრო (არგ)-როჯერ ფედერერი (შვეიც) | 7:6(3), 2:6, 6:4 |
| **პარიზი (საფრანგეთი).** ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)-დავიდ ფერერი (ესპ) | 7:5, 7:5 |
| **ლონდონი (ბრიტანეთი).** ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)-რაფაელ ნადალი (ესპ) | 6:3, 6:4 |

## კრივი

# ძველები იგებენ და აგებენ


შეინ მოსლის უტევენ

სამ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა, ამერიკელმა **შეინ მოსლიმ** წააგო ორთაბრძოლა ავსტრალიელ **ენტონი მანდაინთან**, რომელიც გუშინ, ქალაქ სიდნეიში გაიმართა. ექვსი რაუნდის შემდეგ, მოსლიმ უარი განაცხადა შეხვედრის გაგრძელებაზე.

ბრძოლა იმართებოდა 69.9 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში. როგორც Boxingscene აღნიშნავს, 38 წლის მანდაინს შესამჩნევი უპირატესობა ჰქონდა. მეოთხე რაუნდში, ამერიკელ მოკრივეს ფეხი დაუცდა და რინგზე დაეცა. იგივე განმეორდა მეხუთე რაუნდში.

მეექვსე რაუნდის დასრულების შემდეგ, შეინი თავის კუთხეში დაბრუნდა, თან წელზე იკიდებდა ხელს. თავის ექიმთან კონსულტაციის შემდეგ, მოსლი მეშვიდე რაუნდზე აღარ გასულა.

მანდაინი ადრე მსოფლიოს ჩემპიონი იყო 69.9 და 76.2-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში. მას კარიერაში 45 მოგება (27 - ნოკაუტით) და ხუთი წაგება აქვს.

■ ■ ■

ამასობაში, დისკვალიფიკაციის შემდეგ პირველი ბრძოლა ჩაატარა მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა **ანტონიო ტარვერმა**. ამერიკელმა მეოთხე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა თანამემამულე **მაიკ შეპარდი**. ბრძოლა გუშინ მაიამიში, 90.7-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში გაიმართა.

მეოთხე რაუნდის მსვლელობისას, ტარვერის დარტყმების შემდეგ, შეპარდი სამჯერ ჩავარდა ნოკდაუნში. მორიგი წაქცევის შემდეგ, რეფერიმ აღარ დაითვალა და შეწყვიტა ბრძოლა.

ტარვერი დისკვალიფიცირებული იყო ნიგერიელ **ლატიფ კაიოდესთან** ჩხუბის შემდეგ, რომელიც 2012 წლის ივნისში შედგა. მაშინ ამერიკელის დოპინგ-სინჯმა დადებითი შედეგი აჩვენა სტეროიდებზე.

შეპარდთან ბრძოლა 30-ე იყო ტარვერის კარიერაში და მან 24-ე გამარჯვებას მიაღწია.

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# ერთი რეკორდი და სასწაული დალასში


გერბატის გოლი ანაჰაიმის კარში

ჰოკეის ეროვნულმა ლიგამ თავის ისტორიაში სარეკორდო გარიგება განახორციელა. მან კომპანია Rogers Communications-ს მიჰყიდა NHL-ის მატჩების კანადის ტერიტორიაზე ტრანსლირების უფლება. გარიგების ღირებულება 4,963 მილიარდ დოლარს უდრის.

კონტრაქტი 2014-15 წლების სეზონიდან ამოქმედდება. ახლა, ეს გარიგება უნდა დაამტკიცოს ჰოკეის ეროვნული ლიგის დირექტორთა საბჭომ, რომლის სხდომა 9-10 დეკემბერს გაიმართება.

■ ■ ■

ამასობაში, ჰოკეის ეროვნული ლიგის რეგულარულ ჩემპიონატში ერთი შეხვედრა გაიმართა, რომელშიც უცნაური ამბავი მოხდა. მესამე პერიოდში, როცა „დალასი" 1:2-ს აგებდა „ანაჰაიმთან", მასპინძელმა გუნდმა 53 (!) წამის ინტერვალში სამი შაიბის გატანა მოახერხა. ჯერ **კოდი იკინმა** გაათანაბრა ანგარიში, 25 წამის შემდეგ **სტეფან რობიდასმა** წინ გაიყვანა „სტარზი", კიდევ 28 წამის შემდეგ კი **რაიან გერბატმა** ორამდე გაზარდა მასპინძლების უპირატესობა.

აღსანიშნავია, რომ ეს იყო „დალასის" რუსი მცველისთვის, **სერგეი გონჩარისთვის** NHL-ში რიგით 1200-ე შეხვედრა. რუს ჰოკეისტთაგან უფრო მეტი მატჩი **სერგეი ფიოდოროვსა** (1248) და **ალექსეი კოვალიოვს** (1316) აქვთ ჩატარებული.

| დალასი-ანაჰაიმი | 6:3 |
|---|---|

0:1, 1:1, 5:1

**გოლები:** 0:1 იტემი-6 (ვინიკი-7, ლინდჰოლმი-6), 1:1 რუსელი-3 (ფიდლერი-4, გერბატი-1), 1:2 ბონინო-7 (კოლიანო-5, პალმიერი-4), 2:2 იკინი-6 (კოული-6, ჯორდი ბენი-5), 3:2 რობიდასი-4 (პევერლი-7, რეი უიტნი-8), 4:2 გერბატი-3 (დელეი-4), 5:2 რუსელი-4 (გერბატი-2, ფიდლერი-5), 5:3 პენერი-7 (გეტცლაფი-15, პერი-13), 6:3 ჩიასონი-7 (კოული-7, იკინი-8).

## NHL დეკემბრის კალენდარი

**1 დეკემბერი**
კაროლინა-ვანკუვერი
ოტავა-დეტროიტი
დალასი-ედმონტონი

**2 დეკემბერი**
რეინჯერსი-ვინიპეგი
მონრეალი-ნიუ ჯერსი
მინესოტა-ფილადელფია
ლოს ანჯელესი-სენტ ლუისი

**3 დეკემბერი**
ტორონტო-სან ხოსე
აილენდერსი-პიტსბურგი
ვაშინგტონი-კაროლინა
კოლამბუსი-ტამპა ბეი
ფლორიდა-ოტავა
ჩიკაგო-დალასი
ნეშვილი-ვანკუვერი
ედმონტონი-ფინიქსი
ანაჰაიმი-ლოს ანჯელესი

**4 დეკემბერი**
ნიუ ჯერსი-მონრეალი
დეტროიტი-ფილადელფია
კალგარი-ფინიქსი

**5 დეკემბერი**
ბაფალო-რეინჯერსი
ტორონტო-დალასი
პიტსბურგი-სან ხოსე
მონრეალი-ბოსტონი
ტამპა ბეი-ოტავა
ფლორიდა-ვინიპეგი
სენტ ლუისი-აილენდერსი
ნეშვილი-კაროლინა
მინესოტა-ჩიკაგო
ედმონტონი-კოლორადო

**6 დეკემბერი**
ნიუ ჯერსი-დეტროიტი
კაროლინა-სან ხოსე
კოლამბუსი-მინესოტა
ჩიკაგო-ანაჰაიმი
კალგარი-კოლორადო
ვანკუვერი-ფინიქსი

**7 დეკემბერი**
ბოსტონი-პიტსბურგი
მონრეალი-ბაფალო
ოტავა-ტორონტო
დეტროიტი-ფლორიდა
ტამპა ბეი-ვინიპეგი
ვაშინგტონი-ნეშვილი
რეინჯერსი-ნიუ ჯერსი
სენტ ლუისი-ანაჰაიმი
დალასი-ფილადელფია
ედმონტონი-კალგარი
ლოს ანჯელესი-აილენდერსი

**8 დეკემბერი**
მინესოტა-სან ხოსე
ტორონტო-ბოსტონი
რეინჯერსი-ვაშინგტონი
ჩიკაგო-ფლორიდა
ვანკუვერი-კოლორადო

**9 დეკემბერი**
ოტავა-ფილადელფია
პიტსბურგი-კოლამბუსი
ვანკუვერი-კაროლინა
ანაჰაიმი-აილენდერსი

**10 დეკემბერი**
ბაფალო-ოტავა
ვაშინგტონი-ტამპა ბეი
კოლამბუსი-ნიუ ჯერსი
მონრეალი-ლოს ანჯელესი
ფლორიდა-დეტროიტი
რეინჯერსი-ნეშვილი
ვინიპეგი-სენტ ლუისი
დალასი-ჩიკაგო
კოლორადო-ფინიქსი
კალგარი-ბოსტონი
ედმონტონი-კაროლინა
სან ხოსე-აილენდერსი

**11 დეკემბერი**
ტორონტო-ლოს ანჯელესი
ჩიკაგო-ფილადელფია
ანაჰაიმი-მინესოტა

**12 დეკემბერი**
რეინჯერსი-კოლამბუსი
ფილადელფია-მონრეალი
ოტავა-ბაფალო
ტამპა ბეი-დეტროიტი
სენტ ლუისი-ტორონტო
ნეშვილი-დალასი
ვინიპეგი-კოლორადო
კალგარი-კაროლინა
ფინიქსი-აილენდერსი
ედმონტონი-ბოსტონი
სან ხოსე-მინესოტა

**13 დეკემბერი**
პიტსბურგი-ნიუ ჯერსი
ფლორიდა-ვაშინგტონი
ვანკუვერი-ედმონტონი

**14 დეკემბერი**
ბაფალო-კალგარი
ოტავა-ლოს ანჯელესი
ვინიპეგი-დალასი
ტორონტო-ჩიკაგო
დეტროიტი-პიტსბურგი
ნიუ ჯერსი-ტამპა ბეი
აილენდერსი-მონრეალი
კოლამბუსი-სენტ ლუისი
ნეშვილი-სან ხოსე
ფინიქსი-კაროლინა
კოლორადო-მინესოტა
ვანკუვერი-ბოსტონი

**15 დეკემბერი**
ვაშინგტონი-ფილადელფია
დეტროიტი-ტამპა ბეი
მონრეალი-ფლორიდა
რეინჯერსი-კალგარი
ჩიკაგო-ლოს ანჯელესი
ანაჰაიმი-ედმონტონი

**16 დეკემბერი**
პიტსბურგი-ტორონტო
კოლამბუსი-ვინიპეგი
ოტავა-სენტ ლუისი
კოლორადო-დალასი

**17 დეკემბერი**
ბოსტონი-კალგარი
ბაფალო-ვინიპეგი
ტორონტო-ფლორიდა
აილენდერსი-ტამპა ბეი
მონრეალი-ფინიქსი
დეტროიტი-ანაჰაიმი
ფილადელფია-ვაშინგტონი
სენტ ლუისი-სან ხოსე
ნეშვილი-ჩიკაგო
მინესოტა-ვანკუვერი
დალასი-კოლორადო
ლოს ანჯელესი-ედმონტონი

**18 დეკემბერი**
ნიუ ჯერსი-ოტავა
რეინჯერსი-პიტსბურგი

**19 დეკემბერი**
ბაფალო-ბოსტონი
ტორონტო-ფინიქსი
ფილადელფია-კოლამბუსი
პიტსბურგი-მინესოტა
ოტავა-ფლორიდა
დეტროიტი-კალგარი
ტამპა ბეი-ნეშვილი
სენტ ლუისი-მონრეალი
დალასი-ვანკუვერი
კოლორადო-ედმონტონი
ლოს ანჯელესი-სან ხოსე

**20 დეკემბერი**
ნიუ ჯერსი-ანაჰაიმი
რეინჯერსი-აილენდერსი
კაროლინა-ვაშინგტონი
ჩიკაგო-ვანკუვერი
ვინიპეგი-ფლორიდა

**21 დეკემბერი**
პიტსბურგი-კალგარი
ოტავა-ფინიქსი
ლოს ანჯელესი-კოლორადო
ბოსტონი-ბაფალო
ტორონტო-დეტროიტი
ტამპა ბეი-კაროლინა
აილენდერსი-ანაჰაიმი
ვაშინგტონი-ნიუ ჯერსი
კოლამბუსი-ფილადელფია
ნეშვილი-მონრეალი
ედმონტონი-სენტ ლუისი
სან ხოსე-დალასი

**22 დეკემბერი**
რეინჯერსი-მინესოტა
ვანკუვერი-ვინიპეგი

**23 დეკემბერი**
ბაფალო-ფინიქსი
რეინჯერსი-ტორონტო
ვაშინგტონი-ანაჰაიმი
კაროლინა-კოლამბუსი
ოტავა-პიტსბურგი
დეტროიტი-აილენდერსი
ფლორიდა-ტამპა ბეი
ფილადელფია-მინესოტა
ჩიკაგო-ნიუ ჯერსი
ნეშვილი-ბოსტონი
კალგარი-სენტ ლუისი
ედმონტონი-ვინიპეგი
ლოს ანჯელესი-დალასი
სან ხოსე-კოლორადო

**27 დეკემბერი**
ბოსტონი-ოტავა
ტორონტო-ბაფალო
ნიუ ჯერსი-კოლამბუსი
ვაშინგტონი-რეინჯერსი
კაროლინა-პიტსბურგი
ჩიკაგო-კოლორადო
ვინიპეგი-მინესოტა
დალასი-ნეშვილი
კალგარი-ედმონტონი
ფინიქსი-სან ხოსე

**28 დეკემბერი**
ოტავა-ბოსტონი
ტამპა ბეი-მონრეალი
ფლორიდა-დეტროიტი
აილენდერსი-ნიუ ჯერსი
სენტ ლუისი-ჩიკაგო
ნეშვილი-ლოს ანჯელესი
ანაჰაიმი-ფინიქსი
ედმონტონი-ფილადელფია

**29 დეკემბერი**
ბაფალო-ვაშინგტონი
ფლორიდა-მონრეალი
კოლამბუსი-პიტსბურგი
დალასი-სენტ ლუისი
კალგარი-ვანკუვერი
ტორონტო-კაროლინა
ტამპა ბეი-რეინჯერსი
მინესოტა-აილენდერსი
კოლორადო-ვინიპეგი
სან ხოსე-ანაჰაიმი

**30 დეკემბერი**
ოტავა-ვაშინგტონი
ჩიკაგო-ლოს ანჯელესი
ნეშვილი-დეტროიტი
ვანკუვერი-ფილადელფია

**31 დეკემბერი**
ნიუ ჯერსი-პიტსბურგი
ფლორიდა-რეინჯერსი
მინესოტა-სენტ ლუისი
ბოსტონი-აილენდერსი
კაროლინა-მონრეალი
ვინიპეგი-ბაფალო
დალასი-ლოს ანჯელესი
კოლორადო-კოლამბუსი
ანაჰაიმი-სან ხოსე
კალგარი-ფილადელფია
ფინიქსი-ედმონტონი
დეტროიტი-ტორონტო

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

**ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| ლევერკუზენი-მანჩესტერ იუნ | 0:5 |
| შახტარი-სოსიედადი | 4:0 |
| იუვენტუსი-კოპენჰაგენი | 3:1 |
| რეალი-გალათასარაი | 4:1 |
| ანდერლეხტი-ბენფიკა | 2:3 |
| პსჟ-ოლიმპიაკოსი | 2:1 |
| ცსკა-ბაიერნი | 1:3 |
| მანჩესტერ სიტი-პლზენი | 4:2 |

**იტალიის თასი**

**ლეგა პრო**

| | |
|---|---|
| კრემონეზე-პრო პატრია | 2:0 |
| მონცა-ვირტუსი | 3:0 |
| ლეჩე-პერუჯა | 0:2 |
| სალერნიტანა-იშია | 2:1 |

**პორტუგალია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| შავეში-ატლეტიკო | 0:0 |
| ფეირენსე-ბენფიკა B | 1:1 |
| მარიტიმუ B-სანტა კლარა | 2:1 |
| ოლივეირენსე-პორტუ B | 1:4 |
| ტონდელა-პორტიმონენსე | 3:0 |
| ვიზეუ-პენაფიელი | 1:0 |
| ფარენსე-სპორტინგი B | 1:1 |
| მორეირენსე-ავეში | 0:2 |
| ბრაგა B-ლეიქსოეში | 1:2 |

**დანია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| მარიენლისტი-ჰობრო | 0:1 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| შტურმი-რიდი | 2:0 |

**ხორვატიის თასი**

**1/4 ფინალი. I მატჩი**

| | |
|---|---|
| სლავენი-ინკერი | 2:1 |

**უნგრეთის თასი**

**1/8 ფინალი. I მატჩები**

| | |
|---|---|
| შიოფოკი-ლომბარდი | 1:2 |
| კაპოშვარი-დიორი | 1:2 |
| ნირედიაზა-ჰალადაში | 0:1 |
| ვიდეოტონი-დიოშდიორი | 0:0 |
| ფერენცვაროში-უიპეშტი | 0:0 |

**რუმინეთი**

| | |
|---|---|
| ვასლუი-კონკორდია | 0:0 |

**მაკედონია**

| | |
|---|---|
| გორნო-ტურნოვო | 0:2 |
| მაკედონია-ბრეგალნიცა | 3:0 |
| ნაპრედოკი-შკენდია | 0:0 |
| პელისტერი-გოსტივარი | 1:0 |
| რენოვა-რაბოტნიჩკი | 1:1 |

**ჩერნოგორია**

| | |
|---|---|
| ბუდუჩნოსტი-პეტროვაცი | 1:2 |
| სელიკი-დეჩიჩი | 1:1 |
| ლოვჩენი-მლადოსტი | 1:0 |
| გრბალი-სუტიესკა | 2:2 |
| ზეტა-მოგრენი | 5:2 |

**ეკვადორი**

| | |
|---|---|
| უნ. კატოლიკა-დეპ. კევედო | 2:3 |
| დეპ. მაკარა-მანტა | 2:1 |
| დეპ. კიტო-ინდეპენდიენტე | 1:1 |

**კორეა**

| | |
|---|---|
| განგვონი-დაეგუ | 2:2 |
| პოჰანგი-სეული | 3:1 |
| გიეონგნანი-დაეჟეონი | 1:1 |
| ბუსანი-ულსანი | 2:1 |
| ჩუნამი-სეონგნამი | 0:1 |
| სუვონი-ჟეონბუკი | 1:0 |

**ს. აფრიკა**

| | |
|---|---|
| მარიტცბურგი-ორლანდო | 0:1 |
| ამაზულუ-პლატინუმ სტარსი | 2:0 |
| კაიზერ ჩიფსი-პოლოკვანე | 4:1 |

### კალათბურთი

**ევროთასი**

| | |
|---|---|
| ნ. ნოვგოროდი-ხიმიკი | 86:66 |
| პანიონიოსი-სპარტაკი | 76:69 |
| ანკარა-ბუდუჩნოსტი | 81:75 |
| ბანვითი-უნიქსი | 71:79 |
| ციბონა-ნიმბურკი | 77:84 |
| ვეფ რიგა-კალევი | 78:67 |
| პაოკ-ფეჰერვარი | 68:64 |
| ჰაპოელი (ი)-იგოკეა | 85:71 |
| ბეშიქთაში-ნეპტუნასი | 74:83 |
| მაკაბი (ჰ)-სკოპიე | 79:60 |
| ნილანი-რადნიჩკი | 75:73 |
| პინარი-პლოეშტი | 91:87 |
| ბონი-გრაველინი | 80:77 |
| ოლდენბურგი-შალონი | 73:83 |
| ბილბაო-სასარი | 91:93 (ო) |
| კანტუ-ლე მანი | 88:86 (ო) |
| ოლიმპია-ვილერბანი | 86:48 |
| ოსტენდე-არტლანდი | 87:71 |
| სარაგოსა-ალბა | 75:50 |
| რომა-მონსი | 60:61 |

### ჰოკეი

**კჰლ**

| | |
|---|---|
| სევერსტალი-ლოკომოტივი | 1:2 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ესეტი-საიპა | 1:4 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ბრინასი-შელეფტეო | 6:5 (ო) |
| ფერიესტადი-აიკ | 2:1 |
| ჰვ71-ორებრო | 2:1 (ო) |

## TV პროგრამა

**28 ნოემბერი. ხუთშაბათი**

**I არხი**

22:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. იუვენტუსი-კოპენჰაგენი (LIVE).

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. შახტარი-სოსიედადი.
12:00 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. შახტარი - სოსიედადი
14:00 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ცსკა - ბაიერნი
16:00 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. მიმოხილვა.
17:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
18:00 პორტუგალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:00 ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. შახტიორი-პაოკი.
21:00 ევროპის ლიგა. სტუდიური მიმოხილვა.
22:00 ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ON-LINE. ყველა მატჩის საუკეთესო მომენტები (LIVE).
00:05 ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ON-LINE. ყველა მატჩის საუკეთესო მომენტები (LIVE).

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ტვენტე-ბრედა.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. ფენერბახჩე-ბარსელონა.
15:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-მაინცი.
17:00 რაგბი-ლიგა. მსოფლიო თასი. 1/2 ფინალი. ავსტრალია-ფიჯი.
19:00 სპორტ-NEWS.
19:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
20:30 მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდები.
22:00 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. გენკი-დინამო (კ) (LIVE).
23:45 კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. VII ტური. ბამბერგი-რეალი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. დუბაი. საემიროები.
12:50 სპორტ-NEWS.
13:20 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. დუბაი. საემიროები.
15:45 სპორტ-NEWS.
16:15 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ინდიან უელსი. აშშ.
20:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. ინდიან უელსი. აშშ.
00:05 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. სუონსი-ვალენსია (LIVE).

## ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 8 | 15 | (წვიმა) |
| ქუთაისი | 10 | 14 | (წვიმა) |
| ბათუმი | 13 | 14 | (წვიმა) |
| ფოთი | 12 | 14 | (წვიმა) |
| ზუგდიდი | 10 | 13 | (წვიმა) |
| გორი | 5 | 12 | (წვიმა) |
| თელავი | 8 | 15 | (წვიმა) |
| სიღნაღი | 9 | 16 | (წვიმა) |
| ბაკურიანი | -2 | 7 | (თოვლი) |
| ბორჯომი | 3 | 10 | (წვიმა) |
| მესტია | -1 | 4 | (თოვლი) |

## ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.2944 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6878 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.7486 |
| 100 რუსული რუბლი | 5.1139 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# შეწყვეტილი სერიები

"ნიუ ორლეანისა" და "გოლდენ სტეიტის" მატჩს ინტრიგას სძენდა ის ფაქტი, რომ "მეომრებს" აკლდათ ორი წამყვანი მოთამაშე - **ენდრიუ ბოგუტი** (დისკვალიფიკაცია) და **ანდრე იგუოდალა** (ტრავმა), გარდა ამისა, "პელიკანსს" შეეძლო გამოეყენებინა ისიც, რომ "უორიორზი" ოდნავ ამოვარდნილია ფორმიდან, რაზეც მისი ზედიზედ სამი მარცხი ლაპარაკობდა.

სტუმრებმა თავიდანვე მოიპოვეს ინიციატივა და ჩვეული მხიარული თამაშით კომფორტული უპირატესობაც მიიღეს დიდი შესვენებისთვის. მაგრამ მეორე ტაიმში, როცა "მეომრებს" დაღლა დაეტყოთ, ინიციატივა "ნიუ ორლეანის" მხარეს გადავიდა. **ენტონი დევისი** და **რაიან ანდერსონი** სჯობდნენ მეტოქის წინა ხაზს ფარქვეშ ბრძოლაში, მასპინძელთა სნაიპერებმა კი სამქულიანების გამოყენების უკეთესი პროცენტი დააფიქსირეს.

საბოლოოდ, თამაშის ბედი ბოლო წამებზე გადაწყდა. "გოლდენ სტეიტმა" ბოლო მეოთხედში რამდენჯერმე შეძლო 5-6 ქულით წინ გასვლა, მაგრამ მეტოქე ყოველ ჯერზე ახერხებდა ანგარიშის გათანაბრებას. სირენამდე ერთი წამით ადრე კი "პელიკანებს" გამარჯვებაც შეეძლოთ: **ერიკ გორდონმა** წინააღმდეგობის გარეშე ისროლა სამქულიანი, მაგრამ თითქმის ჩავარდნილი ბურთი კალათიდან ამოვარდა. "უორიორზმა" ზედიზედ მეხუთედ დაამარცხა "პელიკანსი".

■ ■ ■

"ორლანდოს" დიდი ხანი არ ჰქონდა სტუმრად მოპოვებული გამარჯვება - **ჟაკ ვონის** გუნდის წარუმატებელი გასვლითი სერია 17 შეხვედრას უდრიდა და ის გასული სეზონიდან იღებდა სათავეს. და გუშინაც, ამ სერიის შეწყვეტის არანაირი პირობა არ არსებობდა. "ორლანდოს" ზედიზედ 11 მატჩი არ ჰქონდა მოგებული "ატლანტასთვის" - არც შინ და არც გასვლაზე.

მაგრამ, ნებისმიერი სერია, ადრე თუ გვიან, სრულდება. პირველი ტაიმის ბრძოლაში წაგების შემდეგ, მესამე მეოთხედში სტუმრებმა მეტოქეს ნამდვილი დაბომბვა მოუწყვეს. განსაკუთრებით აქტიურობდა **არონ აფლალო**. მცველი არა მხოლოდ თავად უტევდა (18-დან 9 ზუსტი ტყორცნა, სამქულიანები – 4/7), არამედ კარგად ურთიერთქმედებდა დებიუტანტ **ვიქტორ ოლადიპოსთან**.

ამასობაში, "ატლანტას" მცველმა **კაილ კორვერმა** გააგრძელა ზუსტი სამქულიანების სერია. ეს კალათბურთელი ზედიზედ 88 მატჩია მინიმუმ ერთ შორეულ ტყორცნას ათავსებს კალათში. **დენ ბაროსის** აბსოლუტურ რეკორდამდე ერთი მატჩია დარჩენილი.

■ ■ ■

"ვაშინგტონი" შესუსტებული შემადგენლობით შეხვდა "ლეიკერსთან" მატჩს: დედაქალაქელებმა ორი კვირით დაკარგეს **ბრედლი ბილი**. მაგრამ, "უიზარდსმა" არ შეიმჩნია ეს დანაკლისი, რადგან კარგად გამოიყურებოდნენ **ტრევორ არიზა, მარტელ უებსტერი, ნენე ილარიო** და ბრწყინვალე ფორმაში მყოფი **ჯონ უოლი**. ამ უკანასკნელმა კარიერაში პირველად დააგროვა ზედიზედ ორ მატჩში 30 ქულა; ბრაზილიელმა კი შედეგიანობის პირადი რეკორდი დაამყარა.

"ლეიკერსს" კადრების უფრო სერიოზული დეფიციტი აქვს. კვლავაც ლაზარეთშია **კობი ბრაიანტი**, ასევე ვერ ვიხილეთ მოედანზე **სტივ ნეში** და **კრის კამანი**.

კალიფორნიელთა რეზერვისტებმა, პირველ რიგში კი ბრწყინვალედ მოთამაშე **ჯორდან ფარმარმა** (11-დან 9 ზუსტი ტყორცნა და 8 შედეგიანი პასი), ყველაფერი გააკეთეს მატჩის გადასარჩენად, მაგრამ "ლეიკერსს" ამისთვის სულ ცოტა დააკლდა. სირენამდე 11 წამით ადრე, **პაუ გასოლმა** შესანიშნავად მოატყუა ნენე და თითქოს იოლადაც უნდა აელო ორი ქულა, მაგრამ დაუჯერებელი ბურთი ააცილა და მატჩის გადარჩენის შანსი აღარ დარჩა.

■ ■ ■

როცა "ტორონტოსთან" მატჩის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე "ბრუკლინი" 15 ქულას იგებდა, ისე ჩანდა, რომ კანადელებს უკვე ველარაფერი გადაარჩენდა, რადგან "ნეტსის" გამოცდილი ვარსკვლავები არ დაუშვებდნენ თავიანთი გუნდის წაგებათა სერიის გაგრძელებას.

მაგრამ ამ ვარსკვლავებმა მოულოდნელად გაუშვეს მეტოქის 1:14 გაქცევა და გამარჯვებულის საკითხი ბოლო წამამდე ღიად რჩებოდა.

ძირითადი დროის დამთავრებამდე 11.2 წამით ადრე, **შონ ლივინგსტონმა** საჯარიმო ააცილა და მასპინძლებს დაუტოვა ორქულიანი ჩამორჩენის გაბათილების შანსი. მაგრამ ყველაფერი გააფუჭა "რეპტორზის" მთავარმა მწვრთნელმა **დუეინ კეისიმ**. მან ტაიმ-აუტზე ორიგინალური, მაგრამ ძალიან მოულოდნელი კომბინაცია მოიფიქრა. მასპინძლებმა სამქულიანით პირდაპირ მოგება გადაწყვიტეს და სუფთა შორეული ტყორცნის შესასრულებლად გაიყვანეს... ცენტრი **ამირ ჯონსონი**.



ბრუკლინმა, როგორც იქნა, მოიგო

საბოლოოდ, კანადელებს ხელში არც ოვერტაიმი შერჩათ და არც მოგება.

**ნ. ორლეანი–გ. სტეიტი 101:102**

18:28, 31:29, 28:19, 24:26

**ნ-ო:** ანდერსონი (21+12 მოხსნა), ჰოლიდეი (17+7 პასი), გორდონი (16+7 პასი), დევისი (14+11 მოხსნა), სმიტი (14), ევანსი (12).

**გ-ს:** ტომპსონი (22+8 პასი), ლი (19), ო'ნილი (18+8 მოხსნა), კარი (16+9 პასი+8 მოხსნა+3 ჩაჭრა), ბარნსი (14).

**ვაშინგტონი–ლეიკერსი 116:111**

31:29, 28:26, 23:22, 34:34

**ვ:** უოლი (31+9 პასი+3 ჩაჭრა), ნენე (30), უებსტერი (20+9 მოხსნა+4 ჩაჭრა), გორტატი (15+8 მოხსნა), არიზა (13+3 ჩაჭრა).

**ლ:** ფარმარი (22+8 პასი), გასოლი (17+8 პასი), იანგი (16), ბლეიკი (15), ჯონსონი (11), ჰილი (10+8 მოხსნა), მიქსი (10).

**ატლანტა–ორლანდო 92:109**

25:26, 28:23, 20:36, 19:24

**ა:** ჰორფორდი (15), ტიგი (15+6 პასი), უილიამსი (11+8 პასი), მილსეპი (10).

**ო:** აფლალო (26), ნიკოლსონი (18+8 მოხსნა), ოლადიპო (18), ვუჩევიჩი (12+15 მოხსნა), მური (12).

**ტორონტო–ბრუკლინი 100:102**

28:26, 23:29, 25:26, 24:21

**ტ:** დეროზანი (27), ლოური (24+6 პასი), ნოვაკი (12).

**ბ:** ბლეტჩი (24), ჯონსონი (21), პირსი (16), გარნეტი (12).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**




ამბები

# არც ისე მარტივადაა საქმე

"ლოს ანჯელეს ლეიკერსის" მცველმა **კობი ბრაიანტმა** ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მისი დაბრუნება აქილევსის მყესის დაზიანების შემდეგ, სავარაუდოდ, რამდენიმე კვირის შემდეგ შედგება.

*"როგორც ჩანს, კიდევ რამდენიმე კვირა მომიწევს მოცდა"*, - განაცხადა ბრაიანტმა, რომელიც უფრო ადრე ამტკიცებდა, რომ ოფიციალურ მატჩებში მონაწილეობას უკვე ნოემბრის ბოლოს შეძლებდა.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ, კობიმ ახალი ხელშეკრულება გააფორმა კალიფორნიელ კლუბთან, რომელიც 2016 წლის ზაფხულამდე იქნება ძალაში და ამ დროის განმავლობაში კალათბურთელი 48 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს.



კობი ბრაიანტი

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი** (599 56 17 38); მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე** (595 09 03 28), **გია ტუხაშვილი** (555 50 05 13); მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

**პალიტრა მედიის ცხელი ხაზი:** 2 19 60 13; 2 19 60 53. **ელფოსტა:** contact@pallitra.ge; მისამართი: **იოსებიძის, 49.** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:00 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი

ტელეფონი: 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608